

634 / 3

1960 N/6

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

ԹԱՅԱԿՈՒ ՀՈԴՈՒ

ଶ୍ରୀଚନ୍ଦ୍ରମଣି



ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ им. СТАЛИНА

Труды кафедры древнегрузинского языка. 6.

Ф. У ТУР ГА ИД ЗЕ

**ТУШИНСКИЙ ДИАЛЕКТ  
грузинского языка**

под редакцией

А. Г. Шанидзе

ИЗДАТЕЛЬСТВО  
ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО УНИВЕРСИТЕТА  
им. СТАЛИНА  
ТБИЛИСИ \* 1960

499.962-1.0



სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მექლი ქართული ენის კათედრის მრომები. 6.

თ. უთარგაული

## თეატრი კილო

აკაკი შანიძის  
რედაქციით



სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
გამოგვევლობა  
თბილისი \* 1960

ქართული ენის ლიტერატურა



მონოგრაფიის პირველ ნაწილში (გვ. 1—70) განხილულია ქართული ენის ერთი მთის კილოს ძირითადი ფონეტიკური და მორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენები, მეორე ნაწილი კი (გვ. 71—181) შეიცავს წიგნის ავტორის მიერ ადგილობრივ შეკრებილ ტექსტებს (პოეზიასა და პროზას). ნაშრომს ერთვის ლექსიკონი (გვ. 181—223), სადაც უმთავრესად ტექსტებში მოხვედრილი სიტყვებია გარჩეული. მონოგრაფია მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული კილოების შესწავლის საქმეში. წიგნი გამოდგება დამხმარე სახელმძღვანელოდ ქართულ დიალექტოლოგიაში.

## რედაქტორის საგანი

24729

თუშურ კილოს მე 1913 წ. ვსწავლობდი მთათუშეთში (ამ სოფ-  
 ლებში: ფარსმა, დართლო, ომალო, შენაქო, დიკლო), სადაც ათი-  
 ღდე დღე დავყავ (3 სექტემბრიდან 12-მდე)<sup>1</sup>. რა თქმა უნდა, ეს  
 დრო ქმაროდა მხალოდ წინასწარი ცნობის შესაკრებად. ნათლად  
 დაჩნდა, რომ ქართულად მოუბარი თუშების ენა გარკვეული ნიშ-  
 ნების მიხედვით ახლო დგას ხევსურულთან და მოხეურთან, რის  
 გამოც მე მათ, სამიერს ერთად, ფხოური კილოები ვუწოდე<sup>2</sup>. მცი-  
 რეოდენი მასალა, რომელიც მე თუშური კილოს შესახებ დავბეჭ-  
 დე<sup>3</sup>, ნათლად აჩენდა, თუ რა საინტერესო კილოსთან გვქონდა  
 საქმე. ამიტომ თ. უთურგაიძის მონოგრაფია, რომელიც შუქს  
 ჰავურნის ამ კილოს მთავარ თანასებურებათ, უთუოდ კარგი შენაძე-  
 ნია ქართული დიალექტოლოგისათვის. ამ ნაშრომში მთავარია  
 ტექსტები, რომლებიც თვით თ. უთურგაიძის მიერაა შექრებილი  
 და საკმაო სიზუსტით ჩაწერილი. ეს გასაგებიცაა, რადგანაც  
 თ. უთურგაიძე თუშია და ეს კილო ბავშვობიდანვე აქვს შეთვი-  
 სებული. საკამათო შეიძლება აქაც იყოს, მაგრამ, საერთოდ, ეს  
 მასალები უთუოდ წინ წადგმული ბიჯია თუშური კილოს შეს-  
 წავლის საქმეში.

<sup>1</sup> Отчет о летней командировке 1913 г. в. Душетский и Тионетский уезды Тифлисской губернии для изучения грузинских говоров (Изв. АН, 1913, стр. 1069—1074=ა. შანიძე, თხზულებანი, I, 1957, გვ. 3—8).

<sup>2</sup> Ib.

<sup>3</sup> ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში (კრებული ივ. ჯავახიშვი-  
 ლის რედაქტორობით. 1915, გვ. 187—202=ა. შანიძე, თხზულებანი, I, 1957,  
 გ—19); სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე  
 პირისა ქართულ მნებში. 1920 (=თხზულებანი, I, 1957), §§ 64,70.



ქართული ენის თუშური კილო ერთი იმ კილოთაგანია, რომელშიც ძალიან ცხადად ჩანს სუბსტრატი ენის ელემენტები, განსაკუთრებით ფონეტიკასა და ლექსიკაში. ეს სუბსტრატი ენაა წოვა-თუშური, რომელიც ამჟამად მხოლოდ ზემო აღვანში გაისმის. მთათუშეთში წოვები აღარ ცხოვრობენ; კაი ხანია, რაც ისინი კახეთში არიან ჩამოსულნი და ზემო აღვანში დამკვიდრებულნი.

### ა. შანიძე

ზ 0 6 5 8 0 ტ ჟ ვ ა მ ბ ა

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ოუშური კილოს მონო-  
 გრაფიულ მიმოხილვას. განხილულია ამ კილოსთვის დანახასიათე-  
 ბელი ძირითადი ფონეტიკური და გრამატიკული მოვლენები. სა-  
 კითხთა განხილვისას ყურადღებიდან არ უუშვებდით სხვა კილოე-  
 ბისა და ძველი ქართული ენის მონაცემებს, რათა გამოგვევლინა  
 საერთო სხვა კილოებთან და სალიტერატურო ქართულთან, ამავე  
 დროს ცალკე გამოგვეყო კილოსთვის სპეციფიკური მოვლენები.  
 ენობრივ მიმოხილვას ერთვის ტექსტები და ლექსიკონი.

ნაშრომში წარმოდგენილი ოუშური ტექსტები ძირითადად შე-  
 გროვდა მთათუშეთში 1951, 1952 წლების ზაფხულში. მათი ნა-  
 წილი ჩაწერილია ჩაღმისა და გომეჭრის ხეობაში, ნაწილი — ძირიქი-  
 თის ხეობაში.

თუშები ძირითადად ცხოვრობენ კახეთში, ქვემო ალვანში, მთა-  
 თუშეთში ატარებენ ცხოლოდ ზაფხულს.

ქვემო აღვანი რადიოფიცირებულია. სოფელს აქვს სრული სა-  
 შუალო სკოლა; ახალ გაზეთებს თუშები იღებენ გამოსვლიდან მეო-  
 რე მესამე დღეს. აქვევ კეთილმოშეყობილი კლუბი, სადაც თაოქმის  
 ყოველ საღამოს უჩვენებენ სხვადასხვა ფილმს. ყოველივე ამის  
 შემდეგ გაკვირვებას აღარ იწვევეს ის ფაქტი, რომ აქური მო-  
 სახლებია ძირითადად შეტყველებს სალიტერატურო ენით.

შემთხვევით არ მომხდარა, რომ ტექსტების ჩაწერა ვამჯობი-  
 ნეთ მთათუშეთში. ჯერ ერთი, აქა იქ კიდევ მოიძებნებოდნენ მთა-  
 თუშეთის მკვიდრნი (სოფ. გუდაანთაში, სოფ. დართლოში, სოფ.  
 ხისოში) და, მეორეც, ყოფა-ცხოვრება აქ ჯერ კიდევ მთლიანად  
 ვერ განთავისუფლებულა არქაული იერისაგან. ბუნებრივია, ასეთ  
 გარემოში უფრო ადვილი იყო სანდო ტექსტების შექრება.  
 ტექსტების გვერდით გროვდებოდა ცალკეული სიტყვებიც.

საპატიო მოვალეობად მიმაჩნია უღრმესი მაღლობა გამოვუცხადოთ თუშ მთქმელებს: გიო ჭვერაიძეს, ჩალმა წერიაიძეს, სამსონ ჯიჯურიძეს, სვიმონ ღუბაქელიძეს, დარეჯო ბექურიძეს, კობე ხაპრიძეს და სხვებს, რომელთა კარნაბითაც ჩავწერეთ აქ გამოქვეყნებული თუშური ტექსტები.

ლექსიკონში ძირითადად შევიდა ის სიტყვები, რომელთაც ჩვენს ტექსტებში ვხვდებით. აქვე მოხვდა ცალკე შეგროვილი სიტყვებიც.

ვსარგებლობ შემთხვევით და მხურვალე მაღლობას გწირავ ჩემს მასწავლებელსა და ამ წიგნის რედაქტორს აკად. ა. შანიძეს, რომლის უშუალო ხელმძღვანელობითაც მომზადდა ეს ნაშრომი.

## თ. უთურგაიძე

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

თუშურს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მთის კილოებში. აქ ძველი ქართულისა და მთის სავა კილოებისათვის დამახასია-თებელი ფორმებისა და სიტყვების გვერდით ვხვდებით ისეთებსაც, რომლებსაც სავაგან ვერ შევიღებით ქართულში, როგორიცაა, მაგ.. გრძელი ხმოვანი კ მკვეთრითურთ. მტკიცებითი წ ნაწილაქი, ოდ სუფიქსი აღმატებით ხარისხში და სხვ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იძყრობს თუშეთის ტოპონიმიკა: ბევრი სახელი მხოლოდ წოვური ენას მეოხებით ისსწება. უდავოა, რომ წოვების მეზობლობას თუშურ კილოზე საკმაოდ შესამჩნევი კვალი დაუტოვებდა.

ტერმინებისათვის „თუშური“, „წოვური“. თუშურს ჩვენ ვუწოდებთ ქართული ენის იმ კილოს, რომელზეც შეტყველებს მთათუშეთისა და სოფ. ქვემო ალვანის მოსახლეობა. მთათუშეთში ძველად მცხოვრებლები ამჟამად ქვემო ალვანშია ჩამოსახლებული; ისეთები კი, რომლებიც ახლაც მუდმივად მთაში ცხოვრობენ, ერთეულებია.

თუშებმა ბარად ჩამოსვლა იწყეს მე-18 საუკუნის მეორე ნა-ხევარში. მათი ჩამოსახლება ამჟამად შეიძლება თითქმის დამთავ-რებულად ჩაითვალოს. მაგრამ თუშები კავშირს მაინც არ წყვე-ტენ მთასთან. მთაშია საუკეთესო საძოვრები და სახნავი მიწები, თუშების უმეტესობა ზაფხულს მთაში ატარებს.

წოვურს ვუწოდებთ იმ ენას, რომელზეც შეტყველებს სოფ. ქვემო ალვანის მოსახლეობა. წოვური ქისტური ჯგუფის ენაა. წო-ვების უმეტესობა, ზაფხულს ტბათანაში ატარებს.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში თუშურის სახელით ცნობი-ლია წოვურიც<sup>1</sup>, რომლისთვისაც ამჟამად უფრო მიღებულია „ბაც-ბური“, იმიტომ რომ თვით წოვები თავიანთ თავს ბაცებს ეძახან (მხოლ. ბაცავ-ს), ენას კი ბაცბურ მოტტ-ს (ბაცბურ ენას).

<sup>1</sup> A. Schieffner, Versuch über die Tusch-Sprache. Petersburg, 1856.



Յ ռ ե լ օ օ ձ ս

## ფ რ ნ ე ტ ი კ ა

§ 1. ზოგიერთი ბგერის შესახებ თუშურში. თუშურში შემონახულია რიგი ბგერები, რომლებიც ძველ ქართულში მონაცემია, ესენია: ა და ჭ. გარდა ამისა, მოიპოვება თუშურისათვის დამახასიათებელი სამი ბგერა: ს, პ და ჭ. ეს უკანასკნელი აკუსტიკურად ტოვებს ისეთსავე შთაბეჭდილებას, როგორსაც ზანურში ხმარებული აბრუბტივი ც<sup>1</sup>.

ა) ა-ს ვხვდებით ხმოვანხე გათავებული სახელების ბოლოში; მაგ.: ძმად, დად, წყაროდ და სხვა.

მას კიდევ ვხვდებით ჩმნაზედებთან, სახელებთან და ზოგიერთ ნაწილაკთან ფრეინვიერი შემართვის ჰაქს მონაცელედ (ნ. § 2); მაგ.: ხახლ, დაქ, ჯუჭუ (აი), რიჟ (ლიახ, ჰო), ექსი, ეეგი და სხვა.

ა აღმავალ დიფონებს ქმნის სიტყვის დასაწყისში, ბოლოში კი— დამავალს.

ბ) ჭ-ს, თუშურის გარდა, ქართული ენის ზოგიერთ სხვა კილოშიც ვხვდებით დღეს: ხევსურულში, ინგილოურში, ქიზიურში... ქართულის მოძმე ენათაგან კი—სვანურში.

ზემოაღნიშნულ წერილში პროფ. ა. შანიძე შენიშნავს ჭარის შესახებ, რომ „ის ძლიერ განირჩევა გამოთქმით ხანისაგან და იქმარება ზოგიერთ ძირის სიტყვებში, სწორედ იმ სიტყვებში, ძველიდაც რომ ჭარი იქმარებოდა“<sup>2</sup>.

მოგვყავს ჭარის შემცველი სიტყვების მოკლე სია.

საკუთარი სახელები

აქალი (სოფელია ფშავში)

ქაცად

აქაიტი (აქაიტის ქორქი)

ქვაქიდი (|| ქვაქიდი)

ქაგირი

ქოლოდ (ქაცის სახელია)

ქადორი (|| ყადორი)

ქუნძაქი (ხუნძაქი)

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში, § 2: თბილებანი, I, 1957, გვ. 11.

<sup>2</sup> იქვე, § 2.

### საზოგადო სახელები და ზმნები

გაქლომაჲ	წივი
დალაპვაჲ	წევსური
დაქლაჲ	წილი, წემწიფე
დაქოცვაჲ	წერჯი
ვაჯშმი	წევი
მათრაჯი	წვეყანა
მაჯათი	წვრელი
მომჯობაჲ (მექმექ 'მოეკლო')	წიღი
მოჯდაჲ	წირმი
მოჯდომაჲ	წირჯალი
მოჯელვაჲ	წმალი
მოჯნავი (მხვნელი)	წმია
მოჯსნაჲ	წმელეთი, წმელი
მუჯლი	წმიადი
მძაჯე	წმო
მჯედარი	წოთიშაცი
ნაჯშირი	წორცი
საჯოცი	წოჯობი
საჯსარი, ქსნა	წრასტუნი
უჯი, უკიუჯი (მოუხერხებელი)	ქსენება
ფეჯი	ქშირი
ჩოჯა	ჯიჯვა
ქალი	ჯლება (რჩოლა)
ქამ (გარგა, შდრ. ძვ. ქართ. ქამს)	და სხვა.

ზემოხსენებულ სიტყვებში კ მეორეული ჩანს შემდეგ ფორმებში: ქვეყანა (შდრ. ქვეყანა), ბაჯათი (შდრ. მახათი; „მახათი დიდი ნემსი“, სულ 6.), ნაჯშირი (შდრ. ნახშირი; სვან. შიხ, ლიშხე), სავარაუდებელია, რომ კ მეორეულია შემდეგ სიტყვებშიც: ქადორ (← ყადორი), ქუნძაქ (← ხუნძაქ, ოვით ხუნძები ასე გამოთქვამენ<sup>1</sup>). აღსანიშნავია, რომ ყ-სა და ქ-ს კ ენაცვლება ქიზიყურშიც; მაგ., ქიზიყი (ქიზიყი), ქვეყანა (ქვეყანა), ქანკრატო (ყანკრატო)<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ეს ცნობა მოგვაწოდა დოც. ი. ცერცვაძემ.

<sup>2</sup> სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბილისი, 1943.

ჭ-სა და ჭ-ს მონაცემება არც ხევსურულისათვისაა უცნობი, მაგ., კორწილი (ქორწილი), საჯორწილო<sup>1</sup>.

გ) ა. ქართველურ ენათაგან ა ბგერა ცნობილია ზანურში. იგი შეესატყვისება ქართულ ყ-ს; მაგ., ცუჯი, ცონა, ცინი (ყური, ყანა, ყინვა) და სხვა.

ზანურში ც ყ-ს ადგილს იკავებს ხმოვნების წინ, ზოგჯერ ვ-ს წინაც<sup>2</sup>. თუმცურში ც არ არის ყ-ს მონაცელე. აქ იგი ძირითადად გვივლინება როგორც ხმოვნების გამყოფი; მაგ., ირაცხოვ (უცხო), ხიცოხე (გვარია), გიცხოვ და სხვა. შის შესახებ უფრო ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი (ნ. § 5).

თუ ხმოვანი სიტყვის დასაწყისშია და მას მოსდევს მკვეთრი ც, მაშინ ეს ხმოვანი ძლიერი შემართვის მქონეა. ძლიერი შემართვა ინგილოურ კილოსაც ახასიათებს; მაგ.: ‘ა ი გინდა შენ ეექ — რა გინდა შენ აქ’<sup>3</sup>.

ც-ს ვხვდებით აჭარულშიც. „ც ბგერა დადასტურებულია შხოლოდ სიტყვის თავში, ე. ი. როგორც თავკიდური ბგერა“<sup>4</sup>.

დ) პ და პ. რაც შეხება პ და პ ნიშნით გამოხატულ ბგერებს, ისინი უმარტველო ხმოვნებს წარმოადგენენ, გვხვდებიან მხოლოდ სიტყვების ბოლოში. მათ შესახებაც დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი (ნ. § 7).

**§ 2. ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა.** ცნობილია, რომ ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა ქართული ენისთვის ისტორიულად დამახსასიათებელი უნდა ყოფილიყო; დღევანდელ ქართულში კი აშისი თითო-ოროლა მაგალითილა გვაქვს: პა, ჰე...<sup>5</sup> სვანურსა და ზანურში (ჭანურ-მეგრულში) ამ მოვლენას უფრო ხშირად გხვდე-

<sup>1</sup> ქევსურული მასალები, ბეს. გაბუურის მიერ შეკრებილი, პროფ. ა. ზანიძის რედაქციითა და მის მიერვე შედგენილი ლექსიკონითურთ: „წელი-წდეული“, გვ. 128, 131.

<sup>2</sup> ა. ჩიქო ბაგა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 20—21; გ. ახვლე-დიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საფუძვლები, § 5-3.

<sup>3</sup> რ. ღამბაშიძე, ინგილოური კილო, I, ტექსტები, „უნივერსიტეტის შრომები“, XXX ვ, გვ. 260.

<sup>4</sup> ჯ. ნოღაიდელი, აჭარა დალექტოლოგიურად, 1936, გვ. 17.

<sup>5</sup> Н. Я. Марп, Грамматика древнелитературного грузинского языка, 1925, § 118.

ბით<sup>1</sup>. ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა შეიძნევა ინგილოურშიც; მაგ.: ჰაბა, ჰემაგამ, ჰაბე, ჰემაც, ჰე, ჰუც, ჰეგ და სხვა<sup>2</sup>.

ფშვინვიერი შემართვის მქონე ხმოვნებს განსაკუთრებით მრავ-ლად ვწვდებით მესხურ-ჯავახურში.

ფშვინვიერი შემართვასას ხმოვნებს წინ ვუითარდება სპირანტი ჸ. ვარაუდობენ, ოომ ქართულშა ხმოვნების წინ ფშვინვიერი შე-მართვის ჸ დაკარგა; დაკარგა ისეთიც კი, ოოგორიცაა მორფოლო-გიური ფუნქციის მქონე ჸ (იგულისმება 0\_ისა და ს\_ის ნიშნე-ბი). ჸ მიღვენების წინ ვერ ძლებს<sup>3</sup>.

თუშურში შეიძნევა ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა მოელ-რიგ სიტყვებში. მაგალითები:

ჰაგრეუ || ჰაგრ( ← ჰაგრე)

ჰანე (აბა)

ჰაკი || აკი (ხომ)

ჰაგაგ, ჰაგაგა — ამ შეძახილით ძალლებს უჯავრდებიან (სულ 6. ორბელიანის ლექსიკონშიც ვკითხულობთ: „გაგა მაღლო შე-რისხუა“. ჰაგაგ ფორმა ამავე მნიშვნელობით წოვურშიც იხმა-რება).

ჰარიქა, ჰარიქ (არიქა).

ჰაბა (აბა)

ჰუცუ (იი)

ჰაც (დიახ, დადასტურებითი ნაშილაკია).

ჰარ (აი. ასევე ინგილოურშიც).

ჰაბაბახ (შორისლებული, გამოხატავს გაეგირვებას).

ჰალ, ჰელ, ჰოლ ( || ჰოალ), ჰილ, ჰუალ (დ←ზა, კავშირია).

ცნობილია, ოომ სვანურში ხმოვნების წინ ჰეს ზოგჯერ ა ცვლას. პრაფ. ს. ელენტი წერს: „ანლაუტშა მოქცეულ ხმოვ-ნებს ბალსხემოურსა და ბალსქემოურში უვითარდება ჸ ფშვინვი-ერი შემართვის გამო, ხოლო ლაშტურსა და ლენტებურს ახასია-

<sup>1</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის სატექნიკები, გვ. 105.

ა. ჩიქობაგა, ჭაბურია გრამატიკული ანალისი, გვ. 81—82.

ს. ზღენტი, ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა სვანურში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, VI, 5; 1945.

<sup>2</sup> მ. ჯანაშვილი; საინგილო: „ძველი საქართველო“, II, გვ. 274.

რ. ლამბაშიძე, ინგილოური კოლო, I, ტექსტები: „უნივერსიტეტის შრომები“, XXX ვ, გვ. 288, 251, 262, 263, 272.

<sup>3</sup> ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრე-ფიქსი მესამე პირისა ქარაულ ზმებში, 1920, გვ. 4 (თხულებანი, I, 120).

თებს იოტირებული და ვიწრო ხმოვნები<sup>1</sup>. მაგალითებად მოყვანილია: ხალონ | ჰალონ, ხერსკან | ჰერსკან, ხებ | ჰებ და სხვა<sup>2</sup>.

ჰ-სა და ხ-ს მონაცემების ქართული ენის დიალექტებშიც აქვს ადგილი; მაგ., ქართულურში, ქიზიყურში, ფშაურში. „ამ დიალექტებში ჰაე გადავარდნის გზაზეა დამდგარი, თითქმის გამოდევნილია ყველგან და მისი ალაგი დაჭერილი აქვს ხ-ეს და ზოგან ხანს“<sup>2</sup>.

ამ მოვლენას თუშურშიც ვხვდებით ზოგიერთ ზინიზედასთან, ზედსართავთან და ნაშილაკთან (უნდა ალინიშნოს, რომ ჩ-ისა და ი-ის ჰაე თუშურში იოტად არსად არ იცვლება).

### მაგილითები:

ჰაგრ (← ჰაგრ)	ჰახლ (← *ჰახლ)
ჰეგი (← *ჰეგი)	ჰაქთაცი (ეგეთი)
ჰამტონად (← *ჰამტონად)	ჰაქთეხბ    ჰაკოდენი (მაგდენი)
ჰასრ (← *ჰასრე)	ჰესი (ეს)
ჰასთაც (ასეთი)	ჰაქათად, ჰაქითი (აქედან)
ჰასთენ    ჰაზდენი (ამდენი)	ჰუცუ (← ჰუცუ)
ჰიც (← ჰიცე)	ჰედ (← ჰედ)
ჰად (← ჰად, ნ. ზემოთ)	

აქ მოყვანილი მაგალითებიდან ჰაეიანი პარალელური ფორმა სულ რამდენიმე სიტყვას აქვს; ესენია: ჰაგრე (ჰაგრე), ჰად (ჰად), ჰედ (ჰედ), ჰიც (ჰიც) და ჰუცუ (ჰუცუ).

სავარაუდებელია, რომ ხმოვანთა თუშერში უფრო მეტი იქნებოდა მისი განვითარების წინა ეტაპებზე.

თუშურში რომ ხმოვანთა თუშეინვიერი შემართვა უფრო მეტადაა განვითარებული, ვიდრე ქართულის ბარის ეილოგებში, ამას უთუოდ რეზობელი ტომის ენა (წოვური) უწყობდა ხელს.

თუშურ კილოში ხმოვანთა თუშეინვიერი შებართვა თანდათანობით ქრება. ისეთ ნასესხებ სიტყვებში, რომლებიც ჰაეთი იწყება, თუშური ჰაეს ქარგავს; მაგ., წოვურიდან ნასესხებია სიტყვა ჰერწ (ქვაბი), ამ სიტყვას თუშურმა დაურთო კუნიობითის უნა.

1. ს. ჟღენ ტ. ი, ხმოვანთა თუშეინვიერი შემართვა სეანურში, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, VI, 5; 1945.

2. ა. შანიძე, სუბიკეტური პრეფ. მეორე პირისა და ობ. პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმებში: თხზულებანი, I, 1957, გვ. 229.

აფიქსი, უნდა მიგველო ჰერაშუნაცი ფორმა, მაგრამ ასე არა-  
ვინ არ ამბობს, არამედ ასე: ერაშუნაცი. ჩანს, ჰანს, ჰაიკარგა.

დღეს სალიტერატურო ქართულის გავლენა თუშურ კალიზე  
დიდია, ამიტომ მოსალოდნელია, რომ ფშვინვიერი შემართვა  
სრულიადაც გაქრეს.

§ 3. ხმოვანთა ძლიერი შემართვა-დამართვა. ხმოვანთა ფშვინ-  
ვიერი შემართვის გვერდით თუშურში ვხვდებით ხმოვანთა ძლიერ  
შემართვა-დამართვასაც.

ხმოვანთა ძლიერი შემართვის მაგალითები:

ცაცხამ (ამან)	ციცხამ (მან, იმან)
ცაცირას (მას, იმას)	ციცქ (იქ)
ცაცსთაცი (ასეთი)	ცაციქ (იქ)
ცეცურ (ეს)	ციცქ (აქ)
ცაცსნ (ის)	ციცქ (ექ, აქ)

ხმოვანთა ძლიერი დამართვის მაგალითები:

- ეტყუბაც (ტყუბად ეხოცა, ტყუბად ეჭირა).  
ვინაც? რაჭმაც?  
ჰიც, ჰოც, ჰიც (დადასტურებითი ნაწილაკებია).  
ციაც, ცეც (უარყოფითი ნაწილაკებია).

სანამ ც ბერის ფუნქციასა და წარმომავლობას, ძლიერი შე-  
მართვისა და დამართვის მიხეხებს შეკეთებოდეთ, განვითაროთ  
გრძელი ხმოვნები თუშურში, რადგანაც როგორც დავინახავთ,  
ც ბერა გრძელ ხმოვნებთან ორგანულ კავშირშია აქ, ხმლო ძლი-  
ერი შემართვა და დამართვა ხმოვნებისა თავის მხრივ ც-სთანაა  
დაკავშირებული.

§ 4. გრძელი ხმოვანი თუშურში. თუშურში სიგრძე ახასიათებს  
ოთხ ხმოვანს, ესენია: ა, ე, ი, უ.

გრძელი ხმოვანი თუშურში შედევია ორი ხმოვნის შერწყმისა.  
შეერწყმის ერთმანეთს ან ერთნაირი ხმოვნები ან ასიმილაციის შე-  
დევად დამსგავსებული ხმოვნები.

გრძელი ხმოვანი შეიძლება მივიღოთ იმგვარადაც, რომ ერთმა  
ხმოვანმა შეორეს მარცვლიანობა გადასცეს.

განვიხილოთ გრძელ ხმოვანთა მიღების შემთხვევები:

ა) ზმნისწინის ხმოვანი ერწყმის ქცევის ან ვნებითი გვარის  
მაწარმოებლ (ა, ი, უ, ე) პრეფიქსს და ვიღებთ ნ, რ, ჲ, ე

ხმოვნებს, გრძელ ხმოვნებს (რომელთაც ჯ მოსდევს ხოლმე. ნ. წ 6).

მაგალითები:

აა → ა: გაცეკეთებს (გააკეთებს), გაცჩინს (გააჩენს).

აუ → უ: დუშაბლოვდ (დაუშაბლოვდა), დუშლამდ (დაუშლამდა).

აი → ი: ციტხვენ (აიღე), ციტთარ (აეთრია).

აე → ე: გეცხზდებ (გაეცხრდება), გეცყინებ (გაეცყინდა).

ოუ → უ: მუშამბობს (მოუყვება), მუშტანს (მოუტანს).

ოა → ა: მაცწვდენს (მოაწვდება), მაცხარშვიებს (მოახარშვინებს).

ეა → ა: შაჟგლი (შეაგლი), შაჟუხ (შეაწუხა).

(დაწვრილებით ამის შესახებ ნ. წ 5).

მოგვადს პატარა ამონაწერი ჩვენ მიერ ჩაწერილი თუშური ზღაპრილან.

იყო ერთ მონადირე ბეროვა, თუ ნადირობდის. ერთხელ წავიდ სანადიროდა-დაც ერთ ჯირვ მოკლ. ციც მ ჯირვს უაშ-ფუშ გად-მაცყრეია-დ, ეში წავიდ, თან კიდევ შებინდდ.

ცეცხლ დაცნთა, ხახლ ფიქრობს, მწვად ვჭამოვ. რაღაცა კივილ მეცდინ იმ დროს, კიდე მეორედ მეცდინ: ჰარიქა, ბერო, მიშველევ. გახედ, წინ ფერდა ხეონდ, ციც მ ფერდაში-ადაც ერთ ქალ გამორბისა-დ, უკვენ კიდე მგელ მოზდევს. გაჭენდ ცეც ს ბეროვა, რო დუშაბლოვდ. თოფ ასრია-დ, მოკლ წველა.

ციც ს ქალ წიცყვან ქოხში. ციც მ ქალმ უთარ: ახლ მეშინისავ. ვეღარ წავალივ. წავიდნეს ქოხში, ციც ს მწვადებ შეწვეს, ქამესა-დ' ქალმ უთარ: ბეროვა, ხანჯარ შემჩუქსენივ, მეავ დანა-ხანჯარ მეტაც მაშინებსავ. ბერომაც შემცუქსნ ციც ს ქამარხანჯარი-დ' თავსთან დიცწყლ...

ბ) ზოგიერთ ხმოვნით დაწყებულ ფორმის (ნაცვალსახელებს, ზმინზედებს ან ზედსართავ სააელებს) წინ დაერთვის ჩვენებითი ნაწილაკი ა და ფუძის ხმოვანთან შერწყმის ნიაღზე ვიღებთ ი, ვ, ე გრძელ ხმოვნებს.

მაგალითები: ცეცსი (← \*ცაცესი), ციცქ (← ცაციქ), ციცქ (← ცაცაქ) და სხვა.

ანალიზი ვუყოთ რამდენიმე მათგანს:

აა → ა: ააბამ → ცაცამამ → ციცმამ.

აე → ე: \*აემაძ → ცაცემაძ → ციცმაძ.

აი → ი: აიმამ → ცაციმამ → ციცმამ.

აქ მოცემულია სიტყვათა მოოლოდ საწყისი და საბოლოო ფორმები.

თუშურის მხგავსი მდგომარეობა გვაქვს ხევსურულშიც, მხოლოდ იმ ვანსხვავებით, რომ ამ უკანასკნელში ასიმილაციის შედეგად მიღებული მხგავსი ხმოვნები გრძელ ხმოვანს ვერ ქმნან, არ ერწყმიან ერთიმეორეს. ხევსურულში გვაქვს „ეეზლა“, თუშურში კი — „ემპლ“; ხევსურულშია „ეეს“, თუშურში — „ცეცსი“ და სხვა.

„ენი შვნა: ვანსხვავება გვაქვს იქაც, სადაც წინ დართული ჩვენებითი ნაწილაკი ა დამსგავსებული არ არის. ვანსხვავებას ქმნის თუშურისათვის დამახასიათებული ხმოვანთა გამყოფი ც. თუშურში გვაქვს ცაციმით, ცაცის, ცაცისთაც... ხევსურულში — აიშით, აის, აისეთი...<sup>1</sup>

ხევსურულისა და თუშურის ანალოგიური მდგომარეობა უნდა გვქონდეს ინგილოურში; მაგალითად: „ის კაის ეემაგრ უკანაყავ დოუბრუნდეთავ“<sup>2</sup>, ეელაც<sup>3</sup>, ეემ<sup>4</sup> და სხვა.

ხევსურული მასალების ბოლოს დართულ ლექსიკონში ამ ა ნაწილაკის შესახებ პროფ. ა. შანიძე წერდა: „ა შემოკლებული აი (აპა) ნაწილაკია, რომელიც აბლა დამოუკიდებლივ ალარც კი იქმარება, არამედ ყოველთვის რომელსამე სიტუაციან ერთად, იმის წინ“.

თუშურში დღეს ჩვეულებრივია ასეთი ფორმების ხმარება: ცაცის, ცაციქ, ცაციმის, ცაცისთაც და სხვა.

გ) გრძელი ა (მ), გარდა ზემოთ განხილული შემთხვევებისა, გვხვდება კიდევ საქუთარ სახელთა ნაწარმოებ ფორმაში და ვითარების ზმინზედებში. აქაც ა მიღებულია კომბინაციური გნით.

მაგალითები: მოზაფთნ (მაზაიძეებისა, მოზანთი),

ჩიგლაპუთნ, ზურაპუთნ, კურდელაპუთი და სხვა.

მოზაფთნ ← მოზაფ-ან-თ-ი.

აღნიშნულ ფორმებში ან ფორმანტის ნარი ჩიგარდნილია, გვხვდება ასეთი ფორმებიც: მოზაფნ, ჩიგლაპუნ, დევდარაპუნ (დევდარაიძეები, დევდარაანნი).

დაკარგული გინის საკომპენსაციოდ დაგრძელებულია ა წოპუთამ (← წოვაცთამ) და წოპუნ (← წოვაცნი) ფორმებში.

<sup>1</sup> ჩვეს. მასალები: „წელიწვეული“, 181,1; 211,9; 241,3; 206,7.

<sup>2</sup> რ. ლამბაშიძე, ინგილოური კილა: „უნივერსიტეტის შრომები“, XXX ვ, გვ. 252.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 258.

რაც შეეხება ვითარების ზმნიზედებს, მათთან გრძელი ა (ა) მიღებული უნდა იყოს ქონების გამომხატველი ა სუფიქსისა და ვითარებითი ბრუნვის ად ფორმანტის ა-ს შერწყმით; მაგალითები: ფერწყდ, უდმალაწდ, უდერწყდ (ბევრად) და სხვა.

ფერწყდ ← ფერაწ-ად

გრძელი ა გვხვდება მაშინაც, როცა შეკითხვაა და იგი გამოხატულია სხვათა სიტყვის ნაწილაკის დართვით ზმნაზე; მაგ.: უზღლავ? (უზღოო?), გუჩეცოებ? (გავუკეცოო?), თქვავ (ოქვაო?).

ანალიზი ვუყოთ რამდენიმე მაგალითს:

მშულოვანი? ამ ფორმის ჩამოყალიბების პროცესი შეიძლება წარმოვალგინოთ ასე: მიულო-ა-ო → მიულონვ. სხვათა სიტყვის ოკარგას მარცვლიანობას, სამავივეროდ წინამავალი კითხვითი ნაწილაკი ა დაგრძელდება, იქცევა ა-დ (შრდ. სვან. ხოჩიშ „კარგიმც“, ხოჩიშ ჯრ, „კარგიმც გაქვს“ — გაგიმარჯოს).

გუჩეცო-ა-ო → გუჩეცოებ? (გავუკეცოო?)

თქვა-ა-ო → თქვავ (ოქვაო?)<sup>1</sup>. კითხვითი ა-ს დაგრძელებას ისიც უწყობს ხელს, რომ მასვილიც მასვე ეცემა სიტყვაში (ნ. § 8).

ზემოთ განხილულ შემთხვევათა მიხედვით საშუალება გვეძლევა ვთქვათ შემდეგი: თუშურში ხმოვანთა სიგრძე გამოწვეულია ხმოვანთა შერწყმით; ხმოვანთა შერწყმა ხდება ორი გზით: ასიმილაციისა და ერთი ხმოვნის მიერ მცორისათვის მარცვლიანობის გადაცემის გზით. უკანასკნელს აღილი აქვს ხმოლოდ სიტყვის ბოლოს (ხელის შემწყობ პირობად უნდა მივიჩნიოთ თუშურში მოქმედი ინტენსიური მახვილი).

§ 5. ძლიერი შემართვა-დამართვა და ც ბგერა. თუშურში ც ბგერა გველინება ხმოვნების გამყოფად. მეტწილად ეს ხმოვნები იმსგავსებენ ერთიმეორებს. ასეთ შერთხვევაში ხმოვანი, რომელიც იმსგავსებს, გრძელდება, ც კი გადადის ამ ხმოვნის უკნ; მაგ., გააცეთა → \*გააცეთა → გაცეთ; მოილო → \*მოცილო → \*მიყილო — მიცლო.

ხმოვნების გამყოფი ც ძირითადად გვხვდება ზმნებში. იგი ერთმანეთისაგან ყოფს ზმნისწინის ხმოვანსა და გვარის ან ქცევის საწარმოებელ ხმოვანს. /ამის გარდა, იგივე ც ხმოვნების გამყოფად

<sup>1</sup> პროფ. ა. შანიძის შენიშვნით, „ფშაურშა, როგორც ეს ვაჟა-ფშაველას ნაწერებიდან ჩანს, ჯერ სხვათა სიტყვის ო არის და შემდეგ კითხვითი ნაწილაკი: „არ მოგხვდაუ, რჯულძალლო“ („ალუდა ქეთელაური“), არ მოგხვდაუ ← არ მოგხვდაო-ა“.

გვივლინება ზმნიზედებსა და ჩვენებით ნაცვალსახელებში, უკანას-კნელებს წინ დაერთვის ჩვენებითი ნაწილაკი (ნ. ჭ 4, ბ). ორდესაც სიტუაცია იწყება ხმოვნით და ამ ხმოვანს მოსდევს მცვეთრი ც, გვაქვს ძლიერი შემართვა. მაგ.: ციცუგან ( $\leftarrow$ \*აცივან), ციცურილ ( $\leftarrow$ \*აცაცილ), ცეცქს, ცაცის, გვაქვ და სხვა.

აქ ხმოვნების ძლიერი შემართვა ც ბგერითაა გამოწვეული. მა-შასადამე, გვაქვს კოარტიკულაციის ველარული სახე. ორგორც ვხე-დავთ, ხმოვანთა ძლიერი შემართვა მორტეული მოვლენაა, იგი შე-დეგია ამ ხმოვანთა ც-სთან მეზობლობისა.

ხმოვანთა ძლიერი დამართვა ახასიათებს სახელებს, ზმნებს, ზმნიზედებს და ნაწილაკებს, ძირითადად ა-ზე დაბოლოებულ ფორ-მებს, იწვიათად ც, ჲ, მ, ი-ზეც.

ც ბგერა სიტყვის ბოლო ხმოვანთან (ა-ს გამოკლებით) იხმარე-ბა გარკვეულ მემთხვევაში, სახელდობრ მაშინ, როდესაც ჩაკითხ-ვითი ფორმები გვაქვს, მაგ.: კაცი?<sup>1</sup> მოვიდაც?<sup>1</sup> წიგლეც?<sup>1</sup> (მაშ წაი-ღვე?) გამჭვირეობა! (გააკეთაო, მაშ გააკეთაო?).

გვაქვს ორი შემთხვევა, როდესაც ჩაკითხვა არა გვაქვს, მაგრამ მცველი ც ს წინ უაღვის ერთ შემთხვევაში ი, მეორეში—ო, ესენია: ჰიც || მიც და ჰოც (დიახ). ეს უცხო არაა საერთოდ ქართულის-თვისაც: „ცალკეული ხმოვნით გათავებული ნაწილაკი შეიძლება წარმოითქვას ძლიერი დამართვით ქართულში, მაგ.: ა’ (სამწუ-ხარო გაკვირვების გამოხატვა)“. 1.

ც ყველაზე მეტად გავოცელებულია კნინობითი ა სუფიქსის მეონე სახელებთან, მაგ.: ქალაცი, ბიჭაცი, ცუტუნაცი და ა საწარ-მოებლიან ზედსართავ სახელებში: ფერაცი, ქერაცი, კაოგაცი, უგო-ნაცი, უჩინაცი და სხვა. აქ ა-ს შემდეგ გვაქვს სახ. ბრუნვის ნიშანი ი ( $\rightarrow$  ი), ორმელიც ორმელიმე სუფიქსის დართვის შემდეგ მაშინვე აღდგება ხოლო (ფერაციშ იუ—აკი მსვავსი იუ) და ხმოვნების გამყოფის გაჩენაც ამითაა გამოწვეული. მაგრამ, ხეორე მარივ, გვაქვს ასეთი ფორმებიც: ძმაც, დაც, ტუეც, ხეც, წყაროც, თაროე... აქაც ხომ გვაქვს სახ. ბრუნვის ნიშანი, მაშ რატომ არ ამბობენ ძმაცი, დაცი, ტუეცი, დედაცი?

საქმე ისაა, რომ ხმოვნების გამყოფი ც სხვა ენის გავლენითაა თუშურ ში დამკვიდრებული.

ხმოვნების გამყოფი ც არ არის თუშურის ორგანული ნაწილი. იგი ხმოვნების გამყოფად ჩნდება მთლიან აფიქსებს შორის. გვაქვს

<sup>1</sup> გ. ახვლედი იანი, ზოგადი ფონეტიკის საუზრულები, გვ. 106.

ასეთი გამოთქმა: გაცონებული აქ კ ჩნდება ზმნისწინის ა-სა და ქცევის ა-ს შორის, მაგრამ ც-ს ველარ ვხედავთ „გაოჯრება“ ფორმაში, რადგანაც ზმნისწინის ა-ს მოსუევს არა აფიქსი — სმოვანი, არამედ ძირისეული ა.

სხვა მაგალითები: იამბი (იამბო), იომ (იომა) — აქაც ა ძირი-სეულია და ც არსადა ჩანს, ერთისა და იმავე ძირისაგან გვაქვს გაალდ (ალად იქცა) და გაცალ (გააალა, ალად აქცია) და სხვა.

ყოველივე ეს იმაზე მიგვითოთებს, რომ სმოვნების გამყოფი ც არაა ქართულად მოლპარაკე თუშების კილოს დამახასიათებელი ბეგერა; იგი ამ კილოში დაშვებიდოებულია წოვერის გავლენით, სადაც ფართოდ იყენებენ მას. რაც შეეხება ც-ს ხმარებას ორიოდ საკუთარ სახელში (გიუო, იოუო), ესეც წოვერის გავლენით უნდა აიხსნას (მღრ. შიო, ფიო...). ასეული წლების ბან-ძილზე მჭიდრო ურთიერთობა იყო და არის თუშებსა და წოვებს შორის.

**ს 6. ასიმილაცია.** ასიმილაცია ფრიად გაფრცელებული მოვლენაა თუშურში. ჩვენ აქ ძირითადად ხმოვანთა ასიმილაციას შევეხებით.

თუშურში ასიმილაცია-დისიმილაციის საკითხს ეხება დოკ. შოთა ძიძიგური<sup>1</sup>. ავტორი თავის წერილში იხილავს ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველს ქართულ კილოებსა და ზანგურში.

ამ წერილიდან ჩვენ განვიხილავთ ავტორის მოსაზრებათა მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც თუშურ კილოს ეხება.

ავტორს ხმოვანთა კომპლექსები დალაგებული აქვს სამ რიგად:

A რიგში ლია ხმოვანს მოსდევს ვიწრო ხმოვანი;

B რიგში ვიწრო ხმოვანი წინ უსწრებს ლიას, ხოლო

C რიგში მოთავსებულია თანაბარი ლიაობისა და იდენტური ხარვენები.

ჩვენც საკითხს ამ რიგების მიხედვით განვიხილავთ.

A რიგისათვის ავტორი ადგენს ასეთ წესს: „მომდევნო ვიწრო ხმოვანი ავიწროებს წინამდგალ უფრო ფართო ხმოვანს“, ხდება რეგრესული ასიმილაცია, რის შიდევადაც ვიღებთ გრძელ ხმოვანს. ეს ხდება სიტყვის თავში (ასიმილაცია ხდება ფუქისეულ და პრე-

<sup>1</sup> შ. ძიძიგური, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანგურში: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, I, 1945.

ვერბისეულ ხმოვნებს შორის), იქვე მოყვანილია „ნიმუშები თუშურიდან“, თანვე დართულია ფორმულები, რომელიც განსაზღვრავენ ასიმილაციის პროცესს A რიგის ხმოვნებთან თუშურში.

აი ეს ფორმულები და ნიმუშები:

აი → \*ეი → იი → ო(→ ი): ციცილებს... გიგიმარჯოს, გიკეთ...

ეი → იი → ო(→ ი): შიცარ, შიტან... შიარ.

ოი → \*ეი → იი → ო(→ ი): მიციგონ (|| შიცვონ)... მიგონ

„გიგიმარჯოს“, „დიგიფიქრავ“, „შიარ“ ფორმები თუშურისა-თვის უცხოა (აგტორიც შენიშნავს, რომ მარტივ ი-სა და უ-ს მიღება მსგავს ფორმებში მეტად იშკიათიაო).

გრძელი ხმოვანი, რომელიც თუშურში შიღებულია ფუძისეული და პრევერბისეული ხმოვნების შერწყმის საფუძველზე, არასოდეს არ გაღადის მარტივ ი სა და უ-ში, რადვანაც გრძელი ხმოვანი, რომელსაც მუდამ ც-ც აბლავს ხოლმე (ნ. § 5), მთელ რიგ შემთხვევებში გვიყვლინება ფონემად. ამისი დადასტურება შეგვიძლია თვით ავტორისავე ჩიტრ მოყვანილი მაგალითებით.

ავტორის თანახმად, გიკეთ მაღებულია ამისგან: გიკეთ(ა), ნაცდვილად კი მიღებულია ამისგან: გიკეთ(ა). ხოლო გაიკეთა მოგვცემს გრცეკეთა-ს. -გიკეთ“ სამპირიანი ზმნაა, ხოლო „გაიკეთა“ (თუშურად გრცეკე) — ორპირიანი; ასეთივე მდგომარეობაა მიგონთან. აგტორით, მიგონ ← მოიგონა, მაშინ როდესაც მიგონ სამპირიანია, მოიგონა კი — ორპირიანი, რომლის თუშური შესატყვისია მიწცგონ.

სხვა კომპლექსების მიმართ ავტორი აყალიბებს ასეთ ფორმულებს:

აუ → \*ოუ → უუ → უ(→ უ)

ოუ → უუ → უ(→ უ)

როგორც ზემოთ, აქაც სადაცოა ფორმულის ბოლო ნაწილი — უსაგან უ-ს მიღება. რადგანაც სანიმუშოდ მოყვანილი მაგალითებიც კი (დუქარ, გუკვირდ, მუტანს, მუკლავს და სხვა) არა თუშურისთვის ბუნებრივი. ეს გამოთქმები თუშის ყურს ეუხერხულება. გრძელი უ-ს მოკლე უ-დ შეცვლამ შეიძლება ისეთივე უხერხული შედეგები მოგვცეს, როგორიც ზემოთ ვნახეთ, სადაც გრძელი ი-ს ნაცვლად მოკლე ი იყო დაწერილი.

მაშასადამე, ზემოთ დასახელებული კომპლექსებისათვის ასიმილაციის პროცესი თუშურში შეიძლება გამოვსახოთ ასეთი ფორმულებით:

აი→\*ეი→\*იი→ი  
 ეი→\*იი→ი  
 იი→\*ეი→\*იი→ი  
 აუ→\*ოუ→\*უუ→უ  
 უუ→\*უუ→უ

В რიგის შესახებ, სადაც ვიწრო ხმოვანი წინ უსწრებს ღიას, დოც. შ. ძიძიგური აღნიშნავს: „ადგილი აქვს ვიწრო ხმოვნის კიდევ უფრო დაფიშროებას, ჩანს, მომდევნო ხმოვანი ვერ აჩენს სასამილაცია ძალას. პირიქით, საქმე გვაქვს დისიმილაციასთან ამ სიტყვის, ფართო მნიშვნელობით“.

აფტორი იქვე იძლევა В რიგის კომპლექსთა განვითარების წერებების გზას (განვიხილავთ ზოგიერთს):

აა→უა→ტა→ვა(→ა)  
 ეა→ია→და

ამ ფორმულების ყველაზე მეტ გამართლებას ავტორი თუშურში ხედავს, რადგანაც ფორმულის ბოლო ა მხოლოდ თუშურში გვხვდება (თუშურა კი იშვიათადო, დასცენს ის<sup>1</sup>) და მოყვანილია ორი მაგალითი:

მაყვონდ←მოაგონდა  
 მაკერქ←მოაკერხა (მოახერხა)

ამ ფორმულებში დისიმილაციის შედევად დაიკარგა პრევერბის ადა მხოლოდ ა შემოგვრჩა.

ავტორის ეს დემულება სადავოდ მიგვაჩნია, რადგანაც „მოა-კერქ“ შინაარსით არ არის „მაკერქ“: პირველი ამას ნიჩნავს: „მოა-ხერხა“, მეორე კი ამას: „ჩამაგონა“; „მოაკერქ“ ორპირიანი ზმნაა, „მაკერქ“ სამბირიანი.

აქაც მხედველობაში არ არის მიღებული ხმოვნის სიგრძე, რო- მელიც თავის მხოვ შედევია არა დისიმილაციისა, არამედ ასიმი- ლაციისა.

მაშასადამე, ჩვენი აზრით, В რიგის ხმოვანთა კომპლექსების განვითარების გზა თუშურში ასეთი იქნება:

აა→\*აა→პ: მაყქვ (←მოაქვს), მაყყოლ (მოაყოლა)  
 ეა→\*აა→პ: მაკეტ (←შეახტა), შაკტურ (შეატყო).

<sup>1</sup> შ. ძიძიგური, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტი. პროცესთა საფუძველი ქართ. კილოებსა და ზანურში: „იბერიულ-კავკ. ენათმეცნიერება“, I, 1946, გვ. 26.

2 თ. უთურგაძე



В რიგის ხმოვანთა სხვა კომპლექსები ასიმილაციას არც განიცდიან. რაც შეეხება დისიმილაციას, ამ რიგის ხმოვანთა კომპლექსებთან აუ პოზიციაში იგი არა გვაქვს.

შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: ხმოვანთა B რიგის აა და ვა კომპლექსებისათვის თუშურში იგიც კანონი მოქმედებს, რაც A რიგისათვის.

კიდევ ერთი საკითხის გაჯებაში ვერ დავეთანხმებით დოც. შ. ძიძიგურს, სახელდობო, თითქოს ეფ-ს დისიმილაცია ( $\rightarrow$   $\rightarrow$   $\rightarrow$ ) თუშურსაც ეხებოდეს. „ეე-მი წინა ხმოვანი ვაწოოდება შემდეგს კილოებში: მესხურში, მთარაჭულში, თუშურში, გურულში, იმერულში, ნაწილობრივ ქვემო იმერულში“<sup>1</sup>. არა, თუშურში ე-სთან არა გვაქვს დისიმილაცია, არამედ სწორედ მოსალოდნელი ე გვაქვს. აი მაგალითებიც: შეყბრალ ( $\leftarrow$  შეებრალი), შეუყარ ( $\leftarrow$  შეეყარა), შეუჭამ ( $\leftarrow$  შეეჭამა), მაგრამ: საქმეებს, ღელეებს, საკელეებს და სხვა.

როგორც ვხედათ, ზმნებთან გვაქვს გრძელი ე (ე) (ხმოვნების გამყოფიც ხომ ამაზე მიგვითითებს!), სახელებთან — ეს, როგორც სალიტერატურო ქართულმი.

თუშურში ვერ შევხვდებით ასეთ გამოთქმებს: შიებრალა, შიეყარა, საქმიები, ღელიები...

ამრიგად, C რიგის კომპლექსებთანაც თუშურში გვაქვს ასიმილაცია და არა დისიმილაცია.

ხმოვანთა ასიმილაციასთან დაკავშირებით ერთხელ კიდევ შევხებით გრძელი და მოკლე ხმოვნების ხმარების საკითხს თუშურში. კ ბერა ხმოვნების გამყოფია თუშურში, მას აქ სხვა ფუნქცია არ გააჩნია. როდესაც ხმოვნები, რომელთაც კ ყოფს, იმსგავსებენ ერთიძეორებს და შემდეგ ერწყმიან, კ მაინც რჩება და მოსდევს გრძელ ხმოვანს.

ასეთ ვითარებაში გრძელ ხმოვანს მკვეთრი კ ყოველ თვის მოსდევს თუშურში, ამიტომ, როგორც ალგნიშნეთ, შეცლომა იქნებოდა გრძელი ხმოვნების ნაცვლად მოკლეების დაწერა. ზემოთ მოყვანილი მაგალითების გარდა, განვიხილოთ კიდევ რამდენიმე მაგალითი.

<sup>1</sup> შ. ძიძიგური, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტ. პროც. საფუძველი ქართ. კილოებსა და ზანურში, „იმერიულ-კავკ. ენათმეცნიერება“, I, 1946, გვ. 30.

გ მ ც ჯ ა ვ რ ორპირიანი ზმნაა და ნიშნავს ამას: გააჯავრა (მან ის), გ ა ჯ ა ვ რ კი ორპირიანია და ნიშნავს გაჯავრა (მან შენ).

გ მ ც ჯ ა ვ რ ზმნისწინიანი ფორმაა, გ ა ჯ ა ვ რ — კი უზმნისწინო, მნიშვნელობითაც ისინი სხვადასხვაა. პირველ შემთხვევაში ობიექტურ მესამე პირია წარმოლგენილი, მეორე შემთხვევაში კი — მეორე პირი.

ასეთივე მდგომარეობა გვაქვს ამნაირი წარმოების სხვა ზმნებთანაც:

მ ა ც ჭ ვ დ ი ნ (მოაწვდინა მან მას ის, ამხანაგმა ამხანაგს ხმა) და მ ა წ ვ დ ი ნ (მან მე ის), მ ა ც დ ი ნ და მ ა დ ი ნ და სხვა. აქ დაპირისპირებული ფორმები ერთიმეორეს ვერ შეცვლიან.

მყენთრად ჩრდილი სხვაობა გრძელ ე-სა და მოკლე ე-ს შორისაც: მ ე ც დ ი ნ (მოისმა ის) ერთპირიანია, ხოლო მ ე დ ი ნ ორპირიანია (მედინა მე ის); მ ე ც გ თ რ ი ნიშნავს: მოეთრია (ის), მ ე თ რ ი ნი — მეთრია (ტე ის). როგორც ჩანს, მათ შორის დიდი სემანტიკური სხვაობაა.

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს გრძელ ი-სა და მოკლე ი-ს-თან, გრძელ უ-სა და მოკლე უ-სთანაც; მიგალითად: გუცგრ ნიშნავს ამას: გაუგო, გუგო კი სახელია წოდებით ბრუნვაში და ნიშნავს ამას: ბავშვო (კუკლავ) (ნ. გუგაცრ). ასევე მ ე ც ც ვ ა ნ ნიშნავს ამას: მ ი ც ვ ა ნ ა, მ ი ც ვ ა ნ კი — ამას: მატარა, ა მ ი ც ვ ა ნ ა; გ ძ ფ გ რ უ დ რ ი ს ამას: გაიგო (მან ის), ხოლო გიგრ — გიგო (აგიგო მან შენ ის).

გოძელი ხმოვნის (ოომელსაც ბგერა ც ახლავს) გათანაბრება მოკლე ხმოვანთან არ შეიძლება, შეცდომაა.

ზემოთ ვიხილავდით რეგრესულის, ამავე დროს კონტაქტური ასიმილაციის მაგალითებს. მოგვყავს დისტანციური ასიმილაციის რამდენიმე მაგალითი, რომელიც, აგრეთვე, რევრესული იასიათისაა:

ცუტუნაცი $\leftarrow$ ცოტაუნაცი; უნ ა კნინობის აფიქსია.

თუმურში იამარება ხთის ფორმა, რომელიც მიღებულია ამის-გან: ხვთის. ღვთის $\rightarrow$ ხვთის $\rightarrow$ ხთის: ღ დაყრუებულია თ-ს მეზობლად.

ზღველთ $\leftarrow$ სღველთ (შემოდგომით). ს გამჟღერდა დ-ს მეზობლად (შდრ. ძვ. ქართ. სთუელი).

პროგრესული ასიმილაციის მაგალითები:

ულუნდაც $\leftarrow$ ულონდაც (ნ. ხმოვანთმონაცვლეობა),

წურულაცი $\leftarrow$ წურილაცი (შდრ. ძვ. ქართ. წულილ, წურილ).

თუშურში იძგარება სიტყვები სახელო და საზღლო. ორივე ალ-ნიშანის ქსლის ძაფს: სასქლო—საქსლო. გვაქვს მეტათეზისი.

საზღლო მიგვითოთებს იმაზე, რომ თავდაპირველი სახე ამ სიტყვებისა იქნებოდა საგსლო, საიდანაც, მეტათეზისის შემდეგ, პროგრესული ასიმილაციით მივიღეთ სასქლო (ხ-ს მეზობლობაში გ დაყრულდა), ხოლო რეგრესულით—საზღლო (გ-ს მეზობლობაში ხ გამულერდა): საზღლო—სასგლო—საგსლო. თუშურის ჩვენებაც ამართლებს მოსაზრებას, რომლის მიზედვით ქსელში ქს—გს<sup>1</sup>.

აქვე შევნიშნავთ, რომ მოსალოდნელი იყო ასიმილაცია მი ზმნისწინის ი-სა და ქცევის უ-ს შორისაც. შემდეგ კი, მათი შერწყმის ნიაღაზე, გრძელი უ-ს მიღება (შდრ. ოუ, ეუ კომპლექსები: მუცტანს ← მოუტანს, მუცკეთებს ← შეუკეთებს); მოსალოდნელი იყო, ავრესვე, რომ მი ზმნისწინის ი-მოგვცემდა გრძელ ი-ს გვარის ან ქცევის ი-სთან შერწყმის საფუძველზე, მაგრამ მოლოდინი არ მართლდება, კიდევ მეტი, მათ შორის არც ხმოვნების გაწყოფი გვხვდება.

თუშურში დღეს შეიძლება შეგვხვდეს ასეთი ფორმები: მიიპარებ, მიეშურებ, მიუშვერს, მიითვისებს, მაგრამ ამავე ზინარსით ვერ შეგვადებით მიცპარებ, მიცშურებ, მიცშვერს, მიცთვისებს ფორმებს (მიცშურებ, მიცთვისებს საერთოდ არც გვხვდება). მიიპარებ, მიეშურებ, მიიკერებს, მიიფარებს, მიიზლაზნებ ფორმების ნაცვლად თუშს ურჩევნია თქვას: იპარებ, ეშურებ, დიცკერებს (დაიკერებს), მიცფარებს (← მოიფარებს), იზლაზნებ.

სავარაუდებელია, რომ ადრე მი ზმნისწინის თუშური არც კი ხმარობდა ანდა იშვიათი ხმარების შედეგად ეს ზმნისწინი საგსებით ამოვარდნილი იყო კილოდან. მისი გამოყენების არე დღეს ძალიან ვიწროა. მას ცვლის მო და წა ზმნისწინები. სალიტერატურო ქართულის გავლენით მი ზმნისწინი თუშურშიც მკვიდრდება.

იგივე შეიძლება ითქვას იუ კომპლექსზე, როცა ი მი ზმნისწინისაა, ხოლო უ ქცევის ნიშანია. თუშურისათვის იშვიათია მიუტანს ფორმა, გავრცელებულია წუცტანს (← წაუტანს). იგივე ითქვის წუცლებს ფორმის შესახებაც. რომელიც მიღებულია აქედან: წაულებს (სალიტ. ქართულშიც ხომ წაულებს ფორმა იხმარება, არა გვაქვს მიულებს).

<sup>1</sup> ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, I, 1926.

**§ 7. ხმოვნების დაკარგვა-დაფიწროება.** ხმოვანთა დაკარგვა-დაფიწროება ფრიად გავრცელებული მოვლენაა თუშურში. აქ განვიხილავთ ამ მოვლენის გავრცელებულ შემთხვევებს.

### ა) ხმოვანთა დაკარგვა

1. იყარგება მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის ა (მა→მ); მაგ., კაცმ., ქალმ., ლუბუშმ.; იყარგვის მესამე სუბიექტური პირის ნიშანი ა უწყვეტლისა და წყვეტილის მწეროებში, მაგ., ჯავრობდ, არტყამდ; იჯავრ, დაწრტყ და სხვა.

იყარგვის II კავშირებითის საწარმოებელი ა მხოლობითი რიცხვის პირველ და მეორე პირში: მოვკლ (მოვკლა), მოვქნ, დავწვ (დავწვა); მოხქლ (მოხქლა) მონქნ, დასწვ და სხვა.

იყარგება სუბიექტური მესამე პირის ნიშანი ა II თურმეობითის მხოლობითი რიცხვის სამსავე პირში; მაგ., მომექლ, მოგექლ, შეჟელ; გაჟეკო, გაგეკეთ, გეჟეკეთ და სხვა.

იყარგება და კავშირისა და და თანდებულის ა-ც: და → დ: ძმაი-ღ' და ღ (ძმა და ღა), წასრულიყო-დ' მეჩელ (წასულიყო და ეპოვნა).

და (თანდ.)→დ: მამისად ეთქვ (შდრ. მამისადაც ეთქვ), ცხვრისად თავ დღუნებ (ცხვრისთვის თავი დაენებებინა), ამხანაგებისად ეამზრ და სხვ.

2. ე იყარგვის I კავშირებითისა და წყვეტილის მხოლობითი რიცხვის პირველ და მეორე პირში (წყვეტილში — როცა ამ უკანასკნელს ე სუფიქსი აშარმოებს), მაგ.: ვამბობდ (ვამბობდე), ამბობდ; ვაკეოებდ, აკეოებდ; ავიღ (ავიღე), ცრულ (აიღე) და სივა.

ე-ს კარგვეს ვე და რე ნაწილაკებიც, მაგ.: ყველაუნივ (←ყველანივე, მაგრამ: ყველაცნივე წაყქ იყვნეს), მთელაცნ, ცეცმაგრ (←ცეცმაგრე), აქცსრ და სხვა.

3. იყარგვის ა-ც კნინობის საწარმოებელი ა ფორმანტის წინ, მაგრამ ეს ხდება იშვიათად; ა ა-ს წინ ძირითადად ვიწროვდება (ნ. ქვემოთ). აი ა-ს დაკარგვის ორითოდე შემთხვევა: უჩინაუნ (←უჩინოაუნ) — ბნელი; უგონაუნ (←უგონოაუნ) — უგონო, უჭიუო, შდრ. ულონუაუნ (←ულონოაუნ).

4. მშირად იყარგვის სახელობითი ბრუნვის ნიშანი ი; მაგ.: ქალ, კაც, დიაკვნ და სხვა.

5 იყარგვის უწყვეტლის, I და II ხოლმეობითის მხოლობითი რიცხვის I და II პირში (I ხოლმეობითში იგულისხმება უწყვეტ-

ლის ხოლმეობითი); მაგ.: ვარლვევდ ( $\leftarrow$ ვარლვევდი), არლვევდ; ვარლვიდ, არლვიდ.

შენიშვნა: I და II პირში უწყვეტელსა და I ხოლმეობითს ერთნაირი ფორმები აქვთ. გარჩევა ხდება მესამე პირის ფორმებში (ნ. § 28).

შევნიშნავთ, რომ ი-ს დაკარგვას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს ადგილი, როდესაც მას წინაღალებაში სხვა სიტყვა მოსდევს; მაგ., ვინ გყავის მოწმე, რო შენ ლეკ მოხვალი-დ' ცნებ თოთ ცნც მისეულაც გაქვ; შენ გამაგები იდ, რაც გეტყვის გორგი სხვა შემთხვევაში ი უმარცვლო ხდება; მაგ., იცი, რო ხახლაც გარევ არის ციცს კელი? თორლვაც ვარ მე. ბასაჯაცურა.

უნდა ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნული რედუცირებული ხმოვნები, რომლებიც სიტყვის ბოლოში დგანან, ლექსში, მეტწილ შემთხვევაში, მარცვალს ქმნიან, არ იკარგვიან, მაგ..

ამბობენ ჩალმათ ბიჭები:

—საველოდ დავჭრეთ მთანიავ.

კიდევ: ზოგნი ამბობენ, წავინეთ;

• ზოგნი უშლიან ჯარებსავ.

ეს ხმოვნები არ იკარგვიან მაშინაც, როცა მათ მოსდევს თანხმოვნით დაწყებული ფორმანტი, როგორიცაა: ვ ( $\leftarrow$ ო, სხვათა სიტყვის ფორმანტია), ლ ( $\leftarrow$ ლა) (თხოვნით კილოს საწარმოებელი ფორმანტია), ვ, რე ნაწილაკები და სხვა; მაგ., ძროხები ლ რამდენ ყოფილიყო? ...ლეკი წ მყავის მოქლული? ქაცივ, შავივ; მოხვიდი-დივ, დაშჭრიდივ და სხვა.

მსგავს მაგალითებს ყოველ ნაბიჯზე შეხვდება კაცი თუშური ტექსტების კითხვისას.

### ბ) ხმოვანთა დავიწროება

თუშურში ძირითადად დავიწროებას, ანუ ნაწილობრივ რეფუქციას განიცდის ო. ვიწროვდება ვ-ც, მაგრამ შედარებით იშვიათად, ისიც მხოლოდ კნინობის საწარმოებელი ა სუფიქსის წინ.

განვიხილოთ ეს შემთხვევები.

ვიწროვდება სხვათა სიტყვის ო: ო→უ→შ→ვ; მაგ.: უზლოვ ( $\leftarrow$ უზლოვ), თქვავ ( $\leftarrow$ თქვაო) და სხვა.

თა→უა-: მუალის ( $\leftarrow$ მოალის $\leftarrow$ მოვალის); მუატან ( $\leftarrow$ მოატან $\leftarrow$ მოვატან ‘მოვასწრებ’, დავიშებ’); უცოლუაცი ( $\leftarrow$ უცოლოაცი), უდედუაცი ( $\leftarrow$ უდედოაცი), უქუდუაცი ( $\leftarrow$ უქუდოაცი) და სხვა.

ეა→ია: მუკლიაცი ( $\leftarrow$ მუკლეაცი), ზიაცი ( $\leftarrow$ ზეაცი, რძე). ალმი-აცი, მიაც ( $\leftarrow$ მეაც), ცალკიაცი, თავეჭიაცი ( $\leftarrow$ დაღმართი) და სხვა.

არის ასეთი თუშური ანდაზა: „ციცაც ერთიაც ჩხაოდა-დ’ ზიაც ყველაცს უნდოდა“ — კატა შარტო ერთი ჩხაოდა და რძე ყველას უნდოდა.

კიდევ მაგალითები: საქაომიაცი ( $\leftarrow$ საქაომეაცი), სალორიაცი, საჭამიაცი (ჩანთა, აბგა საჭირისთვის).

ხმოვანთა დაკარგვა-დავიწროების მთავარ მიზეზად მასვილი უნდა იქნეს მიჩნეული (ნ. შ. 8).

შ. 8. მახვილი თუშურში. თუშურში ამჯამად მოქმედი მახვილი ძველი ქართულისებურია — ინტენსიური და დინამიკური.

მოგვყაეს რამდენიმე მაგალითი, სადაც ვთიქტობთ, უნდა ჩან-დეს ინტენსიურობა თუშურში მოქმედი მავილისა.

ქართულში გვაძეს სიტყვა ოწყილი, რომელიც მიღებულია გრწყილიდან<sup>1</sup>. თუშურად ოწყილს ეძასიან გორწყილს.

აქ გრ-ს შუაში მყოფი ი მახვილის წყალობით უნდა იყოს გა-დარჩენილი<sup>2</sup>. სამაგიეროდ იმავე მახვილის წყალობით სახელო-ბითი ბრუნვის ნიშანი სრულიადაც იკარგვის ხოლმე (ნ. შ. 7, ა).

„მრგვალი“ თუშურად ასე იქნება: მირგვლიაცი: „გარეშემო“ ასე: გარმირგვლიაცი. სხვათა შორის, მრთანამოქნებს შორის ხმოვანი დაუცვეს ივრის-ხეურ ფშაურსაც: „მურგვლივ მოავლე სამი ზღვა<sup>3</sup>....“ აქაც ხოვანი მახვილის წყალობით უნდა იყოს გადარჩენილი.

ასეთივე მდგომარეობა გვაძეს შემდეგ მაგალითებშიც:

გირკალი ( $\rightarrow$ გრკალი $\rightarrow$ კრკალი $\rightarrow$ რკალი)

კურკოხ ( $\rightarrow$ კრკო $\rightarrow$ რკო)

ლირძილი ( $\rightarrow$ ლრძილი), ქირთუმაცი, აკავანი ( $\rightarrow$ აკვანი) და სხვ.

<sup>1</sup> გ. ახვლედიანი. ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, გვ. 345.

<sup>2</sup> თუმც აკად. გ. ახვლედიანი ამ ი-ს უწოდება ანაპტიქურ ხმოვანს (ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 235). შევნიშნავთ, რომ გრ კომპლექსი თუ-შურისათვის ჩვეულებრივია, მაგ.: გრიალებს ღერებს, გროლი, გრილი...

<sup>3</sup> ა.ლ. ლეკიაშვილი, ივრის-ხეური ფშაური: სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი I, გვ. 161.

მახვილიც სწორედ ამ ბმოვნებზე მოდის (გრძელი, კურკოხ...). ზოგიერთ აქ მოყვანილ თუშურ ფორმას ხევსურულშიც ვხვდებით: გირწყილი, აკაგანი და სხვა.

თუშურში ფიქსირებული მახვილიც გვაქვს, მას ვხვდებით შედგენილ შემასმენელთან, მაგ.: კუდიანი (კუდიანია), კაცი (კაცია), კალორ (კალოა), წყარორ (წყაროა) და სხვ. თუ მახვილს წინ გადაგვეჩა ამ ფორმებში, მაშინ შედგენილი შემასმენლის ნაცვლად არსებით სახელს მივიღებთ; მაგ.: კუდიანი (კუდიანი), კაცი (კაცი)... წყარორ (წყაროა).

ზედგენილ შემასმენელთან დაკარგულია დამხმარე ზმნა არს: თავდაპარველად იქნებოდა კუდიანი არს, შემდეგ — კუდიანი, ბოლოს — კუდიანი.

კუდიანი, წყარორ და მსგავს ფორმებთან მოქმედი მახვილი თვისით თვისებებით განსხვავებულია სალიტერატურო ქართულსა და თვით თუშურში მოქმედი ინტენსიური მახვილისაგან: ამ მახვილის ქვეშ მდგომი ხმოვანი, თითქოს გრძელაა, ხმის აწევით გამოითქმის, ე. ი. მახვილი ტონურულია — ემყარება ხმოვნის სიმაღლეს. მსგავსი ვითარება შეიძჩნევა ხევსურულშიც, სადაც მახვილი ძირითადად ბოლოდან მეორე ხმოვას ხმოდის.

„კუდიანი არს“ გამოითქმაში არს ატონას წარმოადგენდა. ასე რომ თუშურშიც და ხევსურულშიც ამ ფორმებთან მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალს ეცემოდა. მახვილი ამავე დროს ინტენსიურიც ჩანს, რადგანაც ა (←არს) ჩავარდნილია.

კითხვითი ა ნაწილაკით ნაწარმოებ ფორმებში მახვილი უთუოდ ა-ს ეცემა ხოლმე თუშურში; მაგ.: არსა? (არის?), ცოვალისა? (მოდის?) და სხვ. ასეთ სიტყვაში შეიალება ორი მახვილიც გვექნდეს. ბოლოდან პირველი მასვილი მაინც კითხვით ა-ს ხვდება აქაც.

საერთოდ, თუნდაც ა ნაწილაკი არ გვქონდეს ფორმაში, მახვილი ხშირად მაინც საკითხავი სიტყვის ბოლო მარცვალზე ხმოდის; მაგ., რამად? (რმაა?), შენ ხარდ? (შენ ხარ?), მაგრამ შეიძლება ასეც: შენ ხარ?

აქ არ შეიძლება არ გავისსენოთ პროფ. ა. შანიძის შენიშვნა (გავა ა, ჩასწევა, ხარა) კითხვითი ა-ს შემცველი ფორმების შესახებ: „ასეთი ფრაზების წაკითხვის დროს ისუთი ჩვეულება აქვთ ხოლმე, რომ თვით კითხვით ა-ნს დასცემენ ხოლმე ტონს, მაგრამ ეს ტონი ბოლოდან მეორე მარცვალზე უნდა იქნეს გადმოწეული, როგორც ამაზე მიგვათითებს კითხვის ქვეშ დაყენებული სიტყვების დღვანდელი ლიტერატურული გამოთქმა იგულისხმება, რომ

მახვილიანი მარცვლის შემდეგ უმახვილო კითხვითი ა დაიკარგებოდა<sup>1</sup>. მართლაც, დღევანდელი ლიტერატურული გამოთქმა ასეთი გარაუდის სასარგებლოდ ლაპარაკობს. განსხვავებული მდგომარეობა თუშურში მეორეული ჩანს.

### § 9. ბგერების მონაცემები (ალტერნაცია)

ა) ხ მოვნების მონაცემები. გვაქვს ხმოვანთა მონაცემების შემძეგი შემთხვევები: ოუ, ეი, აი, უი. .

ოუ: ჭორი, თუშ. ჭური.

ეი: აქლემი, თუშ. აქლიმზ; თექალთოა და თიქალთოა.

აი: სად, თუშ. სიდ.

უი: ეუბნება, თუშ. ეობნებ; ოლონდ, თუშ. ულონდ, ულუნდ.

ბ) თანხმოვნების მონაცემები. თუშურში მონაცემების შემდეგი თანამოვნები: ბ|მ, ფ|მ, ლ|ნ, ქ|კ, ვ|მ, ნ|ლ, ნ|მ, დ|ტ, ს|ჩ, ძ|ზ. მაგალითები:

ბ|მ: ტკბილი—ტკმილი  
კბილი—კმილი  
ბრტყელი—მტყელი  
ფ|მ: ფრთხილი—მთხილი  
ლ|ნ: ერთხელ—ერთხნ  
ქ|კ: ქვეყანა—კვეყანაა  
ვ|მ: სავსე—სამსვიაფი  
აოწივი—არწიმი

ნ|ლ: ნიშანი—ლიშანი  
ნ|მ: ბალკონი—ბალკონი (ბალკუმი)  
ლ|ტ: იძოდენი—იძოტოლაა  
რამოდენი—რამოტონაა  
ს|ჩ: სალტე—ზალტეა  
ძ|ზ: ძე — ზე, ჯიჯურიზე ← ჯიჯუ-  
რიძე

შენიშვნა: ზე (რძე) ასიმილაციის გზითაა მიღებული: სძე→ზძე→ზე.

### § 10. ბგერების გადასმა (გერათეზისი)

ბარიახი ← ბაირახი. ღურბელი ← ღრუბელი, გროლი ← როლი ყირვანი ← ყინვარი ← მყინვარი, ვეჟად ← ვევად. უკანასკნელ შემთხვევაში ბგერათა გადასმასთან შეიძლება არც გვქონდეს საქმე. შდრ. „უვეჭულად მომავალ არს ჟამი იგი საშინელი (მარხვათა საკითხავი, 392 გვ.<sup>2</sup>).“

<sup>1</sup> ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, § 63. 1 და მე-2 შენიშვნა: ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, შედგენილი ა. შანიძის, ალ. ბარამიძისა და ილ. აბულაძის მიერ, 1939 წ.

<sup>2</sup> ს—№ 1139, ინახება ხელნაშერთა ინსტიტუტში.

აღსანიშნავია, რომ „დარჩენა“ ზმნასთან ირიბი აბიექტის ნიშანი თითქმის ყველგან გადასულია ძირში რ-სა და ჩ-ს შორის, მაგან:

„...ეშმაკთ არ დარჩეს ჩემ სულივ; „გა დავრ შეით სა-  
თათროს“; „საბაცე მაგათ დარჩეო“ და სხვ. \*დაპრჩეს →  
→\*დარჩეს → დარსჩეს → დარშჩეს.

§ 11. 1 თანხმოვნების დაკარგადა, თანხმოვანი შეიძლება დაი-  
კარგოს სიტყვის ყველა ნაწილში: თავში, შუაში, ბოლოში. ზოგ-  
ჯერ მოელი მარცვალი იყარგვის ხოლმე. თუშურში შეიძლება დაი-  
კარგოს შემდეგი თანხმოვნები: მ, ნ, რ, ლ, ვ და სხვა. მაგალითები:  
რო ← რომ, ცემა ← ემანდ, თვარ ← თვარამ, წკრეზე ← მწკრეზე (მწკრივ-  
ზე), წამოალის ← წამოყალის, სო ← ხომ, თუ ← თურ ← თურე (თურე),  
მოიდ ← მოვიდ (მოვიდა), გაზდილი ← გაზრდილი, კდედ ← ქლდედ,  
კოჩი ← კოვზი, რატო ← რატომ, სუ ← სულ, თოლი ← თოვლი, წავი-  
ნეთ ← წავიღნეთ, შეცინეს ← შევიღნეს, კანად ← რკინად.

გვხვდება კიდევ „სიიშროედ“ და „იშრუაცი“ (ვიწრო) ფორმები.  
„ვიწრო“-სთან შედარების ნიადაგზე შეიძლება გვეთქვა, რომ აქ  
გინიაო დაკარგული, მაგრამ ძ. ქართულში სწორედ უგინო ფორ-  
მები გვხვდება: იწრო, იწროება, სიიშრე.

გვხვდება კიდევ დაწრჩვეს (დაასრჩვეს) ფორმა. თუ ეს ფორმაც  
არქაული არაა, მამინ ხ აქ ჩავარცნილია<sup>1</sup>.

§ 12. აფრიკატიზაცია. აფრიკატიზაცია გვაქვს შემდეგ მაგა-  
ლითებში:

ცხვად ← სხვად, უნძრახაცი ← უნძრახაცი (შდრ. ივ. ქართ. ზრახვა).

§ 13. არის ორიოდე შემთხვევა სიტყვის ბოლოში გ-ს დაყრუ-  
ებისა. გ→კ: ცხვაკ ← ცხვაგან (სხვაგან) გან თანდებულის გაცვეთის  
შემდეგ გ→კ: ან ერთკ იქნებოდ ან მეორეკ, რაც ნიშნავს:  
ან ერთგან იქნებოდა ან მეორეგან (შდრ. ხევსურული)<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ლ. კიკაძე, ხ ბეგრის განვითარების შემთხვევები ქართულში: „სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრ.“, XXIV, გვ. 126—127.

<sup>2</sup> ა. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში: „იბერიულ-კავკ. ენათ-  
მეცნიერება“, I, 1946, გვ. 228.

ଧର୍ମ ବ୍ୟାଙ୍ଗ ଓ ଲୋକ ଜୀବନ

ଧୂ

ବ୍ୟାଙ୍ଗ ପରିଚୟ

## მ ო რ ი ფ ი ლ ი ტ ი ბ ი რ ი

მორფოლოგიურ მოვლენათა განხილვისას ჩვენ შევეხებით მხოლოდ ისეთ ფორმებს, რომლებიც თუშურს თანამედროვე სალიტ. ქართულისაგან განსხვავებული აქვს. ეს განსხვავება შეიძლება ფონეტიკური მიზეზით იყოს გამოწვეული ანდა ქართული ენის არქეული ფორმების დაცვით.

**ს 14. სახელობითი ბრუნვა.** ხმოვნით დაბოლოებულ სახელებს სახელობით ბრუნვაში მოუდის ( $\leftarrow$ ) (ნ. § 1); მაგ.: ხევ, ქვავ, ომალოს ტყევ, ჩემ იმავ და სხვა.

თანხმოვნით დაბოლოებულ სახელებს ბრუნვის ნიშნად მოუდის უმარცვლო ი ( $\leftarrow$ ); მაგ.: ერთ ქალი, მონა კაცი და სხვა.

ზოგჯერ სახელობითი ბრუნვის ნიშანი სრულიად გამჭრალია როგორც ხმოვნიანი, ისე თანხმოვნიანი დაბოლოების მქონე სახელებთან. ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, როცა წინადაღებაში სახელობით ბრუნვაში დასმულ სახელს სხვა სიტყვა მოსდევს. მომდევნო სიტყვა შეიძლება იწყებოდეს თანხმოვნით ანდა ხმოვნით—ამას ბრუნვის ნიშნის დაკარგვისათვის მნიშვნელობა არა აქვს; მაგ.:

შეხყარა თუშის ჯარები, კევსურ ჩატვალა ქმლიანი.

...ჩამოდგებ ხისოს ლაყაში როგორც ნაგუბარ წყალივ.

არ გახვიდ მეზობელთანა, მეზობლის ენა ჭრელია.

სახელობითი ბრუნვის ნიშნად გვხვდება ინიც (ნ. § 7, 9).

**ს 15. მოთხრობითი ბრუნვა.** მოთხრობით ბრუნვაში დასმულ სახელებს ბრუნვის ნიშანი შეიძლება რამდენიმე სახით ჰქონდეს წარმოდგენილი (ეს ეხება როგორც ხმოვნით, ისე თანხმოვნით დაბოლოებულ სახელებს), სახელდობრ: მან, მანა, მა, მ; მაგ.:

„ჰელოში დედან ატირდნენ, ჩვენ მტერ მან შეგვაშინაო“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ივ. ბუქურაული, თუშური ლექსები, 6: „ძველი საქართველო“, ტ. II, 1913.

„...მტერმანა გვიყო ძალიო“<sup>1</sup>.

„ქვათანას მეცხვარებმა ვახშამი ჭამეს გვიანი“<sup>2</sup>.

„თოფმ დამიმტკრია ტალია“<sup>3</sup>.

მანა ფორმანტში (მტერ-მანა) ბოლო ა ემცატიყურია.

მოთხოვობითი ბრუნვის საწარმოებლად დღეს ყველაზე მეტად იშმარება მ: კაცმ, იმამ, ფიქრმ, ნარიაძმ და სხვა.

**ჭ 16. მოქმედებითი ბრუნვა.** თუშურში მოქმედებით ბრუნვას დაკისრებული აქვს გამოსვლითის (დაწყებითის) ფუნქცია. ასევე იყო ძველ ქართულში<sup>4</sup>.

მაგალითები:

„მთით ლეკის მონაცირება ლუხუმს მოჰყიდა თვალია“<sup>5</sup>.

„განჯითა გამოსახლებულ გიგნუშიშვილი ბერივ“.

„ცისით ბუზვი გამოარდა, თან გამიყულ უშუნივ“...

უკვეცელ-ფუნქციანი სახელები გამოსვლით ბრუნვაში მხოლოდ სიტყვის ფუძითა და თ-თი არიან წარმოდგენილნი, მაგ.: ომა-ლოთ (ომალოდან), ჩილოთ, ხახაბუთ, აბანოთ მომდინარაცმ... (აბანოდან მომავალმა) და სხვ.

ამ ფორმებში დაკარგულია მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი კონტაქტი: ომალოთ ← ომალოხთ ← ომალოით; შდრ. ძველი ქართ. იერიქომთ (მათ. 20, 29).

მოქმედებითი ბრუნვის ფორმები ხშირად მთელი სინტაგმის შინაარსს გადმოსცემნ, ასე მაგალითად: მთითა ზოგ კონტექსტში ნიშნავს მთაში მყოფს, ზინითა — ზინ მყოფს; „აბანოთ მომდინარაცმ ბალკუნითა მ გადახედ“ ნიშნავს ამას: აბანოდან მომავალმა ბალკონზე მყოფ მა გადახედა.

„ბალკუნითა“ და მსგავსი ფორმები ისევე იბრუნვიან, როგორც არსებითი სახელები.

სახ. ბალკუნითად

მოთხ. ბალკუნითაბ

მიც. ბალკუნითას

ნათ. ბალკუნითის

<sup>1</sup> ივ. ბუჭურაული, თუშური ლექსები, 6: „ძველი საქართველო“, ტ. II, 1913, გვ. 37.

<sup>2</sup> ივ გვ. 56.

<sup>3</sup> დ. როსტომაშვილი, თუშური ლექსები: „მოამბე“, № 3, 1897.

<sup>4</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, § 93, 1953.

<sup>5</sup> დ. როსტომაშვილი, თუშური ლექსები: „მოამბე“, № 3, 1897.

მოქ. ბალკუნითით  
 ვით. ბალკუნითად  
 წოდ. ბალკუნითაო || ბალკუნითავ.

ჩვეულებრივ ეწარმოება მრავლობითი ოიცავის ფორმებიც.

თუშურში ვტვდებით ომალოთი, წყაროთი ... ფორმებ-საც: ცეცხა კაც ომალოთი ნიშნავს ამას: ეს კაცი ომალო-დანაა (გვ. 24).

ომალოთი ← ომალომოზი ← \*ომალოთია (ნ. ს 8).

**§ 17. მიცემითი ბრუნვა.** სალიტერატურო ქართულის სადაო-ბითი ბრუნვა თუშურში მიცემითით გაღმოიცემა. თუშურში აქაც დაცულია ძვ. ქართულის ნირმა; ანალოგიური მდგომარეობა ვვაქვს ქართული ენის ზოგ სხვა კილომიც.

მაგალითები თუშურიდან:

„დიკლოს ატირდეს დედანი: ძალი ვიქადეთ ღვთისია“.

„თუ ჩემმა იმამა მიკითხოს, განჯას თათარსთან ვარივ“.

**§ 18. წოდებითი ბრუნვა.** წოდებითი ბრუნვის ნიშანი თუშურში ა-თია წარმოდგენილი. ხშირად სულ არა ვვაქვს — გამქრალა, ზოგ-ჯერ კი წარმოდგენილია ამ სახით: პ (← ა).

მაგალითები:

1. „ცხენ მთხოვე, ძმაო, არ მოგეც...“<sup>1</sup>.

„ტიალო, დედო, ტიალო, დანოს ჟაგირში ტრიალო, ცხენების თარეშობაო, ქალების გულის გრიალო.“

2. „ქალ, ქებით გამოთხოვილო დედისი-ღ’ დედის ღისია“.

3. ბიჭა, ქალა — ასე მიმართავენ თუში პატარძლები მაზლსა ღა მულს (სახელს არ ეუბნებიან).

„მაშინ კარგი ხარ, ზაფულო, მთას, თოლო, გადაზდიოდე, ჭალაცს ჩაზდიოდ, ყინულო, გორს, მწვანილა, ამოზდიოდევ“.

**§ 19. მრავლობითი რიცხვი.** თუშურში გვაქვს როგორც ებიანი, ისე ნარ-თანიანი მრავლობითი. მოგვყავს ნარ-თანიანი მრავლო-ბითის მაგალითები:

<sup>1</sup> ივ. ბუქურაშვილი, თუშური ლექსიბი, 5: „ძველი საქართველო“, ტ. II, 1913.

„ჭარიდან მოუდიოდა ყოჩნი და ვაცნი რქიანი“<sup>1</sup>.

„თუშით არ იციან. ყითარუცა ვინ არის მონა, ბატონი“<sup>2</sup>.

„თოვლი თოვს ნაყაიზოხე, ფარსმას შუშბან დარია.

სამთა ძმათ იღაროზეანთ გაყოფა ღგულვა ცხვრისია.“

„ქოფაკთა მქონდის იმედი, ოხრებთ არა ქნეს ყეფანი“<sup>3</sup>.

აღსანიშნავია, რომ ხშირად მოთხრობით ბრუნვაში დასმულ სახელს მრავლობითი რიცხვი ორმაგად ეწიარმოება; მაგ.:

„გომეწრელო ქალებთ იციან გაჭიჭვა გარმონისაო“.

იმედ მქონდ ქოფაკებისა, ოჯრებთ არა ქნეს ურიალი“.

„ცხვარი ლეკებთა გარეჭეს, აქ ვშევარ მჯარ-სისხლიანი“.

ასეთი ფორმები ამეამად ძალიან გავრცელებულია თუშურში.

§ 20. ძლიერი დამართვის შემნე სახელების ბრუნება. სალი-ტერატურო ქართულისაგან განსხვავებული ბრუნება ახასიათებს ძლიერ დამართვიან სახელებს (აღრე აღვინიშნეთ, რომ ძლიერი დამართვა ძირითადად აზე დაბოლოებულ სახელებს აქვს, მაგრამ არა ყველას). მათ ც ყველა ბრუნვაში გადაპყვება, ამავე დროს ეს სახელები კვეცას არ განიცდიას ნათესაობითსა და მოქმედებითს / ბრუნვაში, შამინ როდესაც სალიტ. ქართულში ეს სახელები იკვე-ცებიან. სანიმუშოდ ვაბრუნოთ ქალაცი (გოგონა).

### მხ. რიცხვი

### მრავლობითი რიცხვი

ებ-იანი ნარ-თანიანი

საა. ქალაცი	ქალაცები	ქალაცნი
მოთ. ქალაცმ	ქალაცებმ	ქალაცთ
მიც. ქალაცს	ქალაცებს	„—“
ნათ. ქალაცის	ქალაცების	„—“
მოქ. ქალაცით	ქალაცებით	—
ვით. ქალაცდ	ქალაცებად	—
წოდ. ქალაცო	ქალაცებო	ქალაცნო, ქალაცნ

ამნაირად იბრუნების ძლიერი დამართვის მქონე სხვა სახელებიც: დროშაცი (ნათ. დროშაცის, მოქ. დროშაცით; შდრ. სალიტ. ქართ.: დროშის, დროშით), ჭილტაცი (ქალია), ბიჭაცი და სხვები.

§ 21. მსაზღვრელ-საზღვრულის ერთად ბრუნება. ატრიბუტული მსაზღვრელისა და საზღვრულის ერთად ბრუნებისას, საერთოდ, გარჩეულია ორი შემთხვევა: პირველი, როდესაც მსაზღვრელის

<sup>1</sup> დ. როსტომაშვილი, თუშური ლექსები: „მოამბე“, № 3, 1895.

<sup>2</sup> ი. ბუჭურაული, 1.

<sup>3</sup> ი. ქვე, 56.

ფუქე ხმოვნით ბოლოვდება და მეორე, ორდესაც მსაზღვრელის ფუქე თანხმოვნით ბოლოვდება. ორივე სახის მსაზღვრელი თუშურში ძირითადად უცვლელად (ფუქის სახით) რჩება საზღვრულთან ერთად ბრუნებისას. სანიმუშოდ ავიღოთ თანხმოვან-ფუქიანი მსაზღვრელი და ვაპრუნოთ საზღვრულთან ერთად.

საბ. კარგაც კაცი	ლამაზ ქალი	ლამაზ ქალები
მოოხ. კარგაც კაცი	ლამაზ ქალმ	ლამაზ ქალებმ // ლამაზ ქალებთ
მიც. კარგაც კაცს	ლამაზ ქალს	ლამაზ ქალებს
ნათ. კარგაც კაცის	ლამაზ ქალის	ლამაზ ქალების
მოქ. კარგაც კაცით	ლამაზ ქალით	ლამაზ ქალებით
ვით. კარგაც კაცად	ლამაზ ქალად	ლამაზ ქალებად
შიდ. კარგაც კაცო	ლამაზ ქალო	ლამაზ ქალებო

ამათ გვერდით, არც თუ ისე იშვიათად, ვხვდებით არქაულ ვითარებასაც მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის: ბრუნვის ნიშანი მსაზღვრელსაც მოუდის, მაგალითები:

მოთხოვითი ბრუნვა: „ჭევიანმან ხაზეინებმა“.

„მიცემითი ბრუნვა: „ერთს თვეს მდებრ ჯარი-დ...“

„შეცოახვიეს სანგალი, სამს დღეს იქ ედგა ცხვარია“.

„ომში ნამყოფებს თუ შებსა ამბავს ხეითხავენ დედანი“. ვითარებითი ბრუნვა: „დავჯელი-დ“ ტირილ დავიწყე, ცეკვლ

მომდის სამად ჯარადავ“.

ნათესაობითი ბრუნვა: „თუშის ქალმა სთქვა: შევირთავ ბას-რის ხმლის ამოძლებელსა“<sup>1</sup>.

აქე შევნიშნავთ, რომ ადამიანის რქეების სახელები აუშურში ხშირად გვარს ბრუნვაში უთანხმდებიან ხოლმე; სალიტერატურო ქართულში კი „ადამიანის რქეების სახელი, თუ ის გვართან ერთად ისხარება, მსაზღვრელთა II ტიპს უერთდება“<sup>2</sup>, მხოლოდ გვარი იბრუნვის (მაგ., ლეო ქარელიშვილი).

მაგალითები თუშურიდან:

„ჯაცომან ბერიკაციზემ შუ ჩამოხია ჯარია“.

„მთვრალაცმა თორჯივლიზემა ალეისა დადვა ტანია“.

„შეთემა ჰვიადიზემა ერთ ნოტო ჩასხლიტ მტრისაო“;

„ხუტურმა გამართიზემ ამოამლერა ქმალიო“.

<sup>1</sup> ივ. ბუქურაული, თუშური ლექსები, 3: „ძვ. საქართველო“, ტ. II, 1913.

<sup>2</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, § 126, 1953.

3 თ. უთურგაიძე

ბრუნვის ნიშნის ნაწილობრივ კვეცას („კარგი ამხანაგის“, „კარგი ამხანაგით“) თუშურში ადგილი არა აქვს.

**§ 22. მართული მსაზღვრელი სახელობით ბრუნვაში.** როგორც ცნობილია, ფშაურში, ვაჟას მიხედვით, მართული მსაზღვრელის ფარმა შეიძლება სახელობითში ინით იყოს წარმოდგენილი: ტყისი, ხისი...<sup>1</sup> მათ ვევდებით თუშურსა და ხევსურულშიც; სალო-ტერატურო ქართულს ასეთი ფორმები არ ახასიათებს.

მართულ მსაზღვრელს სახელობითის ი უჩნდება როგორც მხოლობით, ისე მრავლობით რიცხვში.

მართული მსაზღვრელი მხოლობითში

„ფოთოლ ვარ ბუერაცხასა, საქანებელი ქარისი“.

„ჭალაც ტბა დგასავ სისხლი სივ“.

„ქალისი ცოდო-ბრალია“.

„ნაწვეთ ჩამოხდის სისხლი სი“.

„...ჭარაფი მოზდევს ნისლისი,

მერით მიზდევს მონადირეი,

ქოჯო წელთ აშშვი ისრისი...“

ჩეერა გამოდის ქვიშისი“.

მართული მსაზღვრელი მრავლობითში

„... მაკრატიონთი ქალივ“ (ბაგრატიონთა ქალიო).

„შენდობა დუმსოს ნაკოცთი“...

„ლურჯას მოვზდიევ ნალთი ელვასავ“.

„გულმჯურვლად ტირილს განვირან დართლოელთ

ქალთი-დ“ რძლისაო“.

„სულეოში შემოგყვებოდა ბერთი დედ-მამათ

ბრალივ“.

მართულ მსაზღვრელს შეიძლება გაუჩნდეს ი როგორც პრეპოზიციულ, ისე პოსტპოზიციურ ძდგომარეობაში (უფრო ხშირად მეორე შემთხვევაში). ჩეეულებრივ მეტყველებაში განცალკევბულ მსაზღვრელთან ი ზოგჯერ ე-ის სახითაა წარმოდგენილი (თუ გავრცელის ფორმას დაერთო, მაგ.: ძმისახ, ძმათახ, ამხანაგისად და სხვ.), ზოგჯერ კი—რ-ს სახით, თუ გაუკრცობელ ფორმას ერთვის (ძმისჩ, ძმათჩ, ამხანაგით და სხვ.).

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, § 131.

როცა ამ ფორმებს (ძმისაც, ძმისი...) დაერთვის ერთთანხმოვნიანი ნაწილაკი წ, ც ან დ ( $\leftarrow$ -და), ი აღდევბა ხოლმე, მაგ.: ქალთია-დ' რძლისაო, ძმისი-დ'; ძმისაი-დ' ამხანაგისის; ხევ ჩემ ამხანაგისა იწა იწა! (ეგ ხომ ჩემი ამხანაგისაა). განსხვავებას პლიშნულ ფორმებს მორის ქმნის ემფატიკური ხმოვანი.

უდავოა, რომ ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია როგორც „ძმისი“, ისე „ძმისადწ“ ფორმაში (შდრ. მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელი ძე. ქართულში: სახელი ძძისაც).

ეს უფრო სარწმუნო გახდება, თუ გაფიხსენებთ სახელთა ნაწილაკიან ფორმებს, სადაც, აგრეთვე, ადგილი აქვს სახელობითი ბრუნვის ნიშნის ის აღდგენას ფუძის ბოლო ხმოვანსა და ნაწილაკს შორის, მაგ., ხეივ, მთაივ; კალიოც, კალოიშ და სხვ.

„თურდე მოდიანავ მთელ საკე მწიფოივ სანახავადავ.

ციცქ ბუ მ ბული ისივ“.

დაყოფილად დაბეჭდილ ფორმებში სახელობითის ის აღდგენას ხელი შეუწყო სხვათა სიტყვის გ-ს დართვამ.

§ 23. მეორე სუბიექტური პირისა და მესამე ობიექტური პირის ნიშნები. მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ფორმები წარმოების მხრივ თუშურში ისეთივე მდგომარეობაა, როგორიც ხევსურულში<sup>1</sup>, სახელდაბრ: ეს პრეფიქსები მოდიან ჰაესაგან და სანისაგან; სხვადასხვა ფონეტიკურ კომბინაციაში სანისაგან ვლებულობთ ზ, შ, უ-ს, ჰაესაგან კი—ხ, ლ-ს. მესამე მოიქმედური პირის არეფიქსის ანალოგიურ ცვლილებას. აღგილი აქვს გურულსა და აჭარულში<sup>2</sup>. „იგი უციო არ უნდა იყოს არც სხვა დასვლური კილოებისათვის“ <sup>3</sup>.

სანი გვაქვს შემდეგ თანხმოვნებთან: თ, რ, წ, ც, მაგ., სტკბები, სწევბარი, სთელავს, სტკეცს, სწოვს, სცელავს და სხვა.

ზენი გვაქვს დ, ძ-სთან; ზაგ., ზდებს, ზძახავს (ძა ხვახ—ძაფის გრეხა სპეციალური იარაღით) და სხვა.

ზინი გვაქვს ჭ, ჩ-სთან; მაგ., შჭამს, შჭვრეტს, შჩეჩავს, შჩრის.

უანი გვაქვს მშოლოდ ჯ-სთან, ზაგ.: უჯლვლებს (ლეჭავს), უჯიჯ-გნავს, უჯობ და სხვა.

<sup>1</sup> ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, სს 63, 70, 71. (თუშულებანი, I, გვ. 229, 239—252).

<sup>2</sup> ქ. ლომთათიძე, ნაშტები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში: თბ. სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, VI, 1937.

<sup>3</sup> იქვე.

ლანი გვაქვს მეღერებთან: ბ, გ, ვ, ზ, ნ, რ, ლ-სთან, ზოგჯერ ფ-სთანაც; მაგ.: ლნახილ, ღვარდებ (მაგ., ზედ ღვარდებ), ღბანს, ღვავს (გვის), ლმალავს, ლრეცხს, ლლესავს. ლფრინავ და სხვა.

ხანი გვაქვს პ, ჭ, ც, კ, ყ, ჭ-სთან, მაგ.: ხარავს, ხქონდ. ხკითხვავს, ხყავ, ხქელავს (პოულობს) და სხვა.

### მაგალითები ტექსტებიდან:

1. ცხენო, გატყობაწ, გეშინის, ბექებს ვერ ღფრინავ მაღალსავ.
2. ლექებს ხკოცს, კელებს არ აჭრის, უჩელოდ სახელ არ არსავ.
3. მოვიდა შუალაშის ხანჩ, მამალაცმ შეხკრა ფრთანია.
4. იმასაც არა დავუჯერ დი, გამოუგდ ნიშაც წარიავ.
5. ძალლო, ჩახყეფ ნე, ყურშაცო, შავისა პატრინისაო.
6. ცხენს გაღმანას გაფრინდაცული, გაზღილსა თივა-ქერზედა.
7. წინდაწინ ულვაშს გაზძოვდა მემრ ქოჩორს მიხყოფს კილსაო.

8. . . . სისხლისა მიშჩეფს ღვარია.

კმლები ელავენ ჰაერზე, მტრებს მისთიბს ქართველო ჯარია.

9. მიზდევს, მიესვრის ბერიზე, მჯარს შჭერენ ფშავლის ყმანია.

**§ 24. ზმნის შეთანხმება პირდაპირ აბიექტთან რიცხვში.** ცნობილია, ორმ ცველს ქართულში ობიექტის სიმრავლე ზმნაში გამოხატული იყო სპეციალური ფორმანტით: ენ, ნ(ენ←).<sup>1</sup>

ნარიან მრავლობითში დასმული პირდაპირი დამატება ზმნაში ხშირად აჩენს სიმრავლის ნიშანს. თუმცურშიც, ორგორც ცველს ქართულში, ობიექტის სიმრავლე გამოხატულია ენ, ნ (←ენ) ფორმანტებით.

### მაგალითები:

- „ზოგნი ამბობენ ჩავიღნეთ, ხისოს ჩავლეწნეთ კარნივ“.
- „შიგითებ უნდა ვარჩივნე თუშებს ნარჩენი ყმანივ“.
- „გადამავალო ყორანო, გადებულენ ჩემნი ბრალნივ“.
- „ღვთის მვილო მოუკლათ ქობალე, თავში დაუცნეთ ქვანივ“.

<sup>1</sup> არ ნ. ჩიქობავა, რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ცველს ქართულში? „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, IX, 1928.

ობიექტის სიმრავლე აღინიშნება II ოურმეობითშიც, მსგავსად ძველი ქართულისა.

### მაგალითები:

„უდერაცნ წეჭყვანნეს“.

„მეციხოვნენ სუ გეცწყვიტნეს“.

„დეცჭირნეს ორნივ, წეჭყვანნეს“.

„უწყლოობასაც შეცწუხნეს“.

„ენაზვნეს ქალ-სიძენი“ და სხვა.

ამათ გვერდით იხმარება, არც თუ ისე იშვიათად, თანამედროვე სალიტერატურო ქართულის მსგავსი ფორმებიც.

დეცლი ( $\leftarrow$ დაელია ‘დაეხოცა’)

ძეცნას ციცსენი, დეცჭოც ციცსენი და სხვ.

სახელობითში დასმული ობიექტის სიმრავლე I ოურმეობითში საერთოდ არა გამოხატული თუშურში, მაგრამ იშვიათად შეიძლება მაინც შეგვხვდეს ავ თემის ნიშნიან ზმნასთან, მაგ.; მინახვან (მე ისინი), გინახვან (იგინი), უნახვან...

თუშურში, მსგავსად თანამედროვე სალიტერატურო ქართულისა, არის ტენდენცია, რომ მიცემითში დასმულ სახელსაც გაუჩნდეს სიმრავლის ნიშანი ზღნაში, მაგ.: გაგიკეთებიათ, შეგინაზავისთ, გენახნესთ, ენახნესთ და სხვ.

### პარადიგმები

#### წყვეტილი

ძხ. რიცხვი

მრავლობითი რიცხვი

- |                                |                        |
|--------------------------------|------------------------|
| 1. ვნახ-ენ-შ მე ციცსენი        | ვნახ-ენ-თ ჩვენ ციცსენი |
| 2. ღნახ-ენ-შ                   | ღნახ-ენ-თ              |
| 3. ნახ-ნ ( $\leftarrow$ ნახნა) | ნახ-ნ-ეს               |

#### II კავშირებითი

მხ. რიცხვი

მრავლობითი რიცხვი

- |             |            |
|-------------|------------|
| 1. ვნახ-ნ-ე | ვნახ-ნ-ე-თ |
| 2. ღნახ-ნ-ე | ღნახ-ნ-ე-თ |
| 3. ნახ-ნ-ე  | ნახ-ნ-ე-ნ  |

## I თურმეობითი

მხოლობითი რიცხვი

1. მინახვ-ან მე ციცსენი
2. გინახვ-ან
3. უნახვ-ან

მრავლობითი რიცხვი

- გვინახვ-ან ჩვენ ციცსენ  
გინახვ-ან-თ  
უნახვ-ან

## II თურმეობითი.

მხოლობითი რიცხვი

1. მენახ-ნ-ეს || მენახვნეს
2. გენახ-ნ-ეს || გენახვნეს
3. ენახ-ნ-ეს || ენახვნეს

მრავლობითი რიცხვი

- გვენახ-ნ-ეს ჩვენ ციცსენ  
გენახ-ნ-ეს-თ  
ენახ-ნ-ეს-(თ)

ამათ გვერდით ყურადღებას იქცევს თუშურში ფართოდ გავრცელებული ფორმები პრეფიქსიანი ვნებათებისა მრავლობით რიცხვში, მაგ.: ციცყარნეს, გრძელიფნეს და სხვა. მსგავს ფორმებს ჩვენ მრავლად ვხვდებით ძვ. ქართულში.

ვნახოთ რამდენიმე მაგალითი ძველს ქართულშიც. „აბოს წამებაში“ ვკითხულობთ: „სანთელნი იგი დაიწუნეს წელთა შინა მისთა“. ან კიდევ: „საესენი შურითა ქრისტიანეთა შეიზრანებაში შეიძლება მას ზედა“. წმიდასა მას ზედა“.

საყურადღებოა, რომ თუშურში ნ ანალოგიურადაა გაჩენილი დღონიანი ვნებითისა და ვიდა ზმინის წყვეტილის III პირის მრავლობით რიცხვში: დაოქრძნეს, დაშავლნეს, წავიღნეს.

ს. 25. თხოვნითი კილო. თუშურში ვხვდებით თხოვნითი კილოს ფორმებს, რომლის გამოხატვის უნარიც სალიტერატურო ქართულსა და მის სხვა კილოებს დაუკარგავთ, რის გამოც ბრძანება და თხოვნა ერთი ფორმითაა გადმოცემული<sup>1</sup>.

თხოვნითი და ბრძანებითი (აუცილებლად შესასრულებელი) კილოები თუშურში ერთიმეურისაგან გარჩეულია—მათ თავ-თავიანთი ფორმები აქვთ; მაგ.: ც ც შ ე ნ (ე) ბრძანებითია, ასევე გ ბ ც პ ე თ (ე); ც ც შ ე ნ ე ლ და გ ბ ც კ ე თ ე ლ კი თხოვნითი კილოს ფორმებია. თხოვნას გამოხატავენ: თ ქ ვ ი ე ლ, ნ უ ლ გ ბ ც კ ე თ ე ბ, ა რ ლ მ ო ხ ვ ი დ (ე), წ ე დ ი ლ და სხვა მათი მსგავსი ფორმები.

<sup>1</sup> ს. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, § 250, 1953.

თხოვნას აწარმოებს დ (←ღა) ნაწილაკი. დ ნაწილაკიანი ფორმები კატეგორიული ბრძანების ინტონაციით თუშის ყურისათვის უჩვეულოა.

ღა ნაწილაკი სიტყვას ბოლოში დაერთვის, თუშური კი, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, სიტყვის ბოლოში ხმოვანს ან კარგავს ან ავიწროებს. ამ შემთხვევაში კარგავს და გვრჩება მთლიან ღა.

ღ (←ღა) ნაწილაკის ხმარება თხოვნითი კილოს გამოსახატავად არც ხევსურულისათვის უნდა იყოს უცხო. „ჟევსურულ მასალებში“ მას ხშირად ვხვდებით. იგი უთუოდ თხოვნას გამოხატავს შემდეგ მაგალითებში:

„ერთ წელ ას, არ განათლულხარ, საკლავილ დაგვლათ რქიანი!“

„ჰეკდერ-ქენ, ადეგ, გულშია მაღლილ მასთხოვე ჯვარსაო!“

„მითხარილ, გამახელაო, აგრემც მიტირებ ძმასაო!“

„მითხარილ, მითხარ, რაი ას, რაად მიმალავ ძმასაო?“

ასე ეხევეწება მამუკა დამწუხრებულ გამახელას<sup>1</sup>.

„მზის გრილონ შამაიყარნებს, უყურელ საკვმის კარშია!“<sup>2</sup>.

თხოვნის საწარმოებელი დ (←ღა) ნაწილაკი როგორც თუშურში, ისე ხევსურულში, გარდა ზენისა, შეიძლება მეტაველების სხვა ნაწილსაც დაერთოს, მაგრამ იგი, რა თქმა უნდა, ზანასთანად დაკავშირებული.

§ 26. გნებითი გვარის ზმნების წარმოება აწმყოში. აწმყოს მესამე პირში თუშურში გვაქვს გნებითების ძეველი ქართულისნაირი წარმოება, მაგ., შეოვე, ცაგრ დამალულად რო კაცებ ვკოცოთ, არ იქნების; დიდოებ სუ იკოცების; როცა დამიკილოვდების (როცა საჭიროდ ვცნობ, უფრო ზუსტად: როცა საჭიროდ საცნობი გამიხდება)... .

დგების, ჯდების, წაგიწყვდების, გიცხონდების და სხვა მსგავსი ფორმები თუშურისათვის ჩვეულებრივია. ასეთივე მდგომარეობა ჩანს ფშაურშიც. ვაჟას „ალუდა ქეთელაურში“ ვკითხულობთ:

<sup>1</sup> ჟევსურული მასალები, ბეს. გაბუურის მიერ შეკრებილი, ა. შანიძის რედაქციითა და მის მიერვე შედგენილი ლექსიკონითურთ: „წელიწდეული“, I-II, გვ. 205.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 208.

„კარგს ნურის პნახავთ, ხევსურნო,  
ერთი დიაცი სწყურებისა.“<sup>1</sup>

ან კიდევ: „...გადავარდება ცხენზეით,  
ყელ-თავქვე ეკიდებისა;  
ნატყვიარი სჭირს ბეჭისთავს,  
ზედ ცეცხლი ეკიდებისა;  
ამხანაგ-მოკლულ ღილლველი  
ჩამიასა ეზიდებისა“.<sup>2</sup>

§ 27. უწყვეტელი: ეს მწყრივი თუშურში ძირითადად სალიტე-  
რატურო ქართულისნაირად იწარმოება; მაგრამ ზოგჯერ უწყვე-  
ტელში სავარცობს ი სუფიქსის ნაცვლად ე მოსდევს ხოლმე I და  
II პირში. მაგალითები ტექსტებიდან:

ციცს ქისტ შემასხარაცებიყო: ეჰე, ჰე, რაჭისად თვალში დამ-  
კრევდევ. ციცმ ღამეს, ჩვენ რო ვაპირებდეთ დაცემას, ციცმ  
ბეჭერ ქისტს ქარები-დ’ ცხენ შინ გეცრექ.

ქისტო, რად ხკლევდე მარხვაცხა<sup>3</sup>, რად არ გპულვიძიდ  
წამზეავ.

ჩანს, უწყვეტლის ასეთი ფორმები ადრე უფრო მეტ გამოყე-  
ნებას პოულობდა თუშურში. ოოდესაც ამას ვამბობთ, მაედველო-  
ბაში გვაქვს უწყვეტლის ფორმები, ოომლებიც მოჰყავს პროფ. ა. შანიძეს თუშურ ზმნათა პარალიგმებში<sup>4</sup>. ამ პარალიგმებში  
სულ მოყვანილია უწყვეტლის თერთმეტი მაგალითი, ამათგან  
თერთმეტივე I და II პირში ე-თაა წარმოდგენილი. მართლაც, ვამ-  
ბობდეწ, ვეჯობდეწ, მჭედევდეწ (მოგვავს ნაწილაკიანი ფორმები,  
რაღანაც ნაწილაკის წინ ხბოვანი კარგადა ხოლმე დაცული თუ-  
შურში) და სხვა მათი მსგავსი ფორმების ხმარება თუშურისა-  
თვის. ჩვეულებრივია დღესაც, მაგრამ მათ გვერდით იხმარება ინიანი  
ფორმებიც: ვამბობდეწ, ვეჯობდეწ...

ამჟამად ინიანი ფორმები სჭაბობენ ენიანებს, რაც სალიტე-  
რატურო ქართულის გავლენას უნდა მიეწეროს.

თუშურ კილში, მსგავსად იველი ქართულისა, უწყვეტლისა და  
წყვიტილის მესამე პირში სუბიექტის მრავლობითობა და პირი

<sup>1</sup> ვაჟა-ფ შაველა, ალუდა ქეთელაური, ვაჟა-ფ შაველა, ტ. II.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> „მარხვა“ კაცის სახელია.

<sup>4</sup> ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრე-  
ფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში (თხშლებანი, I. 1957).

გამოხატულია ეს სუფიქსით როგორც მოქმედებითი, ისე ვნებითი გვარის ზმებში: მაგ., „ტყეჩი დაწყოლით ხევლა ვდეს გარევ ბევრს, ყველაფას შვილოცამდ ამბობ დეს“; „ხულანტელებ რო აღარ დგებოდეს, წყალს არ აწმინდებ დეს“;

ჯვარბოსელ შემოდიოდეს ქაგანთ ცხრანი ძმანი“.

„ორჯერ-სამჯერაც წაცს ხეს თუშთ ცხვრები, დაჯავრ დეს თუზნი-დ, შეცყარნეს ასამდინას კაცნდ.“

„იმ ზდველთ ვირებით კალონ გაღვენ წესა-დ, იმის მემრ აღარც დაუცტაცებავ თუშთ საქონდ“.

§ 28. უწყვეტლის ხოლმეობითი. თუშური ერთი მეორისაგან ასხვავებს უწყვეტლის ხოლმეობითსა და II ხოლმეობითს. უწყვეტ-ლის ხოლმეობითის ჭარმოება თუშურში ისევე ხდება, როგორც ძველს ქართულში. იმისთვის ამოსავალია უწყვეტლის მწკრივი<sup>1</sup>.

უწყვეტელსა და უწყვეტლის ხოლმეობითს I და II პირში ერთ-ნაირი ფორმები აქვთ. მიზეზი ის არის, რომ თუშურში უწყვეტ-ლის მწკრივში ოდ სავრცობიანებსაც ი ხმოვანი მოუდის.

რამდენიმე მაგალითი ტექსტებიდან:

„დაარიგებდის ნაიბი, როგორც მამაი შვილსაო“.

„ჯვარ-ღმერთ ატეულიავ, იამბიანავ, —იცოდის ჭაბრომ“.

„ორნი ამოვლენ მასრკვლავნი, ცას ღურბლებს

არღვევდნიანო...“

„იმ თავის გულის დარღებსა ერთურთსა ეტყოდიანო...“.

და სხვ.

პარადიგმები

უნიშნო ვნებითი

უწყვეტელი

უწყვეტლის ხოლმეობითი

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
------------	------------	------------	------------

1. ვთბებოდნ	ვთბებოდით	1. ვთბებოდნ	ვთბებოდით
2. სთბებოდნ	სთბებოდით	2. სთბებოდნ	სთბებოდით
3. თბებოდ(ა)	თბებოდეს	3. თბებოდის	თბებოდიან

<sup>1</sup> ა. შანიძე, მწკრივთა მოძღვრებისათვის: „საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის მოამბე“, ტ. 6, № 10, 1945.

### დონიანი ვნებითი

უწყვეტელი უწყვეტლის ხოლმეობითი

- |   |   |  |  |
|---|---|--|--|
| მხ. რიცხვი                                      | მრ. რიცხვი                              | მხ. რიცხვი                                     | მრ. რიცხვი                               |
| 1. გშავდებოდნ<br>2. შავდებოდნ<br>3. შავდებოდ(ა) | გშავდებოდით<br>შავდებოდით<br>შავდებოდეს | 1. გშავდებოდნ<br>2. შავდებოდნ<br>3. შავდებოდის | გშავდებოდით<br>შავდებოდით<br>შავდებოდიან |

### ინიანი ვნებითი

უწყვეტელი უწყვეტლის ხოლმეობითი

- |   |   |  |  |
|---|---|--|--|
| მხ. რიცხვი                                      | მრ. რიცხვი                              | მხ. რიცხვი                                     | მრ. რიცხვი                               |
| 1. ვილაპებოდნ<br>2. ილაპებოდნ<br>3. ილაპებოდ(ა) | ვილაპებოდით<br>ილაპებოდით<br>ილაპებოდეს | 1. ვილაპებოდნ<br>2. ილაპებოდნ<br>3. ილაპებოდის | ვილაპებოდით<br>ილაპებოდით<br>ილაპებოდიან |

### ენიანი ვნებითი

უწყვეტლის ხოლმეობითი

მხოლობითი რიცხვი მრავლობითი რიცხვი

- |  |  |
|--|--|
| 1. ვეკირებოდნ<br>2. ეკირებოდნ<br>3. ეკირებოდის | ვეკირებოდით<br>ეკირებოდით<br>ეკირებოდიან |
|--|--|

ორპირიანი მოქმედებითი გვარის ზმნა

უწყვეტლის ხოლმეობითი

- |   |                                       |
|---|---------------------------------------|
| მხ. რიცხვი                                  | მრ. რიცხვი                            |
| 1. ვატირებდნ<br>2. ატირებდნ<br>3. ატირებდის | ვატირებდით<br>ატირებდით<br>ატირებდიან |

## სამშირიანი მოქალაქე

- |              |           |
|--------------|-----------|
| 1. უკირებდით | უკირებდით |
| 2. უკირებდით | უკირებდით |
| 3. უკირებდით | უკირებდით |

შენიშვნა: უწყვეტლისა და უწყვეტლის ხოლმეობითის მრ. რიცხვის III პირის ფორმებში ხშირად ნარიჩნდება ხოლმე: „თბებოდეს, თბებოდიან, შავდებოდეს, შავდებოდიან“ ფორმების გვერდით ხშირად ვხვდებით ამათ: თბებოდნეს, თბებოდნიან, შავდებოდნიან, ატირებდნიან და სხვა (ნ. § 24).

ზოგჯერ უწყვეტლის ხოლმეობითს I და II პირში ე ხმოვანიც უჩნდება ხოლმე. ეს მოვლენა მეორეული უნდა იყოს და, თითქოს, მიგვითითებს იმაზე, რომ უწყვეტელში ოდიან და დონიან ფორმებთან ძველს ქართულში მოქმედი ნორმა თუშურშიც დაცული იყო: დღეს კი ე სუფიქსი შეიძლება შეკვედეს ოდ სავრცობიან ზენებშიც და დონიანებშიც. რამდენიმე მაგალითი ტექსტებიდან: სუ კბო-ძროხათ მივჲ დევდეთ, სუ კევ-ტყეო მივჲ დევდეთ; გუთანსაც მივჲ დევდეთ; ზამთრისეც სოფლის ბოლოს ჩავიდოდეთ, ყარტ-მოფარებულში ვაჩინიდით; თავადაც სუფთაობის-გნივ ერთ კვირაცეს, გინდ თოვლიც ყოფილიყო მუკლზე, მაინც კვეში ჩავიდოდეთ...

§ 29. ავ თემის-ნიშნიან ზმნათა ფულებისათვის. ძველ ქართულსა და დიალექტებში ავ და ამ თემის-ნიშნიანი ზმნების უღლებისას ყურადღებას იძყრობს თემის ნიშნის ხმოვნითი ნაწილის ცვლილება: იგი ზოგჯერ ჭარმოდგენილია, ზოგჯერ კი სრულიადაც გაძქრალია.

ავ. ქართულში ამ მხრივ საყურადღებოა უწყვეტლისა და I სერიის სხვა სავრცობიან მწერივთა ფორმები. უწყვეტლის I და II პირში ავ-ს სცელის ევ-ი. უწყვეტლის III პირსა და მომდევნო მწერივთა ყველა პირში (გარდა I ბრძანებითის II და III პირისა მხოლობით რიცხვში) თემის ნიშანი მხოლოდ ვ-თია ჭარმოდგენილი.

<sup>1</sup> უ-ს წინ I პირის ნიშანი ვ დაკარგულია, რის გამოც I და II სუბ. პირს მსგავსი ფორმები აქვს.

ამასთან დაკავშირებით დგება ორი კითხვა:

1) რით უნდა იყოს გამოწვეული ავ-ის ნაცვლად ევ-სუფიქსის გაჩენა უწყვეტლის I და II პირზე?

2) რა იწვევს თემის ნიშნის ხმოვნითი ნაწილის რედუქციას?

პირველ კითხვაზე ორნაირი ვარაუდია გამოთქმული:

ა) უწყვეტლის I და II პირზე ნატულებია არა ავ სუფიქსიანი ფორმა, არამედ ევ სუფიქსიანი. ევ-იან ფორმებს ძველი ქართულის აწმყოში ვერ ვხედავთ. მაგრამ დიალექტები სააზისო მასალას გვაწვლიან, ქრონდ, ჟემოიმერულში ვხედებით ასეთ ფორმებს: კლივენ, ჰკითა ავენ, დგევენ და სხვა... შესაბამისად უწყვეტელში გვაქვს ვკითხევდით, ჰკითხევდი ით ფორმები<sup>1</sup>. ჩანს, საქმე გვაქვს სუფთა მორფოლოგიურ მოვლენასთან.

ბ) უწყვეტლის I და II პირის ფორმებს მოსდევდა უფუნქციონი (ჯერ მრავლობითში გაჩენდა, შემდეგ მხოლობითშიც გადმოვიდა ანალოგიით) და მისი გავლენით, ასიმილაციის შედეგად, ავ სუფიქსის ა იქცა ე-დ. ავ თემის ნიშნის ა ვერ რედუცირდება ი-ს გავლენით. რადგანაც ეს უკანასკნელი მორფოლოგიურ ფუნქციას მოკლებულია<sup>2</sup>.

შეორე ვარაუდი სწორი არ ჩანს, რადგანაც, ჯერ ერთი, ძველ ქართულშივე გადებით უწყვეტლის I და II პირის მხოლობითი რიცხვის ისეთ ფორმებს, სადაც ეს უფუნქციონი ი არ ჩანს, მაგრამ თემის ნიშანი ევ-ის სახითაა წარმოდგენილი. ამ წესით ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო ავ თემის ნიშანი.

„ვხედევდ მე ეშმაქსა ვითარცა ელვასა“ (ლუკ. 10, 18).

„ვხედევდ სულსა მას“ (იოვ. 1, 32 C).

შეიძლება კაცს ეფიქრა, რომ აქ უკვე ანალოგიასთან გრაქვს საქმე და ფორმები გვიანდელია (ამ შემთხვევაში უძველესად სავარაუდებელია „ვხედავლ“). ამასთან გასახსენებელია კიდევ ე. წ. უნიშნო წყვეტილის ფორმები, სადაც აგრეთვე ჩნდება ხოლმე ეს უფუნქციონი ი. წყვეტილის ფორმებშიც მოსალოდნელი იყო, რომ უფუნქციონი დაიმსავსებდა წინამდგომ ხმოვანს და მივიღებდით ასეთ ფორმებს: მოვკელი, მოპკელი და სხვ. მაგრამ

<sup>1</sup> ქ. ძო შენიძე, ევ სუფიქსიანთვის ზემოიმერულში: ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, 1950—1951.

<sup>2</sup> ლ. კიკნაძე, პირველი სერიის მწკრივთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები, თსუ. XXX ვ, 1947.

ასეთ რამეს აღვილი არა აქვს. ჩანს, ეს ი, გარდა იმისა, რომ უფუნ-  
ქციოა, სხვა ხმოვანზე გავლენის უნარსაც მოკლებულია.

წყვეტილში ეს ი გაცილებით გვიან გაჩნდა, ვიდრე უწყვეტელ-  
ში, მაგრამ იგი მაინც გაჩნდა და ამავე დროს დიალექტებიაც  
შევდებით მას; ფორმაში ცვლილება კი ვერსაც ვერ შეაქვს.

ჩვენი აზრით, სამართლიანია პირველი გარული: უწყვეტელის  
I და II პირში უფუნქციო ის- გაჩენამდე გვქონდა და სუფიქსი,  
იგი (ევ) არ არის მიღებული აფ-ისაგან. ამ მხრივ საყურადლებო  
ჩენებას იძლევიან მთის კილოები. ევ თემის ნიშანს ვხვდებით არა  
მარტო უწყვეტლის I და II პირში, არამედ III პირშიც და I სე-  
რიის მომღევნო მწერივებშიც. მაგალითები თუშურიდან:

„დღეს ხედევდ სიკვდილისაო“.

„ქისტო, რად ხკლევდე მარხვაცსა“...

„ქავთარაც ჭერხოს ბრუნევდა“.

„დასა გიკლევდეს დანითა“.

„ირმულად ფრინევდიანონ“...

„...შუბის ტრით ზომევდიანო“.

„ალვანში გოგევდნიანო“.

მაგალითები ხევსურულიდან:

„ის დრო გერჩიყო, კირჩლაო, ქმოსტის ქორქ ლურჯას  
სთელევდი;

ძმა გოგოთური გვერდთ გედვა, მტერსა შორის ლ  
სთელევდი“<sup>1</sup>.

„დაო, ვერ შემინახევდი? ცხონებას შენი ძმისას!“<sup>2</sup>

„წელზე ქმალს შემოგარტყემდი, ვერვინ შემოგქსნის  
ძალადა“<sup>3</sup>.

„დიაც-ყმაწვილის კალოსა ცხენებით ლეწევდიანო“<sup>4</sup>.

### პ ა რ ა დ ი გ მ ე ბ ი

#### უწყვეტელი

- |             |           |
|-------------|-----------|
| მბ. რ.      | მრ. რ.    |
| 1. ვხკლევდნ | ვხკლევდით |
| 2. ხკლევდნ  | ხკლევდით  |
| 3. ხკლევდ   | ხკლევდეს  |

#### უწყვეტლის ხოლმეობითი

- |             |           |
|-------------|-----------|
| მბ. რ.      | მრ. რ.    |
| 1. ვხკლევდნ | ვხკლევდით |
| 2. ხკლევდნ  | ხკლევდით  |
| 3. ხკლევდ   | ხკლევდის  |

<sup>1</sup> ვევს. პოეზია, § 36.

<sup>2</sup> ოქვე, § 42, 18.

<sup>3</sup> ოქვე, § 45, 3.

<sup>4</sup> ოქვე, § 24, 15.

## I კავშირებითი

მხ. რ.

- |             |           |
|-------------|-----------|
| 1. ვხელევდე | ვხელევდეთ |
| 2. ხელევდე  | ხელევდეთ  |
| 3. ხელევდეს | ხელევდენ  |

მრ. რ.

შენიშვნა: ზოგჯერ უწყვეტელში და საერცობს ე მოსდევს (როგორც ოდ საერცობიანებს ძველ ქართულში), მაშინ კავშირებითისაგან განსხვავებული იქნება მხოლოდ მესამე პირის ფორმები.

რაც შეეხება ნარედუქციებს, სადაც თემის ნიშანი ვ-თია წარმოდგენილი, ამ ფორმათა წარმოების „შესახებაც არი ვარაუდია დღეს. ორივე მოსახრებისათვის საერთოა ერთი რამ: ვ←ავ. მაშასაღამე, ა რედუცირებულია. საკითხავია, რამ გამოიწვია ა-ს რედუქცია? სწორედ აქ სცილდება ზემოთ ნახსენები „ორი ვარუდი“ ერთმანეთს.

ერთი ვარაუდით, კლვიდა და მსგავს ფორმებში ა რედუცირებულია ი-ს გავლენით, რომელიც ავ თემის ნიშნიან ზმრდებს აწყობიც უნდა ჰქონოდა და იქაც იწვევდა ა-ს ჩავარდნას, ე. ი. აწყობი გვექნებოდა ასეთი ფორმები: \*კლვი (←\*კლავი), ჰქლვი (←\*ჰქლავი) და სხვ. შესაბამისად უწყვეტელში უნდა გვქონოდა ვკლვიდი, ჰკლვიდი და კლვიდა ფორმები<sup>1</sup>. I და II პირში ასეთ ფორმებს ძველ ქართულში ვერ ვხედებით, არ ჩანან ისინი დიალექტებშიც. ძაგრამ უფრო შეტაც უზერხული ჩანს ის, თუ ერთი და იგივე ზმნა რატომ უნდა ყოფილიყო I და II პირში ევ თემის ნიშნით წარმოდგენილი და III პირში უცბად ევ-ს უნდა ზენაცვლებოდა (ა)ვი დაბოლოება.

სხვა მოსაზრებით, კლავდა→კლვდა→კლვიდა, ე. ი. ა-ს რედუქციის შემცევე ი ჩნდება თანხმოვნების გასაყარალ. ა-ს რედუქცია კი გამოიწვია სუბიექტური პირის ნიშანმა (ლ. კიქნაძე). ამ დებულების ნაკლად იმას ასახელებენ, რომ „სუფიქსს სუფიქსზე გადახტომით არ შეუძლია რედუქცია მოახდინოს“<sup>2</sup>.

ჩვენი აზრით, სავარაუდებელი ჩანს. რომ III პირშიც ევ თემის ნიშანი გვქონოდა ძველ ქართულში, როგორც დღესაა ზოგიერთ

<sup>1</sup> ქ. დაწენიდე, ევ სუფიქსისათვის ზემოიმერულში: ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტ. შრომები, X, 1950—1951, გვ. 54.

<sup>2</sup> იქვე.

კილოში; მესამე პირში სწორედ ამ გვ.ის ე უნდა იყოს დაკარგული მომზადების მინისტრის გაფლენით.

ამ თემის ნიშანი თუშურში ცვლილებას არ განიცდის, ოლონდ აწყოს მესამე პირის მრავლობით რიცხვში ამ-ის ა ხშირად ჩავარდება ხოლო (აბმენ, ადგმენ).

**§ 30. II ხოლმეობითი.** ამ მწერივის არსებობა თუშურში საენათმეცნიერო ლიტერატურით ცნობილია.

პროფ. ა. შანიძე თავის მონოგრაფიაში „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ აღნიშნავს, რომ თუშური ნამყო მრავალგზით ში I და II პირის წარმოებისას ნამყო სრულის თემას ურთავს ნამყო უსრულის იდ სუფიქსს, მესამე პირში კი ძველი ქართულის ფორმათ დაცული<sup>1</sup>.

ამ ფორმათა „შესახებ პროფ. არნ. ჩიქობავას გამოთქმული აქვს შემდეგი მოსაზრება: ეს ხოლმეობითი „ნამყო უსრულისა და ხოლმეობითის შერწყმის შედეგია, სახელდობრ, არქაული ნამყო უსრულისა და ხოლმეობითის — არქაული ნამყო უსრულისა და პირველი და მეორე პირი, ხოლმეობითისა — მესამე პირი“<sup>2</sup> (ხაზი ავტორისაა).

ავტორი ძირითადად ეხება ხევსურულსა და ფშაულს, მაგრამ მათ გვერდით გულისხმობს თუშურსაც.<sup>3</sup>

ორივე მკვლევარს ლაპარაკი აქვს შევეტილის ხოლმეობითზე (II ხოლმეობითზე), რომელსაც I და II პირი უშვეტლის იდ სუფიქსითა აქვს გაკეთებული. ჩვენ მეორე ხოლმეობითისთვის მხოლოდ მაგალითებს მოყიფანთ თუშურიდან, რადგან ზემოთ დასახელებულ ნაშრომებში თუშურიდან სულ სამი მაგალითია მოყვანილი (პროფ. ა. შანიძის ნაშრომში).

მოგვყავს ვრცელი ამონაწერი, სადაც მრავლად გვხვდება II ხოლმეობითის ფორმები.

დავითხარდენთ მუშაობით: სუ ქმო-ძროათ მივზღვდეთ, სუ წივ-ტყეთ მივზღვდეთ, გუთანსაც მივზღვდეთ, შეშა-ჭრა გინდა, წისქვილ წასვლა გინდა — ყველაც ჩვენ ვა ძეოთი დით. ცხრა იყო ჩვენ ჯანვალაჭობა.

<sup>1</sup> ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, § 70.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, § 18.

<sup>3</sup> იქვე; ნ. § 18, გვ. 80, 81.

გან ახლსავით გვეცვ, სუ ტოლ გვეცვა-დ' ტყავ-კაბები; ცხრელ ტყავ-კაბას ვინაღ ჩრუცვამს? პატარაობას თეორ ტოლის კაბა შეცვის, ცხრელამ იმას ვინ იკადრებს; სუ თვეშაკრულებ ვიყვნიდით, სუ ჩითები, ქალბნები-დ' წინდაცებ გვეცვის.

შინ კიდევ რაცგვერ ვიყვნიდით, დეცრ, კალტი-დ' უვა გვექონდის, სავრცელაცი, ერბოჲ; საგებელ ჩალისა გვექონდის, ტყავისაც.

წინ საბან არ იყო, დეცრ, არ გვექონდის საბანი, სი იყო იმაშ საბანი, ჩალიან ლოგინი-დ' ტყავი (იყო). ახლამ ტყავს ვინაღ იკადრებს? ბეჭვიანიავ, მე კი გარევ ტყავ მაქვის.

ცაციქ სოფლის ბოლოში ჩავიდიდით, ბადლებში, ზაფხულის ხანას, როცა ორსულად ვიყვნიდითა-დ' ცხცქ ვაჩინიდით ბალლები. ზამთრისეც სოფლის ბოლოს ჩავიდოდეთ, ყარტ-მოფარე-ბულში ვაჩინიდით. ბალლებიც ხანდანაც ვაბანაციდით.

კერაცხე ვინ გავეაჩენიებდ, ახალნდელნ რო სუ ბუმბულებზე წვნიან! თავადაც სუფთაობისგნივ ერთ კვირაცეს, გინდ თოვლიც ყოფილიყო მუქლზე, მაინც წევში ჩავიდოდეთ ახალგაჩენილები თავადაცა-დ' ტანისამოსიც აზექ დავრეცხიდით. ორ თვემდე კვირაცხში თითოჯერ ცხადობ ვენიდით. ცუტუნაც ბალლს წელ-გათავებამდი ფართალ აცვიანა-დ' მემრ ტოლიკაც ჩავაცვი-დით, საყმე ბედენა არ იყო-დ' საქალევ.

### პარადიგმები

#### უნიშნო ვნებითი

წყვეტილი	II ხოლმეობითი
მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
1. გავთბი	გავთბით <sup>1</sup>
2. გასთბი	გასთბით
3. გათბ(ა)	გათბნეს

<sup>1</sup> „გავთბი, გავთბით“ ფორმების ნაცვლად ძალიან ხშირად ხმარობენ: „გავთბ, გავთბთ“ ფორმებს (შდრ. ძვ. ქართ. „განვრეცე“); იგივე შეიძლება ითქვას წყვეტილის II პირის ფორმაზეც: გასთებ. „გასთბი“ კი სალიტ. ქართულის გავლენის შედეგია.

## დოკუმენტი ვნებითი

## I ზოგიერთი დოკუმენტი

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
1. გავშავდი	გავშავდით	1. გავშავდიდი	გავშავდნიდით
2. გაშავდი	გაშავდით	2. გაშავდიდი	გაშავდნიდით
3. გაშავდი	გაშავდნეს	3. გაშავდის	გაშავდნიან

ინიანი და ენიანი ვნებითი

## II ხოლმეობითი

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
1. ვილაგიდი	ვილაგიდით	1. ვეკირიდი	ვეკირიდით
2. ილაგიდი	ილაგიდით	2. ეკირიდი	ეკირიდით
3. ილაგის	ილაგინიან	3. ეკირის	ეკირნიან.

მოქმედებითი გვარის ზმნები

## III ხოლმეობითი

მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
1. ვატირიდი	ვატირიდით	1. ვატირნიდი	ვატირნიდით
2. ატირიდი	ატირიდით	2. ატირნიდი	ატირნიდით
3. ატირის	ატირიან	3. ატირნის	ატირნიან
მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი	მხ. რიცხვი	მრ. რიცხვი
1. უჯირიდი	უჯირიდით	1. უჯირნიდი	უჯირნიდით
2. უჯირიდი	უჯირიდით	2. უჯირნიდი	უჯირნიდით
3. უჯირის	უჯირიან	3. უჯირნის	უჯირნიან

შენიშვნა: აქაც. როგორც უწყვეტლის ხოლმეობით-ში, მრავლობითი რიცხვის მესამე პირში უმეტესად ნა-რიანი ფორმები იხმარება ხოლმე (შდრ. გათბნიან, გაშავ-დნიან; ილაგნიან), I და II პირში კი ორივე ფორმა ჩვეუ-ლებრივია. მოქ. გვარის ზმნებთან ეს ნარი პირდ. ობიექტის სიმრავლის ნიშანია.

ს 31. II ბრძანებითი. თუმურში, ისევე როგორც სალიტერა-ტურო ქართულში, II ბრძანებითი იწარმოება წყვეტილისებრ; მაგ.: უთხარდ, ციცლ(ე), გაცემ(ე) და სხვა.

თუშურში II ბრძანებითის II პირში საერთოდ მეორე სუბიექტური პირი პირის ნიშანი საჭირო არ არის, როგორც ძეველს ქართულში, ნავრამ ეს სისტემა დღეს დალიან მოშლილია კილოში; მაგალითად, „ჩემ შვილებივ, თუავ გულში აქვავ დაკრულივ, მორე კეთავ, თუ ზურგში აქვავ, ნუ მოლრეკოავ“. მაგრამ: „მრცტყვი ივანე-დ' გა- მოღვაწე აკვან საყურე გუგუმიანივ“.

თუშურში ბრძანება შეიძლება გაღმოვცეთ II ხოლმეობითის მეშვეობითაც, რომლის შესახებ პროფ. ა. შანიძე წერდა: „ამგვა- რად ნაშარბოების შრავალგზითი ნაშენს მეორე სუბიექტური პი- რის ფორმები მას უსესებია მეორე ბრძანებითის გამოსახატავად, რომელიც პირველი ბრძანებითისაგან იმით განსხვავდება, რომ პირველი ბრძანება ერთგზითი ბუნებისაა, მეორე კი მრავალგზი- თისა, როგორც ძეველს ქართულში; ეს ერთი, და მეორეც ისაა, რომ პირველი ბრძანება კატეგორიული ხასიათისაა, მაშინ რო- დესაც მეორეს თხოვნისა და ხევჭნის ელფერი გადაჰქრავს ხოლმე“<sup>1</sup>.

შენიშვნა: ავტორი პირველ ბრძანებითში გულისხ- მობს წყვეტილის ბრძანებითს, მეორეში კი ხოლმეობი- თის ფორმებს, რომლებიც ბრძანებას გაღმოგვცემენ. ამის შესახებ ნახეთ აღნიშნული ნაშრომის მე-4 და 27-ე გვ. (ახალი გამოცემის 119 და 137 გვ. შესაბამისად).

ამ აზრს იზიარებს პროფ. არნ. ჩიქობავა და წერს: „მეო- რე პირის ხოლმეობითი თხოვნა-წარმეტებას გაღმოვცემს, თხოვნით-ბრძანებითი ფუნქციისაა; პირველსა და მესამე პირს „ხოლ- მეობითის“ შინაარსი აქვს, ჩვეულებრივ რაც ხდებოდა, იმას აღ- ნიშნავს“<sup>2</sup>.

უნდა აღინიშნას, რომ თუშურს თხოვნის გამოსახატავად სპე- ციალური სუფიქსი გააჩნია -ლ(←ლა). როდესაც II ხოლმეობითის ფორმით თხოვნა გადმოცემული, მაშინვე ეს ლ(←ლა) სუფიქსი გაჩნდება ხოლმე; მაგ., მოხვიდილ, უთხრიდილ, ცხლიდილ (აიღ); ხვალედ მოხვიდი, შინალ წიცლ(ე) (ნ. § 25).

მოვყავს მაგალითები, სადაც II ხოლმეობითის ფორმით ბრძა- ნებაა გაღმოცემული. რა თქმა უნდა, ლაპარაკია II პირზე.

<sup>1</sup> ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრე- ფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, 1920, გვ. 154. (თხზულებანი, I, 1957, გვ. 237).

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ- კავკასიურ ენებში, I, გვ. 84.

### მაგალითები:

„ცხენ უკენ და მაყენიდი, ვითომიც დაგივარდ გზაზეო; ცხვარსაც ნუ გამაყოლიდი, ჯანვ არ მომჟიდოს ნალზე<sup>1</sup>. „მამას მითქვიდით უთურგას, ჩემიდ ნურა სწყინს ზიანი“<sup>2</sup>.

„დაიჯსნიდ, დაიფარიდ ლალი მტრით, შჭარე სიკვდილით; თავის კალთა დაცფარიდი: ქმალ აიღონ, სახელ მისციდ, უშველიდი ქუდოსანს, მანდილოსანს, ჯოხ-ამღეს, კმალამღეს“.

მსგავს ფორმებს მრავლად ვხვდებით თუშურში.

თუშურში, როგორც სალიტერატურო ქაოთულში, აკრძალვითი ბრძანების დროს ნუ ნაწილაკთან ზმანა აწმუნს მწერივისაა (ნუ აკეთებ, ნუ შჭამ). მაგრამ ზოგჯერ ამ ნუ ნაწილაკთან მეორე ხოლმეობითის ფორმასაც ვხვდებით ხოლმე (ნუ გაცკეთიდ, ნუ შჭამიდ). ამ მხრივ ანალოგიური მდგომარეობაა სხვა მთის კილოებშიც (ხევსურულსა და ფშაურში)<sup>3</sup>.

თუშურში დ სუფიქსი ამ ფორმებთანაც ჩნდება ხოლმე, როცა თხოვნის გამოხატვაა საჭირო (ნულ გაცკეთიდ, ნულ შჭამიდ).

ჩენი აზრით, ბრძანების გამომხატველ II ხოლმეობითის ფორმებთან მრავალგზისობის ნუანსი ყველაზე მეტად ნუ ნაწილაკთან შეიმჩნევა. ამისი თქმა შეიძლება იძირომ, რომ ზოგ კონტექსტში ბრძანებითად გამოყენებული II ხოლმეობითი მრავალგზისობის გამოხატვის უნარს კარგავს, მაგ.: წახვიდი-ღ' მოხკლიდ პეტრე (წადი და მოკალი პეტრე). აյ მრავალგზისობაზე ლაპარაკი ზედმეტია. თუ ამ წინადადებაში ნუ ნაწილაკს ვიზმართ, მაშინ წინადადება ასეთ სახეს მიიღებს: ნუ წახვა-ღ' ნუ მოხკლავ პეტრეს. მეორე ხოლმეობითის ფორმას უკვე ვეღარ გამოვიყენებთ, მაგ.,

„ცხვარსაც ნუ გამაყოლიდი,

ჯანვ არ მომჟიდოს ნალზე<sup>4</sup>.

§ 32. I თურმეობითი. თუშურში ზმანის I თურმეობითის მწერივ-ში შეიძლება პეტრეს ორნაირი დაბოლოება: ი და ავ. მახვილის გავლენით სიტყვის ბოლოში დაკარგულია ა (ნ. § 7) და ია-ს

<sup>1</sup> ივ. ბუჭურაული, თუშური ლექსები, 14: „ძველი საქართველო“, ტ. II, 1913.

<sup>2</sup> იქვე, 56.

<sup>3</sup> არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლ. იბ.-კავკასიურ ენებში, I, გვ. 89.

<sup>4</sup> ივ. ბუჭურაული, თუშური ლექსები, 14, „ძველი საქ.“, II, 1913.

ნაცვლად ვლებულობთ ი დაბოლოებას; მაგ., უამბი ( $\leftarrow$ უამბია), ჩუკვრი ( $\leftarrow$ ჩაუქვრია), მუცგი ( $\leftarrow$ მუჯგია), წუცლი და სხვა.

**ავ-ს I** თურმეობითში ხმარების არე გაფართოებული აქვს: რიგ შემთხვევაში იგი ია ( $\rightarrow$ ი) დაბოლოების ნაცვლად გვხვდება; მაგ., გუცელებავ, წუცჭერავ, უცემავ (გაუცეოებია, წაუცჭერია, უცემია) და სხვა; **I** თურმეობითის **ავ** მაწარმოებელი **ამ** თემის-ნიშნიანებსაც დაერთვის ხოლმე; მაგ., უთქვამავ, დუცსხამავ, მუცბამავ და სხვა.

გვაქვს ისეთი ფორმებიც: დამიხიავ, ჩისრიავ, ჩამიმწყვდიავ (დამზევია, მისროლია, დამიმწყვდევია). ამ ფორმებში **იავ** სუფიქსი ევ და **ავ** თემის ნიშნების ზერწყმითაა მიღებული. საანალიზოდ ავილოთ ერთი მაგალითი: დამიხევავ  $\rightarrow$  დამიხეავ  $\rightarrow$  დამიხიავ, ე. ი. დგ-ის გ-ს ჩავარდნის შემდეგ ა-ს წინ ე დავიწროვდა (ნ. § 7, ბ) და ევავ-ის ნაცვლად მივიღეთ **იავ** დაბოლოება.

**ავ** თემის-ნიშნიანებთან, რალა თქმა უნდა, ისევ **ავ** გვექნება **I** თურმეობითში; მაგ.: მუცნავ, დუცრგავ, დუცწვავ, მუცრავ და სხვა.

**§ 33. სტატიკური ვნებითები.** ფორმათა წარმოების მხრით ყურადღებას იპყრობს სტატიკური ვნებითები: თუშურში ვხვდებით ფორმებს, რომლებიც ახასიათებს როგორც საკუთრივ თუმუს, ისე ძველსა და ახალ სალიტერატურო ქართულს.

სტატიკურ ვნებითებს უძერეს შემთხვევაში **ავ** თემის ნიშანი უჩნდება ოუშურში. ამას ადგილი აქვს მთის სხვა კილოებშიც<sup>1</sup>. **ავ**-თან ერთად ხშირად ამზმნებს ის სუფიქსიც დაერთვის, მსგავსი იმისა, რველად რომ ვნებითი გვარის ზმნებს ახასიათებდა. ს აქ სუბიექტური პირის ნიშანია. ასე რომ, გვაქვს სტატიკური ვნებითების როგორც **ავ**, ისე ავის დაბოლოებიანი ფორმები, მაგ., სტანავ || სტანავის, აკრავ || აკრავის, ლმარხავ || ლმარხავის. იშვიათად ზეიძლება **ავ**, ავის დაბოლოება ზნამ არც დაირთოს, მაგ., აგავ; აგავის ფორმას ვერ ვხვდებით, სამაგიეროდ იხმარება აგი ( $\leftarrow$ აგია).

მაგალითები ტექსტებიდან:

„წელჩი ატანავ მათრაჯი“.

„ჯეგ გინდ მანდა არც სტანი“.

„მიერდს კი მტანავის ყმიწვილი...“

„ცხენი რად გიბი კარზედა“.

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, § 37.

„ფექს უკრავ ოქროს ნალია“.  
 „დახლაც დართლოს ციხეზედ აკრავის“.  
 „გაყოფა ღგულავ ცხვრისია“.  
 „ჩატანა ღგულავ ცხვარზედა“.  
 „ტარი გიშრისა აგია“.  
 „ომში ციქქ რეულიყო“ — ურიავ.  
 „ქელჩი უჭერავ“.  
 „პატრონი კლდესა გიკიდავ“.  
 „ფექტბისავ უყუდავ“; (შდრ. „ხმალი ყველაის სახე-  
 ლოდ გვიკიდავ“ ვაჟა, 321, ა-4).

ციქმ კარებშიავ ორ ძალლ ღბიავ“.  
 სუბიექტის რიცხვი შეიძლება ზმნაში გამოიხატოს. გამოხატვის  
 საშუალება თითქმის ისეთივეა, როგორიც ძველ ქართულში:

### პარადიგმები

#### აწმყო

#### მხოლ. რიცხვი

(სუბ.)

1. ვსტანივარს
2. სტანიხარს
3. სტანი || სტანავ || სტანავის

(ობ.)

1. მტანი || მტანავ || მტანავის
2. გტანი || გტანავ || გტანავის
3. სტანი || სტანავ || სტანავის

(სტანი ← სტანია)

#### მრავლობითი რიცხვი

- |                                      |                                |
|--------------------------------------|--------------------------------|
| 1. ვსტანივართ ჩვენ ციქმას,           | 1. მტანვან მე ციქსენს, გვტანა- |
| ციქმათ                               | ვან ჩვენ ციქსენს               |
| 2. სტანიხარათ                        | 2. გტანვან (შენ), გტანვანთ     |
| 3. სტანვან ( $\leftarrow$ *სტანავან) | (თქვენ) ციქსენს                |
|                                      | 3. სტანვან მას, მათ ციქსენს    |

#### წყვეტილი

#### მხოლობითი რიცხვი

- |                               |                     |
|-------------------------------|---------------------|
| 1. ვეტან(ე) მე ციქმას, ციქმათ | 1. მეტან(ა) ციქს მე |
| 2. ეტან(ე)                    | 2. გეტან(ა)         |
| 3. ეტან(ა)                    | 3. ეტან(ა)          |

### მრავლობითი რიცხვი

(სუბ.)

1. ვეტანეთ || ვეტან-ენ-თ ჩვენ  
ციცქმას, ციცქმათ
2. ეტანეთ || ეტანენთ
3. ეტან-ნ-ეს

(ობ.)

1. მეტან-ნ-ეს მე ციცქსენი
2. გეტან-ნ-ეს
3. ეტან-ნ-ეს

### II კავშირებითი

#### მხოლობითი რიცხვი

1. ვეტანი მე ციცქმას, ციცქმათ
2. ეტანი
3. ეტანის

1. მეტანის მე ციცქსი
2. გეტანის
3. ეტანის

#### მრავლობითი რიცხვი

1. ვეტანოთ || ვეტან-ნ-ე-თ ჩვენ  
ციცქმას, ციცქმათ
2. ეტანოთ || ეტან-ნ-ე-თ
3. ეტან-ნ-ე-ნ

1. მეტან-ნ-ე-ნ მე ციცქსენი
2. გეტან-ნ-ე-ნ
3. ეტან-ნ-ე-ნ

### II ხოლმეობითი

#### მხოლობითი რიცხვი

1. ვეტანიღი მე ციცქმას, ციცქმათ
2. ეტანიღი
3. ეტანის

1. მეტანის ციცქს მე
2. გეტანის
3. ეტანის

#### მრავლობითი რიცხვი

1. ვეტანიღით ჩვენ ციცქმას,  
ციცქმათ
2. ეტანიღით
3. ეტან-ნ-ი-ან

1. მეტან-ნ-ი-ან მე ციცქსენი
2. გეტან-ნ-ი-ან
3. ეტან-ნ-ი-ან

ყურადღებას იქცევს გილგან ფორმა: „სულეთს კოდნ გილგან სამსვენი“. გილგან მედიოპასივია სასხვისო ქცევით. აღსანიშნავია, რომ არ ჩანს ან თემის ნიშანი, შდრ. „კარზე გილგან სტუმრები“; თანაც II სერიაში ფორმებს სტატიკური ვნებითის მსგავსად იკვეთებს: მედგ, მედგნეს; მედგეს, მედგნენ და სხვ. ეს, რა თქმა უნდა, იმითაც გამოწვეული, რომ ში-

ნაარსით მედიოპასივი და სტატიკური ვნებითი ერთიმეორესთან ახლოს დგას და, როგორც პროფ. ა. შანიძე აღნიშნავს, „მე-დიოპასივი იცვლის თავის დაბოლოებას და სტატიკურისაზე გა-დადის“<sup>1</sup>.

§ 34. თურმეობითი მეორე. ორპირიან ვნებითებს II თურმეო-ბითის ფორმები თუშურში მეშველი ზმნით ეწარმოება, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს კილოებში საერთოდ<sup>2</sup>.

მაგალითები:

„გამოზდევნებიყვნეს ხულანტელნის“...

„ზოგნ ქუმელაცურთას დასცემიყვნეს“...

ჰქონიყვა, გაშჩენიყვა, მოშჩვენებიყვა...

და სავრცობიან ფორმებს დღეს იშვიათად თუ შეხვდება კა-ცი ამ მწკრიიგში.

§ 35. კონტაქტი. შუალობითი კონტაქტის საწარმოებლად თუ-შური იყენებს ევ და ი სუფიქსებს.

ევ: იყვლევს, იაქმევს, იჯნევს, აკდევს და სხვა. ევ სუფიქსს ვხვდებით I სერიაში, ამავე ზმნებს ეს სუფიქსი ხშირად გადასდევს I თურმეობითშიც, მაგ., „ზოგ ამბობს: ცენის ბრალია, თავ და-უკლევავ ქვაზედავ“.

მედიატის ევ სუფიქსს ვხვდებით ძვ. ქართულში<sup>3</sup>, იგი დღესაც გვაქს ხევსურულში; მაგ., „დაგაპვლევთ კურატს“<sup>4</sup>.

... სასმელ ჩადის ყველას უფერს: ქურდობას აქნევს...“<sup>5</sup>.

II სერიაში ევ-ს სცვლის ი, რომელიც ნაშთია იგ სუფიქსისა. ივ-ევ-ევ:

„დავიწყე მარჯაქლობაი, ძალლივით ენა ვათრიე;

სიდისაკეც კი გავედი, ყველგან სიმართლე ვათქმიევ;

გადამერია ბებერი-დ' ჰომბა ვეღარ ვათქმიევ;

წინ წალებული საწესო გარევ უკვენავ ვათრიევ;

ალარ ჰოვიკენი ტიცჭორაცს, ალარც ვის არაყ ვას მიევ.

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, § 392, 1953.

<sup>2</sup> ა რ. ჩი ქობავა, დიალექტიშმების საკითხისათვის „ველხისტყაოსანში“, ენიმების მოამბე. III, 19:8 შ.

<sup>3</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, § 423, 1953 წ.

<sup>4</sup> კევსურული მასალები, გვ. 123, 22.

<sup>5</sup> კევსურული მასალები, 124, 1.

ასევეა გურულში<sup>1</sup>, იქაც ივ→ი: დააკვლია, დაასხმია, შიაწვია და სხვა. II სერიაში ხევსურული ივ სუფიქსს იყენებს, მაგ.: „ჩა-მაავლივა“ გუდანივა<sup>2</sup>. „წავაყვანივა“<sup>3</sup> და სხვა.

თუშური ფართოდ იყენებს ინ სუფიქსსაც, ოლონდ აქაც ინ-ის ნაცვლად ი გვაქვს, ნარი ჩავარდნილია, ინ→ი: გაცკეთებიებს, წაცლებიებს; გაცკეთები (გააკეთებინა), წაცლები; წაცლებიებავ, გშეცე-თებიებავ და სხვა.

### მაგალითები:

„გადმოღზავნიდი დიაცცი, მოგიხვეტიებ ჩალასავ“.

„ბახტრიონს გაგავლეიებს, ალონის პირ-პირ ჩახვიდივ“.

„ერთხენ კი გარევ წამთალ, ფექთეთრ მიბია ქერზედავ;

ლამაზად დავალაკვიებ მაგ თაანეთის მოებზეავ“.

ანალოგიური მდგომარეობა ჩანს გურულშიც<sup>4</sup>: დააწყებია, გა-დააცლებია, გააკეთებია და სხვა.

ამჟამად აქა-იქ ინ სუფიქსსაც შევხვდებით თუშურში, მაგრამ ეს ტეკარად სალიტ. ქართულის გავლენაა. ი(←ინ) შუალობითი კონტაქტის ნიშნად ძველმა ქართულმაც იცის.

**§ 36. თანდებულები.** შევეხებით მხოლოდ იმ თანდებულებს, რომლებსაც თუშურში თანამედროვე სალიტ. ქართულის თანდე-ბულთაგან განსხვავებული სახე მიუღიათ ფონეტიკური ცვლილების შედეგად ანდა სალიტერატურო ქართულს დაუკარგავს და თუშურს შემოუწაბავს. სულ განკითილავთ ექვს თანდებულს: კენ, გნივ, გნით, თანითა, და (→დ) და ჩის.

1. კენ თანდებული თუშურში კ-ს სახით გვხვდება. მის წინ მეტწილად გვაქვს ემფატიკური ა (კენ მხოლოდ ნათესაობით ბრუნვას დაერთვის).

უდავოა, რომ კ←კე←კენ. კ-ს (კენ) ვხვდებით ქართულის სხვა კილოებშიც: ხევსურულში, ფშაურში, ინგილოურში<sup>5</sup>.

<sup>1</sup> გედ. კვერენჩი ლადე, კაუზატივის წარმოებისათვის გურულში: „სტუდენტთა სამეცნ. შრომების კრებული“, წიგნი I.

<sup>2</sup> კევსურული მასალები, 207, 25.

<sup>3</sup> იქვე, 208, 33.

<sup>4</sup> გედ. კვერენჩი ლადე, კაუზატივის წარმოებისათვის გურულში: „სტუდენტთა სამეცნ. შრომების კრებული“, წიგნი I.

<sup>5</sup> ა მარტინსოვი, თანდებულები ქართულში: „იბ.-კავ. ენათმეცნიერება“, I, გვ. 225.

თუშურში კენ თანდებული ზოგჯერ სრულიად გამქრალია და მიმართულება სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტითა გამოხატული. მაგალითები: წამოსრულიყვნეს თუ შეთისაკ,

„სიისაკითა დავეცნეთავ ლექებსავ“.

„ქუმელაცურთის წასრულიყვნება“.

„ჩვენ ზეისაკ, ჭალაცის თავში, ვიყვენთ“.

„და“ კავშირის წინ კენ-ის ე ალდგება ხოლმე: მაგ.: „ჩავარდნილიყვნ ჯავირი ისაკე-დ“ ჩასრულიყვნ ალაზან“.

2. თუშურში შემონახულია გნით და გნივ თანდებულები. ესენი გან თანდებულისა და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნების შერწყმით არიან მიღებული<sup>1</sup>.

ამ თანდებულებს ვხვდებით ნათესაობით ბრუნვასთან; მაგ.: რაცისგნივ, შენისგნივ; ძმისგნით, მამისგნით და სხვა. გნივ თანდებული მნიშვნელობით უდრის გამო თანდებულს. „ძმისგნივ“ ნიშნავს ამას: ძმის გამო.

თუშურში გვაქვს საღაობით-გამოსვლითი ბრუნვაც (რომელიც მთის სხვა კილოებსაც ახასიათებს); იგი შემდეგი თანდებულებითაა წარმოებული: ზეით (სახლზეით) შიით (სახლშიით), თანითა (სახლთანით).

უკანასკნელ, აღნიშნავთ თუშურში გავრცელებულ და(ა) თანდებულს, რომელიც ქართული ენის სხვა კილოებსა და ჭართულის მოძებელიც გვხვდება: მთის კილოებში, გურულში, ზანურსა და სვანურში<sup>2</sup>. იგი მნიშვნელობით უდრის „თვის“ თანდებულს და ერთვის ნათესაობითის ფორმას. ვნახოთ რამდენიმე ჩავალითი:

დეჭნებაც თავ ქისტებისად.

ახალსოფლის თავ გათენებისად იალალზე დასწევიყვნეს.

„იტყუოდა სოშურაული: თუ შთად რა გვიქნავ რიალი?“ და თანდებულის ა დაკარგულია (ნ. ჭ 7).

და თანდებულს გხვდებით ძევს ქართულშიც. გიორგი მთაწმიდლის ენის განხილვისას პროფ. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ „თანდებულთაგან ყურადღებას იქცევს და-ს ბატონობა უბრალო

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 74.

<sup>2</sup> გ. თოფურია, ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ჭანურში; ს. უდენტი, გურული კილო, გვ. 66.

<sup>3</sup> ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, გვ. 324 (შენიშვნები და ვარიანტები, 24 დ).

ობიექტთან, ორმელიც ირიბისაგან არის მიღებული გარდამავალ ზნითა III სერიაში გადაყვანის დროს ან მათს უპირო ფორმებთან: მისდა მიენდო 88,6; კელართადა ებრძანა 95,5; მზარეულისადა დაემცნა... ბოძებული იოვანესდა და მისთ“<sup>1</sup>.

ჩი თანდებული, ორმელსაც გხვდებით ქართული ენის ოგკილებში (მაგ. ფშავერში, ხევსურულში, მესურ-ჯავახურში), თუ-შურმი აქა-იქლა გვხვდება, აი რამდენიმე მაგალითი:

„წელჩი ატანავ მათრაჯი“.

„წელჩი უჭირავ ლურჯაცი“.

„უბეჩი ჩეცწყო...“.

§ 37. ზმნიზედები. ზოგიერთ ზმნიზედას რამდენიმე ბრუნვა აქვს თუშურში. სანიმუშოდ მოვიყვანთ ზეზერაც და ქოქვერაც ზმნიზედების ბრუნვებს.

მიც. ზეზერაცს (ზემოთ), ქოქვერაცს (ქვემოთ)

ნათ. ზეზერაცის (ზემოთკენ), ქოქვერაცის

მოქ. ზეზერაცით (ზემოდან), ქოქვერაცით (ქოქვერაცითად)

ვით. ზეზერაცდ (ზემოთ), ქოქვერაცდ.

შედარებით ნაკლები ბრუნვები გააჩნია დანარჩენ ზმნიზედებს; მაგ., აქ, გუშ (აქ, აქის, აქითად; გუშ, გუშის სწორზე, გუშითად).

თავისებური წარმოება ახასიათებს ვითარების ზმნიზედებს თუშურში. ზოგჯერ ამ ზმნიზედებს ვით. ბრუნვის ნიშანი სრულიად დაკარგული აქვთ; მაგ., კარგ (კარგად). ეს მოვლენა ძალიან კავრ-ცელებულია ხევსურულსა და ფშავერშიც.

რიგ ზედსართავ სახელებს ბოლოში უჩნდება კნინობითობის სუფიქსი ა და მცველრი ც. ძირეულ ა-ს ც იშვიათად უჩნდება; მაგ.: მონაა (ცუდი), ტურფაა, ქორფაა და სხვა, შდრ. არსებითი სახელები: დაა, ძმაა, ხეა, ძიოა (ძია), კალოა (მაგრამ დრო-შაბე).

თუ ვით. ზმნიზედა ნაწარმოებია აც დაბოლოებიანი ზედსართავისაგან და ვითარებითი ბრუნვის ნიშანიც ჩავარდნილია, მაშინ ზედსართავისა და ვითარებითი ზმნიზედის ფორმები ემსგავსებიან ერთმანეთს; მაგ., უდმალაც; ზეპირაც და სხვა.

<sup>1</sup> ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით (ძველი ქართული ენის ძეგლები. 3), გვ. 79.

პირვანდელი სახე ვით. ზმნიზედისა დაცული აქვს ფერ შცდ და უდერწცდ ფორმებს. თუ ჩამოვაცილებთ ვითარებითი ბრუნვის ნიშანს, მაშინ ზედსართავებს მივიღებთ: ფერაც-ი (მსგავსი), უდერაც-ი (ბეკრი).

უკანასკნელი სახე ვით. ზმნიზედისა დაცული აქვს პირველი უდერწცდ ფორმებს, ისინი ნიშნავენ ამას: პირველად, მეტად (ძალიან) და არა ამას: პირველი, მეტი.

პირველაც ← პირველაც-ად

მეტაც ← მეტაც-ად

გარდამავალ მდგომარეობას გადმოვცემენ ზმნიზედები: უდმალაც (ჩუმად) და ზეპირაც (ზედაპირზე), რომლებსაც პარალელურად ასეთი ფორმაც გააჩნიათ: უდმალაცდ, ზეპირაცდ, ე. ი. ეს ზმნიზედები თავდაპირველი ფორმითაც იხმარებიან და მერმინდელითაც.

თუშურში ყურადღებას იპყრობს დროის ზმნიზედები ნათესაობითი ბრუნვის ფორმით, როგორიცაა: ზაფხულის (ზაფხულში), ზამთრის (ზამთარში); წაის (წასვლისას), მოის (მოსვლისას), გაის (გასვლისას) და სხვ. ამ ფორმებს მთის სხვა კილოებშიც გვხდებით და აგრეთვე ძველ ქართულში. ეს ზმნიზედები წარმოშობით საზღვრულდაკარგული მართული მსაზღვრელებია<sup>1</sup>. ასეთივე წარმოებისა ჩანს გუშინას (გუშინ), წუხრინას (წუხელ) და სხვა მათი მსგავსი დროის ზმნიზედები<sup>2</sup>.

ჭ 38. ნაწილაკები. განვახილავთ რამდენიმე ნაწილაკს.

1. ლა: ლა ნაწილაკიანი ფორმები თუშურში თხოვნას გამოხატვენ (ნ. § 25). ლა ხშირად ლ-ს სახითაა წარმოდგენილი: ლ ← ლა.

ლ (← ლა) ნაწილაკი თუ თანხმოვნით დაბოლოებულ ფორმას დაერთო, მაშინ ლ-ს წინ ჩნდება მაერთებელი ა; მაგ., მოვიდგასალ, გაცყეთოსალ, ციცლონალ და სხვა.

2. თუშურიდან ალსანიშნავია კიდევ ნაწილაკი წ (აკი, ხომ). რამდენიმე მაგალითი:

ლეკიწ მყავის მოკლული (ლეკი ხომ მყავს მოკლული)

ვარიწ (ხომ ვარ, აკი ვარ)

ცხენო, გატყობაწ, გემინის, ბექებს ვერ ლფრინავ მაღალსავ.

<sup>1</sup> თ. უთურგაიძე, დროის ზმნიზედა ნათესაობით ბრუნვაში: „ნ. ბარათაშვილის სახელმწიფო ბეჭავოგიური ინსტიტუტის შრომები“, III, 1956 წ.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 104.

წ ნაწილაკი თუშურში დაერთვის როგორც ზმნას, ისე სახელს. ფუნქციის მიხედვით მას შეიძლება ვუშოდოთ მტკიცებითი ნაწილაკი.

გამოთქმულია ტოსაზრება, რომ წ ნაწილაკი ნაშთი უნდა იყოს წავიდა ზენისა<sup>1</sup>.

3. თუშურში ვხვდებით კიდევ ოდ ნაწილაკს. მას არსებით სახელებთან სხვა ფუნქცია აქვს და ზედსართავებთან — სხვა.

ა) ოდ არსებით სახელებთან (-ც... კი).

კაციოდ ვერ გაცკეთებდ — კაციც კი ვერ გაცკეთებდა.

ბალიოდ გაცკეთებდ — ბალიც კი გაცკეთებდა.

ქმასაოდ ვერ მიაწვდენდ — ხმასაც კი ვერ მიაწვდენდი.

ჯარიოდ აღარ ჩინდ — ჯარიც კი აღარ ჩანდა.

თუშურ ოდ ნაწილაკთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ფშაური ოთ ნაწილაკი. ამ ნაწილაკის შესახებ აროვ. ა. შანიძე წერდა: „ოთ ალბათ. ჯერ ვერ-ოთ გადაავლიეს 17,5 ალბათ ჯერ ვერ გადაავლიეს; არ-ოთ გა სწირავს 91,32 ალბათ არ გასწირავს. პურიოთ გშიან 176,10 ალბათ პური გშიან“<sup>2</sup>.

თუ თუშური ოდ და ფშაური ოთ ერთი წარმომავლობისანი არიან, უნდა ვივარაუდოთ, რომ ოთ მიღებულია ოდ-ისაგან.

ბ) ოდ ნაწილაკი ზედსართავებთან აწარმოებს აღმატებით ხარისხს; მაგ., კარგაციოდ წიგნი — ყველაზე კარგი წიგნი.

ცუტუნაციოდ შვილი — ყველაზე პატარა შვილი.

შავიოდ — ყველაზე შავი.

ზოგჯერ ოდ-ის ნაცვლად გვაქვს ოდე; მაგ., კარგაციოდე ( $\leftarrow$  კარგაციოდეა). მახვილის გავლენით დამხმარე ზმნის ა ჩაგარდნილია) — ყველაზე კარგია, მონაიოდე — ყველაზე ცუდია. ოდ  $\leftarrow$  ოდე  $\leftarrow$  ოდენ (შდრ. კ  $\leftarrow$  კ  $\leftarrow$  კნ).

სავარაუდებელი ხდება, რომ ოდ ნაწილაკი ოდენ-ის ნაშთია: კარგაციოდ  $\leftarrow$  კარგაცის ოდენი. მაგრამ, თუ ოდ ოდენ-ის ნაშთია, ოდ-ს გათანაბრებითი ხარისხი უნდა ეწარმოებინა, აწარმოვა კი აღმატებითი.

4. აც ნაწილაკი მნიშვნელობით უდრის ლა, მხოლოდ, მარტო ნაწილაკებს.

<sup>1</sup> ა. ხუბუტია, წ ნაწილაკისათვის მთათუშურში: ენიმკის მოამბე, X, 1941.

<sup>2</sup> ა. შანიძე, ვაჟას ლექსიკონი: ვაჟა-ფშაველა, ტ. II, 1930, გვ. 427.

ა -ს შემდეგ ძლიერი დამართვა ყოველთვის გვაქვს. მაგალითები ტექსტებიდან:

სამოციაც წასრულ თავის ქვეყანაში დიდისაგან დიდ ჯარისად — სამოცილა წასულა...

შეთევ, შენაც რამდენ გექნებოდ მოკლული ცაცმ ამში? —

შეთევ, მხოლოდ შენ (ან მარტო შენ) რამდენი გეყოლებოდა მოკლული იმ ამში?

ცხვა სოფლებითიაც ჯარ მოშველებიყო — სხვა სოფლებიდან ლა ჯარი მოშველებოდა.

ჯაფომ ცაგვრ იცოდის, რომევ რვა მეაც მოვკალივ — ჯაომ ასე იცოდა ხოლმე, რომეო რვა მარტო მე მოვკალიო.

სალიტერატურო ლა, მხოლოდ, მარტო ნაწილაკების ნაცვლად თუშური მხოლოდ და მხოლოდ აც-ს ხმარობს. თვით ლა-ს სხვა ფუნქცია აქვს დაკისრებული (ნ. ჭ 26); მხოლოდ ნაწილაკი თუშურში არც იხმარება; რაც შეეხება მარტო-ს, იგი თუშურში იხმარება, მაგრამ მას აც ნაწილაკის შეცვლა ყველგან არ შეუძლია.

5. უარყოფითი ნაწილაკები. თუშურში ვერა ნაწილაკი „ვიცი“ ზმნასთან ცვლის ორას.

### მაგალითები:

მე ჯერ თავადაც ვერ ვიცი... არ ვიცი.

დალონდა თუშთ მოურავი, გზაიწ ვეღარ ვიც ტიალი; ვეღარ ვიცი — ალარ ვიცი.

ვეღარვინ ვერ იცოდ.

ვერც ჩვენა-დ' ვერც იმათ ვერ იცოდეს — არც ჩვენ და არც იმათ არ იცოდნენ.

ვერ და ორა ნაწილაკების გვერდით გვაქვს ვერას, ორას და ნურას ნაწილაკები.

### მაგალითები:

ვერას გავაკეთებავ — ვერ გავაკეთებო ...ცაცს ვერას დაგვაკლებსავ,

საქმარედ ორას მინულდა, ცოდვილ-საბრალო არივ.

„...წირიმებს ორას გაკადრებს, მაქრებით შეგიჯერებსავ.

ნურას მოხვეხ, ნურას გაცვებიებ და სხვა.

ნურას, ორას, ვერას ნაწილაკები ორი სიტყვის შერწყმის შედეგად მიღებული ფორმებია.

ვერას ← ვერა-რას  
 არას ← არა-რას  
 ნურას ← ნუ-რას

არას ფორმას ვხვდებით ძველს ქართულშიც, მაგ.: „და უთხ-  
 რეს მშობელთა მისთა, ვ”დ: არას ზრუნავს დიდებისათვეს ამის  
 სოფლისა, ად პნებავს, რა იყოს ვა ერთი მდაბალთაგანი“<sup>1</sup>.

„აპა ესერა მიბრძანების მონათა ჩემთა, რამთა არას გეტყო-  
 დიან შენ“<sup>2</sup>.

აქც (ძვ. ქართულში), რა თქმა უნდა, არას ← არა-რას.

§ 39. პროსოდიული ა მთის კილოებში. პროსოდიული ხმოვ-  
 ნების შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ  
 ისინი გრამატიკულ ფუნქციას მოკლებული არიან, რომ მათი  
 „წარმოშობის მიზეზი უნდა ვეძიოთ სარწმუნოებრივსა და სხვა  
 სახის გალობა-სიმღერათა სიტყვების გაგრძობილად წარმოთქმის  
 ჩვეულებაში“<sup>3</sup>.

„ეს ხმოვნები გვხვდება მხოლოდ ლექსებში“<sup>4</sup>.

„ისინი განსაკუთრებით ხშირია ხალბური პოეზიის ზოგიერთი  
 სახის ნიმუშებში“<sup>5</sup>.

ალსანიშნავია, რომ მთის კილოებში პროსოდიული ა ძალიან  
 გავრცელებულია (გავრცელებულია ო-ც, მაგრამ მას ქართული ენის  
 თითქმის ყველა კილომეტრი ვხედავთ).

ა გვხვდება როგორც სახელებთან, ისე ზონებთან.

თუ შურიდან:

„გზას გიგლაცი წევს მკვდარია“.  
 „ქალსა-დ’ არ მინდა ქმარია“.  
 „სად წაგვივიდა ცხვარიავ“.  
 „...ვერც იმით გავიხარეა“.  
 „დიდოს საბოსლოს ვარია“.  
 „ქელებთ ფაჯუგოს ზძინავა“.  
 „... ბევრსა ხკლავსა“.  
 „ნაიბიც რო თან გავიყოლეთა!

<sup>1</sup> H — № 2124, 9a (ფოტოვირი), ინახება სელნ-წერთა ინსტი-  
 ტუტში.

<sup>2</sup> რუთისი, 2,9.

<sup>3</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, § 653, 1953.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე.

### მაგალითები ხევსურულიდან:

„აცათ, თქვე ლექვის შვილებო, რად შამაგვართვით თვალია?  
იქავ მთელია ლევანი, იქავ ბევრი ხყავ ჯარია!  
ხო გაქსონს, მოსაქციელსა იცი დაგიდგა დარია?  
გამზევრიათ ლევანი, გავინახევრა ჯარია!  
ქალაქში ბზანებს მელიცი: სიზმარი ენახე ძნელია,  
ეგ თუ გაიგა ლევანბა, ეგ თუ გაიგა—ძნელია;  
მოსთხარას ორივ თვალები, მოხერხას ენის წვერია<sup>1</sup>.  
„აჩქარდეს ხევსურთ შვილები, ერთმანეთს არ უკდისაო<sup>2</sup>.  
„...თავზე ნახურავს ჩაჩქანსა ჯამს ნატყვიარი სჭირდათ<sup>3</sup>.

### მაგალითები ფშაურიდან:

„არ შემოუშვა მტერია<sup>4</sup>.

„გენაცვლე ენა-პირშია“<sup>5</sup>.

და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ თუშურში პროსოდიულ ა-ს, გარდა ლექსისა, ეხვდებით ჩვეულებრივ მეტყველებაშიც (ამიტომ თითქოს უხერხული ჩანს ამ ა-სთვის პროსოდიულის წოდება თუშურში), თუმც პოეზიაში მას უფრო ხშირად ვხვდებით, ვიდრე პროზაში: ჩანს, ჩვეულებრივ მეტყველებაში მისი ხმარება გვიანდელია.

რას უნდა შეეწყოს ხელი ა-ს გავრცელებისათვის პროზაშიც?

უაირველეს ყოვლისა, ა უნდა გაჩენილიყო თანხმოვნით დაბოლოებულ ფორმასა და ერთ-თანხმოვნიან ან თანხმოვნით დაწყებულ ნაწილაკს შორის, მაგ.: გაცკეთებსაწ, გრცგებსაც და სხვ ა ქ ერთგვარად თანხმოვნების გამყოფის როლშიც გამოდის. ლექსში ხომ ისეც დასაშვები იყო. ამის შემდეგ არაფერი აღარ უშლიდა ხელს ა-ს უნაწილაკოდ და ლექსის გარეშე ხმარებას, ე. ი. ჩვეულებრივ საუბარში ხმარებას (დაწევისა, მოდისა, მიდისა...).

პროსოდიული ა მოუდის როგორც მნილობითის, ისე მრავ-ლობითის ფორმებს.

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, 1931, 62, 21—27.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 59, 7.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 59, 16.

<sup>4</sup> გაუაფშაველა, რჩეული, 1953, გვ. 9.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 11.

## ს ი ნ ტ ა შ ს ი

§ 40. ნარიანი და ებიანი მრავლობითის სინტაქსური ძალა თუშურში. ოოგორც ცნობილია, ძველ ქართულში ნარიანი მრავლობითის სინტაქსური ძალა, მართვა-შეთანიშების თვალსაზრისით, გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ებიანი მრავლობითისა. ნარიან მრავლობითში დასმული სახელი—ქვემდებარე თუ პირდ. დამატება—შემასხენელს რიცხვში ითანხმებდა.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ებიან მრავლობითში დასმული სახელის სინტაქსური ძალა გაიზარდა, ნარიანმა კი ზოგ შემთხვევაში ძალა დაკარგა (პირდ. ობიექტი ვეღარ ითანხმებს შემასხენელს რიცხვში). მაგრამ ზოგჯერ ახლაც ნარიანი მრავლობითი მეტ ძალას იჩენს, ვიდრე ებიანი.

თუშურში კიდევ ძალაშია ძველი ნორმა ნარიან მრავლობითთან, მაგრამ ებიანი მრავლობითი, განსხვავებით ძველი და აზალი სალიტერატურო ქართულისაგან, ისეთსავე სინტაქსურ ძალას იჩენს, ოოგორსაც ნარიანი, თუმცა დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ეს ნორმები მტკიცე არ არის; დღევანდელი სალიტერატურო ქართულის გავლენა დიდია თუშურ კილოზე. კილოს თავისებურებანი ნელნელა ქრება, ყველაფერი გადადის ლიტერატურული ენის წესებზე.

**სუბიექტი მრავლობითში**

„ლეკტ დოცკარგ ნეს.“

„დაბრუნდნეს ციცს ქაჯები-დ‘ წავიდნეს შინავ.“.

„რად არ ამბობენ ფშავლები“. .

იგივე მაგალითები ნარიან მრავლობითში ასე იქნება:

ლიქნ დოცკარგნეს.

დაბრუნდნეს ციცს ქაჯნი-დ‘ წავიდნეს შინავ და სხვ.

ობიექტი მრავლობითში

„გზის ძირ ჩავყარენ ზალტენი“.

„შიგ მიწაშია ჩავაწყენ შვიდით ნაწნავნი  
თმანია.“.

„კინის ულეჭწნე კარნივ“ და სხვ.

ასეთივე მდგომარეობაა ებიან მრავლობითშიც:

ცხვრებ დავამწყვდიენ, ძროხებ შევრეკენ.

„ყრუ ტყვევები ჩერქეზს ღმუყიდნეს“.

ინტენსიონის „და-თია გამოხატული ობიექტის სიმრავლე<sup>1</sup>  
შემდეგ მაგალითებში:

„კაცებ დალგზავნეს“.

„ჩეთმას დალგზავნეს ბიჭები“.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ჩენაში ენ, ნ (←ენ) ებიან მრავ-  
ლობითში დასმული ობიექტის გამოხატველაც გვევლინება. ეს,  
რა თქმა უნდა, გვიანდელია.

მაგრამ ამათ გვერდით ვხვდებით ასეთ ფორმებსაც:

„ჩელნ დაშჭრეს“.

„ჩეთმას დახურეს ცანია“.

„ძირით დავიჭერ თმანია“.

„დიდოებ სუ იჯოცების“.

ჩვეულებრივად იხმარებიან ესენიც: კელებ დაშჭრეს ან  
დავიჭერ თმები და სხვ.

მსაზღვრელი ძირითადად მხოლობითში დგას მრავლობით რი-  
ცხვში მდგომარეობა; მაგ., ლამაზ დიაცუნქ და ლამაზ დიაც-  
ცებქ, მაგრამ შეიძლება ორსავე შემთხვევაში მსაზღვრელიც მრავ-  
ლობითში იყოს: ლამაზი დიაცუნი (ასე იყო ძველ ქართულშიც),  
„ნაწნავნი თმანია“.

„მითხუში თეთრებ ციხეებს კინის ულეჭწნეთ კარნივ“.

„ფარსმაში თეთრებ ციხეებს ვერას გაუღებ კარებსავ“.

ებიან მრავლობითში ასეთი შეთანხმება უფრო იშვიათია და,  
რა თქმა უნდა, ნარიანი მრავლობითის ანალოგითაა გაქეთე-  
ბული.

§ 41. კრებით სიტყვებთან შემასმენელი მრავლობით რიცხვშია.

კრებით სიტყვებთან: (ხალხი, ჯარი, ლაშქარი) შემასმე-  
ნელი ზოგჯერ მრავლობით რიცხვში დგას ხოლმე.

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, I, 1955, § 261 (გვ. 152—153).

5 თ. უთურგაიძე

### მაგალითები ტექსტებიდან:

„შემოხვევიყვნეს წითელ ხალხი“.

„ციცქა დანარჩენ ხალხ მოქუჩებულიყვნეს ჯარაგას“.

„ლეგის ჯარმ ტანისამოს თურ გრძელესა დ' თოფებიც ქანჩაბზე მიყყუდა-დ' ლოცაცობა დეცური.“

„ხალხ ბანებს ხვეტენ“.

„მემრ ციცქა დენგა-მუჟამამ უთხრ, რო ჩაჩინდეს თუში ლაშქარი, თუშებივ ნამუსიან ხალხიავ, იარაღ დავყაროთაო-დ' არ დავვროცენავ“.

**§ 42. რიცხვითი სახელი მსაზღვრელად.** რიცხვით მსაზღვრელთან საზღვრული ზოგჯერ მრავლობით რიცხვშია; ბუნებრივია, რომ ასეთ შემთხვევაში შემასმენელიც მრავლობითში იყოს, მაგ.,

„წასრულიყვნეს სამ დიაცეპძ“.

„ორ უშვილო მეზობლებ ყოფილიყვნეს“.

ვხვდებით ისეთ შემთხვევასაც, როდესაც რიცხვით მსაზღვრელთან საზღვრული მხრილობითშია, მაგრამ შემასმენელი მრავლობით რიცხვში დგას, მაგ.,

„ოთხ კვამ ღარევ დამრჩალიყვნეს“.

მსგავს შემთხვევებს ქართული ენის სხვა კილობზიც ვხვდებით.

რიცხვითი სახელით განსაზღვრული სხვა სახელი შეიძლება დამატება დაც შეგვხდეს. იგი ზოგჯერ ამ შემთხვევაშიც ითანხმებს შემასმენელს რიცხვში, მაგ.,

„ჯარაგაში გაგვირნეს ოზდაათ კაცი“.

ანალოგიური მდგომარეობა ჩანს ზოგჯერ კომპოზიტებთანაც, მაგ.: „პაპას ცოლ-შვილი ციხეში გეცს ტუმრნეს“.

ამ მაგალითებში, რა თქმა უნდა, რიცხვში შეთანხმება შინაარსის გამო ხდება. ასეთივე მდგომარეობა უნდა გვქონდეს ამ წინა-დადებაშიც:

„და მოილო იესუ ხუთი იგი პური და ორი თევზი და ალ-ხილნა და აკურთხნა და დამუსრა პური იგი“ მრ. 6,41.

აქ „აკურთხნა“-ს დამატება არის ხუთი იგი პური და ორი თევზი.

უმეტეს შემთხვევაში ამ სიტყვებთან თუშურში სალიტერატურო ქართულის ნორმაა დაცული.

§ 43. ა და მე ნაწილაკები. თუშურში გვაქვს ნაწილაკი ა, რომელიც საკითხავ სიტყვას დაერთვის ხოლმე და გამოხატავს კითხვას. თუ კითხვითი სიტყვა არის წინადადებაში, მაშინ ამ ნაწილაკის ხმარება საჭირო აღარაა.

ასეთივე მდგომარეობა გვქონდა ძველს ქართულში და ასეა ზოგიერთ მთის კილოში ამჟამადაც<sup>1</sup>.

კითხვით ნაწილაკს, თუ ის საჭიროა, მუდამ ვხვდებით თანხმოვნით დაბოლოებულ ფორმებთან; მაგ., მიცლება? (მოიტან?) გაცემება? (გააკეთებ?), წახვა? (წახვალ?) და სხვა.

ხმოვნით გათავებულ ფორმებთან იგი შეიძლება გვქონდეს და შეიძლება არც გვქონდეს, მეტწილად არა გვაქვს; მაგ., ჩაგრეა? (აგრეა?), ხასრეა? (ასრეა?), მაგრამ: წიცლო? (წაილო?), იცი? (შდრ. ძვ. ქართ. უწყია?) და სხვა.

თუ კითხვით ფორმას თანხმოვნით დაწყებული ნაწილაკი დაერთო, მაშინ ა ნაწილაკი ხმოვანზე გათავებულ ფორმებთანაც გვექნება; მაგ.: წიცლო-შე? (წაილო?), თქვა-შე? (თქვაო?) ჩიცლვა-შე? და სხვა (ნ. § 4, გ).

კითხვას გამოხატავს მე ნაწილაკიც, ამავე დროს ნატვრასაც გამოხატავს, მაგ.: მოვა-მე? (ნეტავ მოვა?), წიცლო-მე? (ნეტავ აილო?) და სხვა. თუ სიტყვა, რომელსაც მე დაერთვის, თანხმოვანზეა გათავებული, მაშინ ამ ნაწილაკის წინ ა ხმოვანი ჩნდება ხოლმე; მაგ.: გაცემებსა-მე? (ნეტავ გააკეთებს?), გაცემებსა-მე? და სხვა.

ნატვრითობა ყოველთვის ახლავს მე-ს. იგი ხშირად კითხვით ა ნაწილაკსაც დაირთავს ხოლმე; მაგ.: წიცლო-მე-შე? (ნეტავ აილო?), მოვიდა-მე-შე? (ნეტავ მოვიდაო?) და სხვა.

მე-ს რომ ნატვრის ნუანსი შეაქვს წინადადებაში, ამის დასამტკიცებლად ქმარა ისეთი წინადადება, სადაც მე ან მ ( $\leftarrow$  მე) გეხვდება, მაგრამ წინადადება კითხვითი არ არის, ნატვრითობა კი ნათლად ჩანს; მაგ.:

„გზის ძირ გვითხრიან საფლავსა, გზის თავა-მ დაგვმარხიანა!“  
 (გზის ძირს გვითხრიან საფლავს, ნეტავ გზის თავზე  
 დაგვმარხონ!).

„სახელო ან ი-მ ვიქნებით, გამარჯვებული მტერზედა!“

<sup>1</sup> ა. შანიძე ქველი ქართული ენა (მოკლე მიმოხილვა): „ქველი ქართული ენა და ლიტერატურა“, შეღვენილი ა. შანიძის, ალ. ბარამიძის და ილ. აბულაძის მიერ, 1939.

ამ წინადადებებში გ-ს ნატვრის ნუანსი შეაქვს. იგი რომ კითხვას გამოხატავდეს, აღნიშნული წინადადებები კითხვითები იქნებოდა, ნამდვილად კი ორივე წარმოადგენს ნატვრის გამომხატველ ძახილის წინადადებას. კიდევ ერთი: ცნობილია, რომ, თუ წინადადებაში კითხვითი სიტყვა არის, მაშინ კითხვითი ნაწილაკი აღარ იხმარება, თუშურში კი მე, მ (←მე) ნაწილაკებს კითხვით სიტყვებთანაც ხშირად ვხედავთ, მაგ.:

„თავ უჩინს, ბოლომ სად არივ?“

„გადასაზღვრელიმ სად არივ?“

„ეგემ რად უნთიავ?“

და სხვ.

ამ წინადადებებში კითხვა გამოხატულია სად და რად ნაცვალსახელებით, მ კი ნატერითობის ნაწარმოებელია.

Յ ա յ ն կ օ յ ն օ

## გამოქვეყნებული ოუშური ტექსტები და მათი ენათმეცნიერული ლირებულება

თუშური ტექსტების ჩაწერას აწარმოებდნენ ჯერ კიდევ XIX საუკ. ბოლოდან. ეს ტექსტები ძირითადად შედგება ლექსებისაგან.

თუშური ლექსების შემკრებთ აინტერესებდა თუშური ხალხური ზეპირსიტყვიერება. ენათმეცნიერული თვალსაზრისით გამოქვეყნებული ოუშური ტექსტები ცოტა გვაქვს.

თუშური ტექსტების შემკრებთაგან აღსანიშნავია:

- 1) ივ. ბუქურაული, თუშური ლექსები: „ძველი საქართველო“, II, 1913.
- 2) დ. ალბანელი, თუშური სიმღერები: „კვალი“ №№ 13, 14, 17, 20, 37, 1897.
- 3) დ. როსტომაშვილი, თუშური ლექსები: „მოამბე“, III, 1895; XII, 1896; I, II, III, 1897.
- 4) ი. გომელაური, ხალხური ლექსები, ჩაწერილი თუშეთში: „კვალი“, 29, 1897.
- 5) ს. მაკალათია, თუშური ლექსები, 1937.

თუშური ლექსები ხშირადაა მოყვანილი ს. ნაკალა-თიას მონოგრაფიაშიც<sup>1</sup> თუშეთის შესახებ.

- 6) ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I. ხევსურული. 1931. აქ თუშური ლექსები მოყვანილია როგორც

<sup>1</sup> ს. მაკალათია, თუშეთი, 1933.

ხევსურულის ვარიანტები. ამ ვარიანტებში შედის ი. გ. ბუკურ აულის, დ. როსტომა შვილის, ი. გომელის, დ. ალბანელისა და გ. ბოჭორიშვილის მიერ ჩაწერილი ზოგიერთი თუშური ლექსიც.

თვით ა. შანიძის მიერ ჩაწერილ თუშურ ლექსთაგან აქ დაბეჭდილია მხოლოდ 8 ლექსი (ხე, 24 დ, 25 ც, 28 გ, 99 გ, 419 დ, 715 ბ, გ)<sup>1</sup>.

ჩვენ ზემოთ აღნიშნეთ, რომ ამ ტექსტების დიდი რაოდენობა ნაკლები ლირებულებისაა ენათმეცნიერული თვალსაზრისით, ახლა კი შევეხებით იმ ნაკლს, რაც მათ ახასიათებს.

გარდა იმისა, რომ ზოგიერთი ჩაწერი იოტს (ჟ) და კარს (ჭ) არ ხმარობს (მკვეთრ გ-ზე ხომ ლაპარაკი ზედმეტა!), ხშირად დამახინჯებულია თუშურისათვის დამახასიათებელი ფორმებიც; მაგ., დ. როსტომა შვილის ჩანაწერებში ვხვდებით ასეთ ფორმებს: ჰლესავდა, გამამიყენეს, ჩუჩილაობდნენ, ნაცვლად ამისა: ლლესავდა (ან ლლესევდ), გამომიყენეს, ქუჩილაობდნენ (უფრო ზუსტად: ქუჩილაობდეს).

მსგავსი შეცდომები მრავლად აქვს ი. გომელაურსაც და დ. ალბანელსაც. ზოგი მათგანი უთუოდ ბეჭდების შეცდომებია, მაგ., დ. ალბანელის ჩანაწერებში ასეთ რამეს ვხვდებით:

ქალმა ქახოს ათენამ  
ვაჟურათ ცადა თავია<sup>2</sup>.

უნდა იყოს: ქალმა ქახოსა თინამა  
ვაჟურად სცადა თავია.

კახოს თინა ცნობილი გმირი ქალია სოფ. ფარსმილან.

დ. ალბანელის ჩაწერილ ლექსებში ვხვდებით, მაგ., ასეთ ფორმებს: სატირლათ, შაიოტყო, მუხლათ, ნისლათა, შალების, ნაბიჭრათ, დაგვითოთხინოთ, შაკმაზა და სხვა. დ. ალბანელს ამის მიზეზი აქვს კიდეც. აი რას წერს ის შესავალში, რომელიც წამდლვარებული აქვს მის მიერ გამოქვეყნებულ „თუშურ სიმღერებს“: „ამ სათაურით ჩვენ გვსურს დავეხეჭდოთ რამდენიმე სიმღერა, რომლებიც შევკრიბეთ წოვა-თუშებს შორის“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული (შენიშვნები და ვარიანტები), 1931.

<sup>2</sup> დ. ალბანელი, თუშური სიმღერები: „კვალი“, № 13, 1897.

<sup>3</sup> იქვე.

ცოტა ქვემოთ კვლავ იმეორებს: „ჩვენ შევკრიბეთ სიმღერები, როგორც ზემოთაც ითქვა, წოვა-თუშებს შორის“.

ზოგი შეცდომა გასაგებია, რადგანაც წოვები, ქართულად თუ ლაპარაკობენ, კახურად უქცევენ.

უნდა აღინიშნოს, რომ პროფ. ს. მაკალათიას მიერ ჩაწერილ და გამოქვეყნებულ თუშურ ლექსებში იმდენად არის შეცლილი თუშური კილოს ფორმები, რომ ზოგჯერ ლექსის შინაარსი ბუნდოვანი ხდება და ძნელი გასაგები; ზოგჯერ კი არასწორი ჩაწერის გამო წინადაღებას შინაარსი სრულიად შეცვლილი აქვს. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:

ტყვია-წამალ გასთავებიათ,  
გულგალალებულ მტრისაო.

უნდა იყოს ასე: ტყვია-წამალ გასთავებიათ,  
გულ გალალებულ მტრისაო (= გული გალალებულა მტრისაო). წინადაღებამ სულ სხვა შინაარსი მიიღო.

...აღმ შეაბრუნენ წყალსაო<sup>1</sup>.

შეაბრუნენ ფორმა თუშურში საერთოდ არ გვხვდება.

ან კიდევ: თავით დაჲყულენ მყვდარსაო<sup>2</sup>.

„შემოტრიალდნენ ვაცები, სულ შეაგუბენ მცხვარია“<sup>3</sup>.

„ცხენ ეუბნება პატრონსა: ნუ ვამაქცუნებ წინაო,

ცხენთ უკან დამაყენებდი, ვითომც დაგივარდ

გზაზედა,

ცხვარს ნურავ მიმაღევნიდი, უანგს ნუ მომკიდი

ნალზედა<sup>4</sup>.

აქ არც ლექსიკა, არც მორფოლოგია და არც სინტაქსი თუ-შურისა არ არის.

ჩვენი აზრით, ცუდადაა ჩაწერილი ესეც:

„წამოდგებოდა გიორგი, წამოიყოლა ხმალია,

თითო შეწირა მეცხვარეს იმის მსახურ მხარია“<sup>5</sup>.

ასე ვერაფერს გავიგებთ; სულ სხვაა, თუ ასე დაგწერთ:

წამოდგებოდა გიორგი, წამოიყოლა ხმალია,

თითო შეწირა მეცხვარეს: იმის მსახურია ხარია!

<sup>1</sup> ს. მაკალათია, თუშური ლექსები, გვ. 11.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 12.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 26.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 28.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 22.

ჩეენ აქ მხოლოდ აუცილებელი შევასწორეთ. მსგავს მაგალითებს მრავლად ვხვდებით პროფ. ს. მაკალათიას მიერ ჩაწერილ თუშურ ლექსებში და პროზაულ ტექსტებში.

კარგად და დიდი რაოდენობითაც თუშური ლექსები გამოაქვეყნა ივ. ბუქურაულ მა, მაგრამ შეცდომებს მასთანაც საკუთარ ვხვდებით; მაგ., პირის ნიშანი სრულიად გაუგებარს ხდის „ზჯობინობას“<sup>1</sup> ფორმას. ჯერ ერთი, საწყისთან პირის ნიშანი არ არის საჭირო; მეორეც, ჯასთან ს (ს<sub>2</sub>, ან 0<sub>3</sub>) გვაძლევს ჟს (როგორც ხევსურულში) და არა ზს. ასევე გაუმართლებელია ს „სშენდობა“ ფორმაში.

ყველაზე უფრო სამწუხარო ისაა, რომ კარს არ ხმარობს იქ, სადაც საჭიროა, თუმც ამისი შესაძლებლობა მას ჰქონდა, რადგანაც მის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტებში აქა-იქ კარიც გვხვდება, მაგ., აშვანაიძე, კირიმი (60), კაროვანი (53), კორქი (89) და სხვ. მაგრამ მათ გვერდით გვხვდება ასეთი ფორმებიც: ხმალი, ხმა, ხევსური გიხოცავ, ხელი, სახსარი და სხვა. ნაცვლად ამისა: ჟმალი, კმა, გირცავ და სხვა.

ხალხური სიტყვიერების შეგროვების თვალსაზრისით ივ. ბუქურაულის მიერ ჩაწერილი თუშური ლექსები ძვირფასი განძიაჩენი ფოლკლორისათვის. ეს ლექსები ადგილზეა ჩაწერილი და თუშების ცხოვრების მრავალ საინტერესო მომენტს გადმოგვცემს.

კიდევ რიგი შენიშვნების გაკეთება შეიძლებოდა. მაგრამ თავს ვიკავები, რადგანაც ეს ტექსტები, როგორც აღნიშნეთ, ენათ-მეცნიერული თვალსაზრისით არ ყოფილა ჩაწერილი და გამოცემული.

ცალკე უნდა აღინიშნოს პროფ. ა. შანიძის მიერ ჩაწერილი და გამოქვეყნებული თუშური ლექსები. აქ, რა თქმა უნდა, ყველა ნიშანი თავის ადგილზეა, მაგრამ 99 ბ-ში ეხვდებით ასეთ ფორმას: მაიყვანაო, მაიტანაო; თუშურში ეს ფორმები ასეთი სახით გვხვდება: მოიყვანაო, მოიტანაო, ან ასე: მთეყვან, მწეტან. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს ლექსი ხევსურულია, ნათქვაშია ხევსურ ნასკვაურიძეზე, მაშინ თუში მთქმელის მიერ ამ ფორმების ხმარება გასაგებია.

<sup>1</sup> ივ. ბუქურაული, თუშური ლექსები: „ძვ. საჭართველო“, 11, 9.

### პ რ თ ხ ა

#### 1. შეთესი-დ' ოორლვაც ბასხაჯაცურის ამბავი

შეთესთან ერთ კაც მოსულა-დ' ეთქვე: — შეთევ, მე შენთან მო-  
ვედი, ბეკობარს გონივ აპირობ, მეაც წამიყვანე.

— მე შენისთანა კაცებს არ წავიყვან.

— რად, შეთევ, რაცისგნივ მწუნობ?

— სანამდინას შენ ჯუნჩაცებს ჩრუცვამ, ჩვენ ლაცას ავალთ.

— შეთევ, მაშ, თუ მონა კაც ვარი, ლეკიშ მყავის მოქლული!

— აბა როდის მოძვალ ლეკ?

— ცეცს ბაზალაც ციცმისეულ მაქვ.

— აბა ვინ გყავის მოწმედ, რო შენ ლეკ მოხკალი-დ' ცმაგ

თოფ ციცმისეულაც გაქვ?

5

— ფხიკლე მყავის მოწმე, კვესიაციძეა.

— აბა თუ ციცს გყავის მოწმედ, მე ციცმას ვნახავ. კელ მოშჭერი

10

ციცმ ლეკს, თუ ვერ?

— კელიც მოვშჭერი-დ' ხახლაც დართლოს ციხეზედ აკრავის.

— იცი, რო ხახლაც ვარევ არის ციცს კელი? რაც გვარისა 15

ხარშ?

— თორლვაც ვარ მე, ბასხაჯაცური.

— აუ, თორლვაცო, გამარჯობად, შეაწ ველარ გიცან. როცა  
მეკობარს ვაპირებდ, შეგატყობიერბა-დ' წაგიყვან. კაცო, შენ ჩემთან  
მეკობრად ნამყოფ ხარი, თუ არ?

20

— შეთევ, ვარიშ, რად ალარ გაქსონს. ასაწორ რომ დავეცენთ,

სამიშ კაც მოვკალთ, შვიდიშ ძროხაიც გამოვრეკეთ?

— ბიჭო, ბიჭო, როდის იყო ცმაგ?

— როდის იყო-დ' შარშასწინაშ იყო, შეთევ.

— ვინაცებ ვიყვენო?

25

— შეთევ, შენ ხო ბელად იყავი, ბერიქაცთ ჯაცო, მე, დავი-  
თიანთ გიცოდ და შამშალაცთ ლეთისავარი — ცეცსენიშ ვიყვენო.

- ჰო, ცეცხლ კი ყველაც მომაგონდ, მართლ, მართლ...
- ძალიან კა იქნებოდ, შეთევ, რო ცეცხლავ ვიცოდ, მეკოპრად  
30 როდისებ წავალთ.
- შენ მაგაზე ნუ, შემიწუხდები, მე თავად მოამბეს გამოგიგ-  
ზავნი-დ' შეგატყობიებ; ჩე ჯერ თავადაც ვერ ვიც; როცა დამი-  
კილოვდების, ციცქაშიც შევხერ მეკონარს.

### 2. შეთესი-დ' რუსის ნაჩალიკის ამბავი

- გამარჯობა, შეთევ!
- გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს, ნაჩალიკო!
- შეთევ, მე შენთან ერთ-ორ სიტყვა მაქვ სათქმელაცი.
- მითხარი, რაც გაქვის?
- 5 — ცეცს სამ დღე, ლეკებ დიცყარგნენ, შვიდ კაცი, ცეცმ თქვენ  
გროვას აბრალებენ, ცაცქითა ერთ სამ კაც უნდა დავიჭიროთ ახლ  
ჩვენ.
- რაცისგნივ დიცჭერთ ცაცქითა სამ კაცს?
- ამზობენ, რომევ მაგათ დაწოცესავ ცეცსინის-დ' წყალში გა-
- 10 დაყარესავ.
- შენ მშვიდობიანად გაბრუნდ ცაცქითა, თვარამ მე ვიც;
- ვისაც დიცჭერ, შენ თავისთავს დიცჭერა-დ' ცაცმას გამომრჩები.
- შეთევ, აგვრ დამალულად რო კაცებ ვკოცოთ, არ იქნების!
- დიდოებ სუ იქოცების, გან დიდოეთ დიდო ალარ დარჩებ
- 15 მაგათ დაწოცით!?
- შეთევ, მაგაზე ერთ-ერთ ამბავ უნდ წუცტანს თავის უფ-  
როსს, ლურბელნატარს.
- მე არც ლურბელნატარ ვიცი-დ' არც ნაჩალიკი-დ' არც დი-
- 20 დოები. დეტშინ ნაჩალიკსა-დ' წავიდ თავის ჩაფრებით; შეთესა-დ'  
ცაცმის ამხანაგებს ლეკებ კი მართლ წყვანდ დაწოცილი.

### 3. შეთესი-დ' თორლვაცის ამბავი

ოჳ, კიდევ გნახე თვალით, შეთევ, გამარჯობად! რაცგვერ ხარი, შეთევ? რამდენ ხანაი, შეთევ, რო ერთმანეთ არ გვინახავ? — ეთქვ თორლვაცს.

- სამ წელი, თორლვაცო, სამს.
- მართლ, ბიჭო, სამ წელი. ჭარის თავ რომ ვიყვენთ სამე-  
კოპროდ, ცაცმის უკვენ ერთმანეთ ალარ გვინახავ. აი გიდი დროო!

ციცქივ დრო ჯობდ, რო სამას ცხვარ გამოვრეკეთ ციცქითა, რვა კაციც ხო მოვკალთ, ნაიბიც რო თან გავაყოლეთა! ციცქის ციცქით მებურწყლედ დასჭირდებოდ; ნაიბის თურაკ რო დარჩ ფერმოწყვეტილი, ციცქიც ციცქმათავ გახყოლიყო. მემრ ციცქითა რო წამოედით, 10 გემეშოლების რო დავეცნოთ, მამასათლისის შინ რო შევიყარენთ, ციცქმ ანერ ცხნმაწ ბაშტეს წვივილ დიცწებო; თავად გაგვაგები ციცმამ, რო ცაცქ ვარივ.

— ძროხებიღ რამდენ ყოფილიყო?

— ულელიწ წარ იყო, სამ ფური, ერთ წმოდ; ციცვენიცაწ ციცმავ სამას ცხვარს გამოვაყოლეთ. ახ, ციცქის მამაძალლები, ციცქენი! 15 ყვავილიანებიწ ყოფილიყვნეს ციცქის დიდონი, ველარ გამოვრეკენთ ტყვედ. ტკცეობაზეაც კი შეტ იყო — თავებ ხო დავაყრევიეთ! რამ-ტენნიღ იყვნეს, შეთვე?

— ცოლ-ემარნ იყვნესა-დ' სამ შვილ ხყვანდ.

— ციცქის მამაძალლის დიდო გამოქცევას აპირობდ.

— ჩემ ქმალს ვეო გაძეცეცეოდ ციცქის! მალ წამოვხპარს თავრელაცი!

— დანარჩენებიც ხო თან მივაყოლეთ!

— დაგრ უნდ მაგათ, თორლვაცო, დიდო სიდაც შეგეყრების, მოკალი-დ' გადაცგდე, დაგრ უნდ მაგათ.

— შეთვე, შვილებ რო დაგინოცეს ლეკთ, ციცმის უკენ რამდენ ლეკ გყავის მოკლული?

— ოცდაშვილ მყავის, თორლვაცო; ქაქმატის ჯვარში ფიც მაქვ ნათქვამი, სამოცად უნდ შევასრულო.

#### 4. შეთესი-დ' დაგით კევსიაციძის საუბარი

— შეთვე, ლაცას რომ ჯარ ჩამოიდ, ციცქის ჯარ ვის გამოგზავნიღ იყო?

— შამილის გამოგზავნიღ იყო.

— რაცისგნივ მეცლალ შამილს ციცქის ჯარი?

— შარბათ არ მივეცითა-დ' მით.

— ჯარ რამდენ იქნებოდ, შეთვე?

— ცაცქ ამბავ მოიდ ლექეთისკითა, რომევ რვაასიავ.

— ბევრ დიცქოცა, შეთვე?

— მკვდრები, რაციც დაველეთ, ოთხმოზდარვა იყო, ტყერი დაქოცილთ ხელევდეს გარევ ბევრს — ყველაცსავ შვილოცამდ ამ- 10 ბობდეს.

— შეთვე, შენაც რამდენ გექნებოდ მოკლულ ციცქმ ამში?

- თერთშეტ კი მაქსონსა-დ' დაჭრილებიც იქნებოდ.
  - ჸელნ არ დაშეერი, შეოვე?
- 15 — ენებ რად მიწდოდ დაჭრილი, გან ცოლ-შვილს უდუ-  
ლებდნ.

### 5. ადო მამისაციძისი დ' შირაქში ყაჩალების დაკოცის ამბავი

შაბისპუთ ადო შირაქში ცხვარში ყოფილიყვ. ციცქ ერთ განთქ-  
მულ ყაჩალ ყოფილიყვ, დალი ალიაცი, ორ ამხანაგიც ხყვანიყვ. შირაქში დაცენილიყვნეს ის ყაჩალები-დ' ძალიან ეცვარც ხალხ. ერთ ღამეს მამისპუთ ადოსად მშეტან ცხვრის ბინაში, ადოს კი წინავ 5 გეზგრ, ამ ღამევ ყაჩალებ მოვლენავ ჩემთანაო-დ' ძაან გაეშმაკებულ ყოფილიყვ.

\*ფარეხის კარებთან ერთ ერდო ამეცემი ადოსა-დ' შიგ ჩამძვრალ-იყვ მზირად.

მისრულიყვნეს ყაჩალები, ფარეხის კარის ღება დეჭრყ. იმათ,  
10 თავის ფიქრით, უნდ გამშეტრეც ერთ სამოც-ოთხმოცმდ ნოტო-დ'  
გეზრევ.

ადოს ტალიან თოფ ხქონიყვ, ესრია-დ' დალი ალიაცის ამხა-  
ნაგისად შიგ გულში დეცკრ. ცხვა ამხანაგებ დახვეწილიყვნეს. მი-  
ლვარდინიყვ აღია-დ' მცვდარ ყაჩალისა-დ იარაღ ცეცყარ. ბერდენეკაც  
15 ხქონიყო-დ' ოთხმოც პატრონაციც. ის იარაღ თუქურმიშაში პრის-  
ტავთან წესლ.

### 6. ლაცას დიდოს მოკვლის ამბავი

ლაცას თუშების მილიცია ყოფილიყვ. თორმეტ კაც ყარაულად  
ყოფილიყვნეს მთელ სადიდონ გზების. მეკოპრად წამოსრულ  
დიდო შემოხუდვებიყვ. თორმეტ კაც მირგვლიაც შემოხვევიყვ დი-  
დოსა-დ' ეთქევ; — თოფ გადაუდევ, თვარამ მოკვლავთა!

5 დიდოს თოფ არ გადეცვდლ. ფეხზე ცეცყენა-დ' ისთაც შეჭრიყვ  
ჸელში.

მიქელაც გულუხიზეს ჭმალ წამეტვადა-დ' ჸელში დეცკრ. დიდოს  
თოფ დეცგდლ, მეორე ჸელით ხანჯარ ამეტვადა-დ' ისთაც დამდგა-  
რიყვ შეუ ხალხში. გზა მიეცათ დიდოსადა-დ' ისიც გახვეწილიყვ.  
10 გაქცეულისად თოფის შილინგ მიეცა-დ' იქავ ტევით დეცცხავ.

## 7. კესელოს ციხის ამბავი

ომალოს ჯარ მოსრულიყო დიდოებისათ. მთელ სოფელ კესელოს ციხეში დამაგრებულიყო. შეიდის დღესა-დ' ღამეს ერთ; კესელოს ციხე ვერა გმირებ დიდოებს. ციხეშიგითა თუშის ჯარს სამოცდაათ კაც წესკლ. გაბრუნებულიყო დიდოების ჯარი. უკვენ გამოზდგომიყვნეს თუშები. დიკლო-შენაქოს მდევარ წინ ჩასაფრე- 5 ბულიყო. თხილოან შუაში მშემწყვდივნეს, იქ ეომა-დ' ოცდაშეიდ დიდო იქ მეცკლ. დახვეწილიყვნეს დიდოები, ზოგ კდეთ გადაჭრილიყო, ზოგ წყალში ჩაყრილიყო. სამას კაცისა ორას ათ კაც კიდევ წასრული- ყო. შამილს ეთქვა: — ახიავ თქვენდავ, ერთნიც აღარ უნდ მოსრული- ყვენთავ ცოცხალნავ, ვინ გითხრათავ თუშთ ეომეთაო-დ' იქ წეითავ! 10

## 8. ასაკოს წაკლენის ამბავი

ასაკოს თუშთ ცენტრებ ყოფილიყო საბალახოდ. დიდოებ მოსრულიყვნეს ცხვრის ბინაში, ნაიბის განოგზავნილ კაცებ ვართავ ჩვენავ, თოფებ უნდ მოგვცეთავ. თოფებს არ მოგცემთავ— წეცხვა- რებს ეთქვა. ჩხუბ მოსვლიყო, ერთ დიდო მშეცლა-დ' ერთ თუშშ. ოცდასუთნ ყოფილიყვნეს დიდოები-დ' მეცხვარებისად თოფებ 5 წეურთო. მეორე დღეს ჯარ დასცემიყო-დ' ოთხიათას ცხვარიც წეულო. შილდას კაც გამშეცგზავნ წეცხვარებს: ჯარ დაგვეცავ, ცხვარ წაგვართვესავ. იქითა ქალაქს გმირები ველის კრიაზისად, იქითა ჯარებ გამშეცგზავნ. დეცცნეს ასაკოს, თუშების ცხვარიც წეურთო, შვილიათას ასაკოსი-დ' ცხვა სოფლების ცხვარიც გამშეცეა-დ' თუ- 10 შებისად მიეცა-დ' იმათ გმირებ.

## 9. დიკლო-შენაქოს მოთხრავ

ახალწელ ყოფილიყო, ზამთარი. მოსრულიყვნეს სამ დიდოებ დიკლოს. დიკლოს ორ მოვიდნეს, იქ ერთ ნაცნობ კაც ხყანიყო-დ', იმას პურ ეჭმი. გამოსრულიყვნეს იქითა დიდოები. ორნ შენაქო- საკ წასრულიყვნესა-დ' ერთ უძვენ გაპარულიყო. ციცს უკვენ გაპა- რული ჯარსთან წასრულიყო ბიგებ უკვენით. ორნ შენაქოს მო- სრულიყვნეს საქვაბეს. ქვაბებ ეკიდ შენაქოლთ. იმ დღეს ის დი- დოებ იქ დამტჩალიყვნეს საქვაბეს, ციცქავ ეჭმი ჭმად. ორ დაღა- მებულიყო, სასოფლო ციხე იყო შენაქოში ერთი-დაც ციცქ ერთ ხიზან ქისრ ხყანიყო შენაქოლებს, იმ დიდოებს ქისტისად მიე- ტან, ჩვენავ დავზრებითავ, გარებ გაგვიღევ. ქისტს გმირლი კარებბ, 10

შესრულიყვნეს დიდოები. სამ შვილისად, ცოლისადა-დ' კაცისად თავის დუშკო. მეექვსე სართულში ასრულიყვნეს, ცრცე მაშხალაც ცეცნთა: ჯარისად ეცნობ, როცევ მოდითავ ახლავ.

ზამთარ იყრ, დაწ-მოწოლილ ხალხი-დ' კინ გრძევებდ. ხელპუთ 15 ბეროს ცოლს არა ეწურ. იმ ხელპუთ ბეროს ცოლს არა ეწურვას ფერის კრა მიზნებიყრ, ჭყრიალი.

— არიქათ, შენაქოლნო, ჯარ დაგეცათ, ციხეებში შექუჩდით!

ზოგს მეცსწორ ციხეებში შესვლა. ექვს ციხეში შესრულიყვნეს, იმ ერთ, სასოფლო ციხეში კი იმ დიდოებს არ შეუშრ. ბევრ გზა-20 ზეავ დეცკოც. ოცდაშვიდ დღეს მდგარიყო შენაქოს ლეკის ჯარი. ერთ ხელპუთ ციხე გადამრჩალიყრ, დანარჩენ სუ წეცელინ. შენაქოს ერთ ციხე მაინც დამრჩალიყრ, დიკლოს კატაიც აღარ გრძევირ. ქალ-რძალ სუ გრძელების დიდოეთ.

### 10. საგირთის ციხეების აგებად

ორას წლის წინ იყო ასთაც ამბავი: საგირთაში ციხეებ ცეცხები დიდოებისად წოაყებს. ორი ხუშეთულ ყოფილიყო-დაც ხუთნიც კი-დევ მეთერატელებ ყოფილიყვნეს (დიდოები, თ. უ.). ერთ წელს ეგვაც ციხს სამ ციხეა. სამ ციხის აგებაშიგ ხუთმეტ სულ ძროხა 5 მიეც. ეს სამ ციხე გორჩე ცეცხებია-დ' წყალ არ ხელიყო-დ' ტუ-ნელ გრძევანი წევამდინას, აქითა რაცგვერც ცაცის კევე (დახლოე-ბით 0,5 კმ., თ. უ.).

წესს ის ხუთმეტ ძროხა იმ დიდოებს. დაზღვენებიყვნეს უკვენ ის წონები, ღელეზე მოსწევიყვნეს დაც იქ დეცკოცნეს შვილნივ; 10 ძროხა უკვენ აღარ გამრცხავ, იმ ძროხისადაც ცრცეავ თავ დეცნებ. იმათ ეფიქტ რო ეს დიდოები წავლენა-დ' ეს ციხეებ რო ავაგე-ბიეთ ჩვენ ამათ, ცეცხენ დიდოებს ეტყვანა, ასთაც ციხეებ ავაგეთავ, ჩვენ საიდუმლოს გრძებიერენავ. ამ მიზეზით დეცკოც ის დიდოები.

მოსრულიყვნეს დიდოების შეპატრონებია-დ' ის ძროხა წეცს.

15 წამოსრულიყრ დიდოების მეცნაპარი, მოსრულიყვნეს წონებას, ხუთ კაცი-დ' სამ დიაცც მეცნლ. ხუთისადავ მარჯვენებ დეცკორა-დ' უკვენავ წასრულიყვნეს. ცრცმ კაც-დიაცცთაც ყანაში მეცტანა-დ' იქ დეცკოც-ნეს, ცხვათ ვერც გრძევ. ის ალაგ ერთ წეობაში მოფარებულ ალაგს ყოფილიყრ. დაზღვენებიყვნეს წონები, მაგრამ ჩაღმებ შერიგე-20 ბულებ ყოფილიყვნეს დიდოებთანა-დ' ის წელად თურ აღარ ერჩო-დეს ერთმანეთს. იმ წონებისად კი ეთქვა: — აქის გამრცარესავ. მარჯვენებიც წააქონდავ, ყიმათ დაკოცესავ თქვენ ხალხივ. რაცსალ იზამდეს წონები? დაბრუნებულიყვნეს უკვენ.

## 11. კუსურულის ამბავი

დიკლოს ერთ კაც ყოფილიყო კუსურელ მქვიანი. წასრული-  
ყო-დ' დაღისტანს შეერთებიყო, ცოქითა მოდიოდ, თავის ჯჯულის  
ხალხს ეცემოდა-დ' აქდენდ, წუჭლიოდ ტყვები, ცხვარ-ძროხანი,  
საქონი. ერთ დროს ათნიგენებში შინ მოსრულ, დიკლოს. ხალხმ  
მიცუში დღეობაში, ის კიდე სირცხვილისგნივ არ გამოდენილიყო. 5  
სამ-ოთხ კაც წუჭლალესა-დ' მემრე მოსრულიყო დღეობას.

— კუსურელო, კაცო, რად გვერიდები, ჩვენაშ შენ ძმებ ვართ,  
რად ამ გამოხდინარ ხალხში?

1 ხალხს კი უდიშალიც საუბარ ხეონიყო, კუსურელ მოვკლათავ. კუსურელ დასვეს ხალხში, უფროსებსონ, მემრ ხალხშ შაბაშ წუჭლო. 10 კუსურელ მიცუვანესა-დ' საწდის კარზე დახყუდეს, შაბაშ უნდ დაც-  
ლევიონ. თასებ კელში მიაწვადეს კუსურელს, უკვენითა კიდევ ორ  
კაცმ უდმალიც მობარვით კელებ დუშკირა-დ' საბლით შუცერ. ღამ  
ჯარშიითივ გაყვანილი თოფის სალიშნაცდ ჩეცდგ. ბევრთ ესრია-დ'  
ვერ დეცკრ, მემრ კუსურელს ეძა:

— ჩემ თოფ გამიცლეთა-დ' ჟის მასრიეთავ! იმის თოფით ეს-  
რია-დ' მეცკლ. ყველაცს თითო ესრი, ვისაც კი თოფის ალების წნო  
ხეონიყო.

კუსურელ შოკლესა-დ' იმის წამლებ არავინ არ იყო, არავის  
არ ეგლო ყური: ცოლმა-დ' დედამ ამიცლეს საფლავი-დ' თავად 20  
იმათ დამარხეს. დას ეტირ, თმარს: — კუსურელო, მზეს დავითი-  
ცევდ ხადილმუხამასას, თუ დამატანდ დიკლოელთ დალევას!

თუშებთ ცაგრ უქნეს თავის მოლალატეს.

## 12. სამ ძმისი-დ' ერთ დის ზღაპარი

სამ ძმან ყოფილან, ღარიბ დედ-მამა ხყვანი, მემრეც ცაც  
ძმებს უთქვამავ: — დედ-მამათ დაგვზარღნეს, ცეცხლ წავიღნეთ, რამე  
მოვიქონით, დავმშეცემსდნეთ.

გრძარ რამდენილაც წელმ, არცსენ მწყემსად არიან. სამთავ ძმათ  
ცხვრებ მორეკეს, ოთხას-ხუთასამდე შეხყარეს, მიცლაპარაკეს: 5

— კაცო, ჩვენ სამ ძმან ვართავ, ნეტა ერთ და გნევანდესავ!  
მართლეც, დედას და გრძენავ.

თურმე ღამ-ღამ იმები ჯერ-ჯერით ხყარაულობენ ცხვარს, ჯერ  
უფროსი, მემრ საშუალოი-დ' მემრ ცუტუნაცი.

ერთ ღამეს ჯერ უფროსმ იყარაულ, მემრ საშუალომ, ბოლოს  
ცუტუნაც ძმის ჯერ დადგ. როცა ცაც გავიდ საყარაულოდ, ადგ  
აკავანშიგითა ცაც დაი-დ' ერთ ბატკნიან ცხვარ შუცჭამ. ადგა-დ'

იმებს უაშბლ: — ჩვენ ეს და ფარსაკ არ გვყაფავ, ჩემ ყარაულობასავ ბატკიან ცხვარ შეჭამავ.

15 რაღა შენ ყარაულობას შეჭამა-დ' ჩვენობას — არავ, დუშტიეს ძმებთ.

მეორე ლამეს, გარევ ცუტუნაცის ყარაულობას, ამდგარ დაი-დ' ორ ბატკიან ცხვარ შეუჭამავ.

დილაციას გარევ უთხრ ცუტუნამ: — ძმებო, ჩვენ ცეცს კილს არ მოგვცემს, თუ მაგამ ცაცვრ ჭამ ცეცს ცხვრები, მალ ილარ გვექ-ნებავ.

უფროსებთ დუშტიეს: — რაცს ტყუიხარივ, შენ ცეცგ და გძულ-საო-დ' მით იგონებავ, რადარ ჩვენ ყარაულობას შჭამსავ.

მესამე ლამესაც ციცვრევ გარევ შეუცჭამ სამ ბატკიან ცხვარი. 25 დილაციაბას ძმებს გარევ უთხრ: ასრ-ასრევ.

ძმებთ გარევ დუშტიეს. მემრ ცუტუნაც ძმამ უთხრ, ჩემ წილი-ცავ თქვენდ გამიწირავავ, მე უნდ წავილევ, ადგა-დ' გადიცყარვ.

წასრულ ცეცს ბატარა ძმაი-დ' ერთ ორივ თვალით ბრუციან დევთან მოჯამაგირედ დამდგარ. დევს ეთქვ: — მავან მთას იქით 30 წითელ ხალხი-დ' წითელ ცხვრები, ციცქას არ გადუცშვ, თორემ შენაც დიცლუცები-დ' ცხვრებიცავ. ციცმამ მაგრამ ცხვარ გადაცყო-ლა-დ' გადუცშვ მთის იქის.

შემშებვივნეს წითელ ხალხი; გრძმართ ბრძოლად; ბიჭმ დაწოცნ ციცენი-დ' ცხვარ ცხვარს შეყრილი, თვის ძალლებიანად, დევს 35 მუშაეც.

დევმ უთხრ თურ: — ციცმას გადამრჩალხარი-დ' ციცხლ მავან ალა-გას ალარ გადარეკოვ ცხვარივ, თვარამევ ციცქავ შავ ხალხიავ, შავ ცხვარ იყავავ, შავ ძალლებიო-დ' გელარ გადარჩებივ.

გარევ ბიჭმ ცხვრები, გადავიდ შავ ხალხის ალაგეცში, დეჭრია-დ' 40 სუ დაწოცნ, შელრი ცხვრებ ცხვრებშია-დ' ძალლებ ჯაჭვებით გა-დაცბა დ' მუშრევ დევს.

გახარებული დევი-დ' ლოცულობს, რა კაი მწყემს შემზღავ, რამდენ ცხვარ მომირეკავ, თან უთხრ: — აი მავან-მავან ალაგას არ გადახვიდ, თვარამ ციცქ დევებ არიან; ერთ ცხრათავიანი, თვალე-45 ბიც ციცმამ გამომთხარავ.

ბიჭმ არ დოცჯერ, გარევ ცხვარი-დ' გადუცშვ, თვად დეჭრი დე-ვებსა-დ' სუ დაწოც, ბოლოს ცხრათავიანსაც შეუცარ, რვა თავ გზუცდები; ცეცხრე თავ შეუცველ: — მე ნუ მომკლავა-დ' შენ ხაზეინ დევის თვალებს მოგცემავ!

ბიჭმ თვალებ გამშრთვ, ასწავლები რაცვერ უნდ ეწამლა-დ' 50  
ციცსიც მოკლა-დ' თან წამსცლო თვალები, უწამლ დევსა-დ' ციცს  
თვალებ თვალებად ექნ. გახარებული დევი.

ერთხენ ციცმ ბიჭმ დევს უთხრ: — მოდივ. ძეავ წავალივ შინავ,  
დედ-მამა მყვანდავ, ძმებიო-დ' დაივ, ციცმათ ვნახავაო-დ' გარევ უკვენ  
მოალივ. 55

დალონდ დევი, იქნებ ალარ მოხვილევ, მაგრამ ბიჭმ შეხფიც,  
რომევ გინდარ მოალივ, თან უთხოავ: — ციცმ ჯამში რომ ზეი, ციცქ  
ჩახელიდივ ხანდხანავ, თუ გაწითლდავ, ციცს ძალლებ ცუცშვიდი-დ'  
ცესგენ მომეშველებიანავ; თავად კიდენ გადამჯდარ რაშხეა-დ' წას-  
რულ. მისრულ შინა-დ' რაცს ხედავს! ციცმ დას სუ დუცჭამავ 60  
ცხვარნძ, ცხენნძ, დელ-მამანძ, ძმანძ — სუყველაუნძ; ერთ თავად  
ყოფილ ციცს და შინა-დ' ერთ ღორ ხყვანი.

გახარები, ვითომდ, ძმის მოსვლად; რაშ გარეთ დუცბამავისა-დ'  
თავად შინ შესრულან.

დაშინები ციცმ ძმას, მაგრამ თურ ველარას შჩადის.

გამოვარდნილ და გარეთა-დ' ცხენისად ერთ ბარკალ შეცჭამ,  
შესრულა-დ' ძმას თურ ეკითხებ, ცხენივ სამფექაც გყვანდნა?

ჰოთურევ, ძმას ეთქვ დაშინებულს.

მემრ მეორედ გამოვარდნილიყო, მეორე ბარკალ მეცჭამ რაშისად;  
გარევ ციცგრევ ეკითხ: — რაშივ სამოქენაც გყვანდნავ, თუ ორფექაცივ? 70

ჰოთურ, დაო, ციცმას ეთქვ. ციცგრ ციცს ცხენ სვიოდ გეცთავა-დ'  
ბოლოს ეკითხ: — ძმაო, დექით მოხველიაო, თუ რაშითავ?

ჰოთურევ, გარევ ძმას ეთქვ.

და გარეთის გასულა-დ' ციცმ დროს ყორეშიითა ერთ თაგვ  
გამომძვრალა-დ' ციცმ ძმისად ეთქვ: — ჩქარად ციცგ წყალ დალგა- 75  
რევ, თუნგურაცში როეგავ. მემრევ დას უთხარივ: — წელილავ, დაო,  
წყალ მომიტანევ. წყალ მეტაც შორს აქვისა-დ' სანამ ციცგ მოვ,  
შენ ციცლ ციცს სალესი-დ' სავარცხელი-დ' წედრ, ჩქარა იარ. შენ  
და როცა მოვ ზინ, ციცმ ღორზე შეჯდება-დ' გამოგიდგებ, თან  
დაგიწყებს ყვირილს: — ძმაოვ, დაიცალავ! შენ არამცე-დ' არამც 80  
უკენ არ მიწერდო; როცა მოგეჩენოს ახლოსაავ, გადაცგდიდ სა-  
ვარცხელი-დ' ტევ გაჩინდებ შენ უკვენ; მეტრ, თუ გარევ დაგეწი,  
სალეს გადაცგდილი; ბოლოს დროს ერთ ხეს მიატანა-დ' ციცმ ხეზე  
ახვიდრ, თუ გადარშები, ციცქ გადარშებივ.

ციცმ ბიჭმაც აგრ ქნა: და წყალზე წალლალა-დ' თავად ციცლო 85  
სალესი-დ' სავარცხელი-დ' გეცფარ დევისაკ აჩქარებული.

პატა ხანა გავიდა-დ' მეცდინ დის ძახილი: —ძმაო, დაიცალავ?  
 ბიჭმ მიცხედ უკენა-დ', ოოცა იფიქრ ახლოსაავ, გადაცგლ სალე-  
 სი-დ' დაძრაა: —ციცსთაციმ ქარაპი-დ' ლიპაც კდე გაჩინდესავ, ოო-  
 90 მევ ჩიტნიო-დ' ფრინველნივ ზედ ვერ სხდებოდესავ! მართლეც,  
 გაჩინდ, რაცგვერც ციცმამ თქვა.

მიღის ცეცს ბიჭი; ცეცს და კიდევ თავის ღორს დაშეყივის:  
 — აბა, ჩემო ღოჭიყაცო, კაჭეო და კაჭევ!

95 მიღის ბიჭი-დ' გარევ მეცდინ ძახილი: — დაიცალ, ძმაო!  
 ბიჭმ მემრ სავარცხელი გადაცგლო-დ' დაძრაა: — ციცსთაციმ ტყე-  
 ივ, ციცსთაციმ ღიჭიანიო-დ' გუცვალაც ბარდებ გაჩინდესავ, ოო-  
 მევ შიტყორმავ კუდიც ვერ მიცენიოსავ! მართლეც, გაჩინი-  
 ლიყო.

100 მიღის, მიღის თურ ცეცს ბიჭი; გარევ გეცგონ დაულაცის ძახილი.  
 ცეცქ ერთ ხე მდგარიყო, ასულ ზედ ცეცს ბიჭი-დ' თურ ხედავს,  
 ციცმის და ბუჭხავით ჩინდ; ღორზე გადამჯდარი უკვენ მოზღევდ.  
 ამცყლო ცაცმ ბიჭმ სალამური-დ' დუცკრ.

105 სალაძურის ჭამზე დევის ჭარ დამბულ ძალლებ სუ აჩონჩქოლდეს;  
 დევსაც მაცგონდ ბიჭის ნათქვამჩ, გაქუნდ, ჩახედ ჯამშია-დ', რაყი,  
 გაწითლებულიყო; ციცმაშინასევ ცუცშვ ძალლები-დ' აბაპა, ღრცე-  
 ნესაც.

— ბიჭმ კიდევ უკრის სალამური-დ' ძალლებთ ციცმ ჭამზე მოკელეს  
 თავის პატრონი. მოვიდნეს ძალლები-დ' მოვიდაც და თავის ღორზე  
 გადამჯდარი.

110 დუცსისიაც ცაცმ ბიჭმა-დ' ძალლებთ ცეცს ქალ თავის ღორიანად  
 შექამეს.

ჩამოქდ ცეცს ბიჭ ხეზეითი-დ' ხედავს, რომ ერთ სისხლის წვეთ  
 ფრინავს მაღლა-მაღლა-დ' იძახის: — ძმაო, შემინახეო-დ' ბედს გწე-  
 ვავ! ცაცმ ბიჭმ ცეცს წვეთ ქალბანში ჩიცდლ. გავიდ ცოტა ხანი-დ'  
 115 ცაცმ წვეთს ქალბან გეჩკრიტა-დ' გარევ ფარტკალაცობა დეტწყო,  
 თან თუ ეუბნებ: — ძმაო, ჯიბეში ჩამიდევივ. ციცმას კიდევ ძალლე-  
 ბისად ჩეცყლაპვია-დ' ძლივაც დეცშორ თავითაც; ამდგარიყო-დ' წა-  
 სულიყო თავის ხაზეინთან.

### 13. გულუხაცის ამბავი

გულუხაცის შვილ კაც შეცკრიფა-დ' დაღისტან სამეცნიეროდ გა-  
 დასრულიყონეს.

ერთ სოფლის მარჯვიშდ ტყეში დამალულიყვნეს, ციცქითა ეხედ, სიისაკითა დაგვეცნეთავ ლეკებსავ. უნახვ, რო ოთხ კაც მო-  
დენილიყო ტყისაკ.

გულუხაცს თავის ხალხ ციცქავ დეტალა-დ' თავად კიდევ გაქცე-  
ული ერთ ცერში დამალულ.

როცა დაცემისად კარგ მოვიღნეს ლექნი, გულუხაცს დეჭძახ:—  
— თუშნო, ღმერთმ ჯვარ დაგწეროსთავ! გადმოშლილიყვნეს თუშნი,  
ოთხთაღავ თავებ დეჭჭრ. მეძროხებს უნახვ, რო ციცქ ომ იყო-დ'  
კვია გეცტეხ, თუშნ დაგვეცნესავ.

სოფელში ჯარის ნაწილ ყოფილა-დ' მთელ ერთბაშად წამოსრულ.

გულუხაცს თავის ბიჭები ერთ ტყიან, დეკიან ალაგას შეცრეკა-დ'  
ორად გეცყარა-დ' აქა-იქ ჩეცსაფრ. მთელ ჯარის ნაწილშ მირ-  
გვლიაც შემორტყმიყო, ტყვიას თურ ასრევენა-დ' ვერ კი ხედვენ, 15  
სიდ არიან თუშნ ჩასაფრებულები.

გულუხაცს ეთქვა:— ბიჭებო, თევენ ნუ ასრევო, ჯერ ახლოს მო-  
დენავ.

ერთ ლეკ თურ ყვირის ქართულად, მეკოპარ ვისიავ. გულუხაცს  
ეძახ:— გულუხაცისიავ.

ციცმ ლეკს გულუხაცისად ცოლებ შეცგინა-დ' თან თურ უძაბის:—  
— მენ თაეს მოგჭრიო-დ' შენ დიაცცებ მე დამრჩებავ!

გულუხაცს ეძახ:— მოდივ, მოდივ, ნუ გეშინისიავ!

გულუხაცისად ერთ ბიჭ დეჭჭრ. რო დალამებულ, გულუხაცს დეჭ-  
ძახ ციცმ ბიჭისად: — მოდივ, ჩემამდ მოდივ!

ციცს ბიჭი ახში მოსრულიყო-დ' გულუხაცს ფერ წეცხვი, თან  
ეთქვა: — აბა, ბიჭებო, არ დოჭმინოთ, შუალამისად მე თავად გაგი-  
ძლვებითავ წინავ; ლეკებს ციცმ დროისადავ მარტო ყარაულ ექნე-  
ბაო-დ' ციცს ვერას დაგვაკლებსავ.

ერთ მწარეს კევიან ნაფხვერ ყოფილ უკდოაცი. გულუხაც წინ 30  
გაზღლოლია-დ' ნაპირში რო მისრულან, უნაბავ, რო ერთ ყარაულს  
ზინავა-დ' მეორე ფერზეავ ხყუდავ.

გულუხაც თურ ათ ნაბიჯით წინ იარებ თავის ბიჭებზე.

გულუხაც სტაკები ციცმ მყუდარ ლეკსა-დ' თან დუჭაბებავ:  
— აბა, თუშნო, დახკართავ!

ლეკებ დახვეწილიყვნესა-დ' თუშებ კიდევ თავის გზას გაზდგო-  
მიყვნეს.

კევში რო ჩასრულან, გულუხაცს ბიჭებ მეცქითხა-დ' ყველაცნ  
ციცქ ყოფილიყვნეს. წამოსრულიყვნესა-დ' ოთხ კაცის მარჯვენაიც  
მეცლა. შინ.

### 14. თორლგაცის ამბავი

ხახაბოს ყოფილ თორლგაზ ფრანგიშვილი, ძალიან შეძლებული-დ' გულად ყოფილ, ვერც შტროლთითა ჯაგოდანს უძალავა-დ' ვერც ცელურთითა ლაბაბიანს. ციცსენი კულინელ მიცემულ ყოფილანა-დ' ციცს თორლგაცი განმარტოებულ ხყვანიყო; ციცმათ მუცლაბარაკებავ, რომ თორლგაცისად ხახაბუ უნდ ჩაიგრაშ ვერ გეცბედ.

ბოჭორმას ყოფილ ერთ მძლავრ კაც კიდენ. ჯაგოდანს ღაბა-ბიან გეცგზავნ ბოჭორმას კეტაცისად, რომევ მაგასავ ცეც ხახაბუ ჩამოვართვათავ.

10 ციცმ დროს ერთ ლეკ ყოფილ თუშეთში გადმოსული. თავის ბი-ძაშვილ მეცკლა-დ' ციცქითა გადმიცესხლ თუშეთ.

თორლგაცის რო გეცგზ ციცს ამბავი, ციცს ლეკ ძმად მეცვან. ციცს ლეკიც ძალიან მძლავრ კაც ყოფილიყო. ეს ამბავ რო გეცგზ ჯა-გოდანსა-დ' ღაბაბიანს, ველარ გეცბედ ხახაბუ შესკლაი-დ' თორლ-ვაცსთან ბრძოლა.

ჯაგოდანს ბოლოს ხან დეცპატიუ შინ თორლგაცი-დ' დიაცცისად გორდილაც მეცხარშვი. დიაცცის სუფრა მეცლო-დ' გეცშალა-დ' თან ღალატ ზდობნიყო. ერთად დამსიდარიყნეს მეცხედა-დ' ჯაგოდანს ამეცლო ხანჯარი-დ' თორლგაცის მოკვლა ზდობნიყო; თორლგაცის 20 კიდენ ჭამიან დმოშტისად კელ მეცვლო-დ' წინ ცეცფარ. ჯაგო-დანს გაქანებულ ხანჯარის დძმშტისად წეცკრა-დ' წვერ მეორე მჯარეს გეცხინ, დიაცცის კიდენ მეცვად მანდილი-დ' კუჭურაცი-დ' გადაცედო შუაზედ.

თორლგაცის ეთქვ, რომევ ხათრივ შენ დიაცცისიო-დ' მანდილი-25 სივ, თვრამევ ცაცქავ აგკუწავლივ.

### 15. ხახაბოელთ ამბავი

თურმე შექუჩდეს ოთხ-ხუთ ჯეილები, მონადირეები. შემოდგომა ყოფილიყო, ესე რო გიორგობის თვევ; წამოსრულიყვნესა-დ' ხი-სკოთებ გეცრეკნეს ოო კაცი. ერთ ფსიტიანთა ყოფილიყო, ფსიტი ხევინებიყო, კაი მონადირე ყოფილიყო ციცს ძაან, ციცს გეცყოლ. 5 იმას ეთქვ, რო ციცხლავ ჩვენავ ფიცრიჭალაც უნდ წავინეთავ, შუა-ლამეს ციცქ უნდ მივინეთავ, კველამავ თითო ბუკვნის ქოჯო უნდ დავიჭიროთაო-დ' იმით უნ ი წავიდეთავ, რო ღამ უჩინარში ვერ ვივლითავ, ბუკვნის სინათეზე უნდ წავინეთავ. ღამევ სათავეებ შუც-კრათავ. დაკარგეს ოჭიან ბუკვნები. კველამ თითო ქოჯო ციცილ, 10 თან კიდენა-დ' ანთებულებ უჭერავ კელში. ციცკიდეს ზურგზეა-დ'

წაის-წაის სწვენ ციცმ ბუკვნებს. ფუცრიჭალაც რომ ავიღნეს, ზოგ  
 გაღვიძებნ, რო თქვენავ ციცქ დუშსაფრდითავ, აქითა რო დილა  
 სიმაგრეებისავ წამოავ ნადირივ, თქვენავ კიდენაო-დ' დასთოფავ-  
 თავ. დანარჩენებ კიდენ უკვენ გახყვნეს. ერთ ორ კაც კიდენ უკვენ  
 გაწირ, თქვენავ შემოხყვებითაო-დ' ნადირს შემოტრევავთავ, დაც-  
 მთხვენთავ ნადირსაო-დ' დამთხოლილებივ კიდენ მოგვადებია-  
 ნაო-დ' დავსთოფავთავ. ცეცხლ კელ მოგიმართოსთავ! — უთხრა-დ'  
 წავიდნეს თავისთვის. თავად კიდენ გვერდზე წავიდ ციცმ დროს  
 ამოთენდაც დაც ჩახედა-დ' წითლად ჯირვებ ამოდიან. თავად ასრი  
 იმამ, ფსიტიმ, დაც ჯირვ დაგორდ. დანარჩენებს კიდენ ამხანაგებ  
 ასრევენ, ერთ-ორ ციცმით მოკლეს. ცეცხლა, კარგადაც რო გათენდ,  
 გადას-გადმოზძახეს ერთკვეადს, 'შენავ რამთენ მოხვალივ, შენავ —  
 რამთენივ. ფსიტიმ უთხრ, რო მეავ ორ ჯირვ დავაგორევ დაც-  
 ერთივ კდებზე დაციდავ რქითაო-დ' ერთივ დაბალ კევში ჩაგორ-  
 დავ. ორივ ჩევნ მოგვალთავ — კიდენ ციცმათ ჩახოზძახეს, ამხანა-  
 გებთ, ცეცხლავ დავატყუავებთაო-დ' ჩამოალთავ მაშივ მეავ ცეცქ ჩა-  
 ვალივ, ციცმას დავაგორებაო-დ' თქვენაც ჩამოხეთავ. იმ ლააარაჟში  
 არიანა-დ' ერთიანად ამხანაგმ ათხანაგს უთხრ, რომევ: — კაცოვ,  
 მეავ რალაცა ფშვინდის ყეფა გამეგონავ, ჰაბა, ყურილ დუშგდო-  
 თავ! დუშგდეს ყური-დაც ამ სოფლებითა ფშვინდის ყეფა მოდის 30  
 მართლ დაც თანაც კიდენ ბოლ შემომღვარ ჭალაცხე: ფშვინდ-  
 ისრითა-დ' ტალიან თოფებით ეომ.

— ამაცების დატყავებისაინვ, ციცმათ დარდ ვისალ აქვავ? კაცო,  
 თავ დავანებოთავ!

ფსიტიმაც უთხრ: — აბა, თავ დაცნებეთაო-დ' წავინეთავ, ერთ-  
 ორიღ გავიყოლოთავ!

დაცნებებს თავ ციცმ ნადირებს, ციცქ გაწირესა-დ' წამოიღნეს  
 შინისაკ მოშველებად. ფსიტ კიდენ ჩასრულიყო-დ' თურმე კდეზე  
 დაკიდებულ ნადირს უშვებს, კდეზე ფექ დასხტომიყო-დ' მრ ნადი-  
 რეიცა-დ' ჯირვიც წავინეს ფახუიით ჭალაცმიგ. ციცმის ამიანა-  
 გებთ კიდე თქვეს: — ცეცხლავ ბაგისად ვისალ სცალსავ, სოფლებს  
 მივეშველნეთავ, ეგ მაინც მოკვდაო-დ' მაინცევ. მემრ მოსრული-  
 ყვნეს სოფელ. მტერ გაბრუნებულიყო დაც ნაპირისცერ ერთ ველში  
 დამსხდარიყვნეს ათ-ხუთმეტამდინას დიდოებს, ფიჭვის იირში. ციცმ  
 ერთს ეთქვ: — აბა, ერთსალ ვასრევავ! ზოგს კიდენ ეთქვ: — ნულარ 45  
 ასრევავ, ტყვია-წამილიწ ალარ გვაქვავ. მართლეც, ალარ ხეონიყო.  
 იმას მაინც თავისა არ დაცმალა-დ' ესრი.

15

20

25

30

40

45

ცეცხლაღ თვალ დიჭირეთავ,— ეთქვ,— აი ყალიონს რო სწევსავ! ერთის შეტ პატრონაც არც ხქონიყ. შიგ ყალიონში დეცკრ, შეცკლ. დაქცეულიყვნეს ზოგნი. დაქცეულებისად ესრია-დ' რქის ლილ ყოფილიყ ჩადებული, მირგველაც რქის ლილ ტყვიის მაგივრად დაც წუნჩიაცში დეცკრ, ფერში, ცოტაცად გმირებისტაო-დ' რადამ ცოტაცდაც მეტკივნებიყ. მემრ ენახვ: მოძხვდაწაო-დ' რადამ ცოტაცდაც კი სტკივნებიყ. დამჯდარიყონა-დ' წუნჩიაც გმირები. ენაბვა-დ' მირგველაც პეპელ ყოფილიყ. დეცკძახ ახანაგებისად: — ბიჭებო, დაბრუნდითავ! მაგათავ ტყვია-წამალიც გუცთავდავ, ტყვიის მაგივრადავ პეპელ ხქონიავ. დაბრუნდნეს ციცძის ახანაგები-დ', მართლ, ნახესა-დ' პეპელრ. ციცმათ კიდენ უდერაც წამალ ცქონიყ, ტყვიაიცა-დაც დაშვებულიყვნესა-დ' ჩამოყრილიყვნეს ხახაბოს ძირ, ხახაბოს ციხისაკ გაქცეულიყვნესა-დ' ნაფხვერებში გასრულიყვნეს ციხის იქისაკ დაც ციცჭითა საგორავ ციცტევა დ' იმითაც ველაზ დეცბრუნნეს; ამომძერალიყვნეს, აშობარულიცვნეს ლილობდ. ამოსრულიყვნეს სოფელშია-დ' სუ გმირა გუც დიიცც-ყმაშვალნ, კაცებიც ეროც. უბან გამეცლი ერთოან დურკები-დ' თურმე ტროშტებში ეობოანყვაცს ზელენ. დამძლარიყვნესა-დ' ტყვებიც გმირებ. ერთხენ ნეტ არც წუცელენავ ხახაბო. ხახაბო მაგარ ადგილ ყოფილიყ.

### 16. ლუცოხ

ერთ ხახაბულ ყოფილიყ, ძან მეჩაუბარაც კაცი, სახელ ანაცმ ლუცო ხევინებიყ. კახეთისაკ მიდენილიყ ლუცოხ. ლალაცის გორ რო გადმოჩენილიყ, შტროლთითა მგელოს დეცნახვ, რო ბარშიავ ერთ კაც წავალისავ, დუცძახ:

- 5 — ბიჭოო, რომელ ხარივ, მელოდელავ! იმას კიდენ დეცძახ:
  - წადი, ჟენი დელაიცავ! შენდ არ მცალსავ.
  - არ გცალსაო-დ' ჯახნაშისაკ იარევ!..
- ციცმას კიდენ გულ მცკიდა-დ' დუცძახ: — თუ კაც ხარივ, გამოდიო-დ' ვიძუშტარულთავ! გუდა-ნაბად მიცკადა-დ' ციცქ დაყარა-დ' უძაბის: — ჩქარა მოდივ! მგელოს კიდენ ერთ დიდ ტყავ-კაბა ეცვ, გმირადა-დ' გადაცგდო დაც გაჭენდა-დ' გავიდ იძასთან დაც დაც გმირებს ჩხუბნ. ერთკვალს მუშტებს სცემენ თავ-ყურში. უდერაც ხან იჩხუბეს, ერთ საათამდინას. სოფლებითა ხედვენა-დ' არავინ არ მიდის მიშველებად. მემრ ხან ერთ იყო ქვეშა-დ' ხან — მეორეა, ხან ერთი-დ' ხან მეორეა. მემრ თქვეს: — ბოლივ, ცაცალავ ნულარ ვიჩუბებთავ, დავსხდნეთაო-დ' ვერცხლ ვჭამოთავ, რო ერთმანეთ ვერ დავაშინეთავ.

ფიც-ვერცხლ ჭამესა-დ' დაბრუნდნესა-დ' უნდ იქეიფონ. დამს-  
დარიყვნესა-დ' სამ დღე შეტროლთას ექეიფ, მეტრ ხახაბოს წას-  
რულიყვნესა-დ' ერთ ოთხ დღეს ცხაქ ექეიფ.

20

ჭირ წავიდა-დ' ლხინ მოიდ.

### 17. წუდაჭაციძე იჩოს აშბავი

წუდაჭაციძე ყოფილიყპ იჩოდ, ილიცურთითად, თორმეტის წლის  
ბალლ. ცხამ კელად ლეკის ჯარს ილიცურთაზე დაცემა ეპირ.  
მთელ გომეწარს მოკრეფით მოსრულიყვნესა-დ' უნდ შეომებიყვნეს  
ლეკებსა-დ' ცხას ბალლიც ალელებულიყპ, რომევ მეაც უნდ წავი-  
დევ საომრადავ, მაგრამ დედას არ გხეშვ, შენავ პატარა ხარიო-დ'  
მოგვლავენავ, თან ფეხსამოს წერყარ, რომევ ვეღარ წავიდესავ;  
ბალლს კიდენ თავის დედისად სადიაცურ ფეხებ დეცპარა-დ' ცხაჭავ  
თავის მამის შუბ ყუთებულიყპ შინ, სახლის გუნჭულში, ცრსიც  
მეცპარა-დ' წასრულიყპ, ბუხურთის წინათ ტყეზე ასრულიყპ,  
ჯარს დასცილებიყო-დ' პირდაპირ ლეკებსთან შეჩენილიყპ. გაჭე-  
ნებულიყპ ცხას ბალლი-დ' მებარისახისად შუბ დეკვ გულში, გამეცწ-  
ვად შუბი-დ' უკვენავ გამოქცეულიყპ თავის ჯარში.

5

რო გაზრდილიყპ, დადენილიყპ თავადაც იჩოი-დ' სრულ ლე-  
კებ ეკოც.

10

ერთ დროს ორწყალ ლეკის ჯარ ჩამოსრულიყპ სოფლების და-  
სარბევად. ცხამ კელად იჩოდ თავადაც ცხაქ ჩაჩნილიყპ; ლეკის  
ჯარმ ტანისამოს თურ გრძევადესა-დ' თოფებიც ქანჩახშე მიყეუდა-დ'  
ლოცაცობა დეცწებ. ჯერ თოთ მიეკალ, მეტრ დამბაჩაი-დ' თან  
დეცპახ:— ჰარიქათ, თუშნო, ქმლითავ!

15

ლეკის მეკოპარ სუ გახვეწილიყპ, თოფებიც, ცხამათ ტყვიებიც  
იჩოს დარშჩომიყპ. მეცპარ უკვენ ამ ლეკებისადა-დ' სუკველაცნ  
ილიცურთას მეცრევა-დ' ერთ კაც ჯორით გეცგზან თოფების მო-  
სალებად.

20

ერთხენაც გარევ შეყრილიყვნეს დიდონი-დ' იჩოდ ლაცას დაც  
იჩო ტყვედ წეცყვან. დალამებიყპ მშრალ გორშია-დ' ცხას იჩო  
გამოხვეწილიყპ, თავის თოფიც გაძებტაც, ლეკის ბელადის თო-  
ფიც გამეცყოლ; ორ თუშის მარჯვენა ცხამ ლეკის ბელადს ყა-  
ბალახში ხქონიყპ დაც ცხასიც გაძებტაც. გამოზდგომიყვნეს ლეკებ  
უკვენ, მაგრამ იჩოს რაც დეცწეოდეს! ერთ ლეკ ძალიან ახლოს  
მოხყოლიყპ, მაგრამ ვერც ცხას დასწევიყპ, ძან დამშვრალიყპ დ'  
დამჯდარიყპ.

30

იჩიოც ასულა-დ' ჰეზერაცს წყაროზე დამჯდარიყო, თან დალევა ზღობნიყო, ციცმი ლექს ეძაბ ზეზერაცის იჩისად: — შე მამაძალლო იჩოვ, მიწა ხაყარევ წყალშიაო-დ' მეტრ დალიევ!

35 გასრულ გარევ ხანი-დ' თუშის მეკოპარი-დ' დიდოს მეკოპარი გარევ შეურილან საომრად ქვამოვლებულში.

იჩიო-დ' ერთ ლექ ცემულან ერთმანეთისად, ქვეშ ჩეცდვ იჩის ლექი. ლექს ეთქვ: იჩი, ნუ მომკლავავ, რაცგვერც მე დაგიჭირე-დ' ტყვედ წაგივანევ, შენაც ციცგრ წამიყვანევ ტყველავ!

40 შენ ხარისვ, შე რჯულმალლოვ, ტყვედ რო წამიყვანევ? — ეთქვ იჩის.

— მე ვარივ, — ლექს ეთქვ.

იჩის ჯერ თვალებ გამწერთხარ ციცმი ლექისადა-დ' მემრ ყელ გა-მეცჭრ ცეცარსავით.

### 18. ლეკის გაცინების ამბავი

ლეკნ მეკოპარს თურ აპირებენ თუშეთს დასაცემად.

ერთ დედისერთაც ბიჭ ატეხილიყო, მიაც უნდ წავიღევ. მამას ეთქვ: — ნუ წახვალ, თვარამ შენავ ჯერავ გულბეწვიან თუშებ არ გინავანავ.

5 ციცმას მაინც არ დეჭმალა დ' წამოსრულიყო.

ოაში ერთ თუში-დ' ციცს ლექ სვედრილიყვნეს ერთმანეთისად. თუშს ქვეშ ჩეცდვ ციცს ლეკი-დ' მოკვლას თურ უპირებსა-დ' ციცმ დროს ციცმ ლეკს თურ გეცცინ. ციცმ თუშს ეთქვ: — რაც გაცინებსავ, გკლავაწავ? დიდოს ეამბრ, აგრე-დ' აგრევ მამამ მითხრაო-დ' ხახლ 10 გულზე რო ბალან გინახევ, მით გამეცინავ.

ციცმ თუშს ყურ მეცჭრა-დ' ციცმისადავ მიეც, ცესევ მამაშენს წუზტანევ.

### 19. ჯარეგას თუშების კოცვის ამბავი

შეგვარნეს თუშინი ოთხმოზდარვა კაცი, გაგვრეცს ჯარაგას ქის-ტებისად თუშეთით გარეკილ ცხვარ-ძროხის წასართმევად. ციცმათ ქურდობის ჯავრზედ. ოთხმოც კაც მთავრობის ხალხ გვეტან.

გადავეით ჯარაგას, დავატუსაღეთ ხალხიც, საქონელიც: ცხვა-5 რი, ცხენი-დ' ძროხანი დაც სოფელში დავაგროვეთ.

ჯარაგაში ყარაულად გაგვწირნეს ოზდაათ კაცი, დანარჩენებ თერეთეგოს ავიღნეს. ერთ ბიჭ გამცეცხავნ ჩევნთან რაზმის უფროსს. ჩვენ ზეისაკ, ჭალაცის თავში, ვიყვენთ ერთ ათ კაც

ჩისაფრებულის, ციცს კიდევ ჩვენ დაბლ, ქოქვეს, ჭალაზზე, მო-  
დიოდ.

გაღმ სოფლით სამ ქისტ წამოიდ, ერთ დაშლილ ციხეში შევი-  
დესა-დ' ციცქითა ასრიეს ციცმ მომავალაც ბიჭსა-დ' მოგვიყლეს.  
ყველის კვაფში მორტყმული უკენ საქამრესთან გასრულიყო. ტყიად.

10

ციცს მკვდარი ჯარაგას ამოვიტანეთ.

ციცმ ღამეს ციცს ზეის წასრულ რაზმი უფროსმ ღალატით უჩენ,  
ბარისაც, გამძუბარა-დ' ჩვენ, ოზღაათ თუში, თავადაც დაგრჩენთ  
ჯარაგას.

მეორე დღეს წევსურეთისაკ ჩვენაც, სამ კაცი, მკვდარ კაცით  
ვიარენთ. მკვდარ ალონში უნდ ჩამოგვეყვან.

15

ციცს ღანარჩენ ხალხ მოქუჩებულიყვნეს ჯარაგას.

რაზმის გაპარვად ვერც ჩვენა-დ' ვერც ციცმათ ვერ იცოდეს.

ციცმ ღამეს მირგველაც ექნ ქისტებსა-დ' ციცმ ღამეს თორმეტ  
კაც მუცკლ; ღანარჩენ ხალხ კიდევ დახვეწილიყვნეს.

## 20. ხულანტოთა ცხვრის გამორეკისი-დ'

ქისტების დაწიოკების ამბავი

ნაცვალაციძე იროდისა-დ' ხიცოანთ კობეს ცხვარ დასტაცეს  
ქისტებთ მოლიანად ერთ ბინისად, გარდა იმისა, ვაროვანიცა-დ'  
ცხვა ვარებიკ ბევრ გარეკეს.

ერთ ბებერ ქისტს ეთქვ, რომევ თავ დაწყნებეთავ, თორმეთავ მძიმე  
გუდა თუ მიცვადესავ თუშებთავ, მემრევ სუ დაგვლუბენავ; ერთ-  
ხენავ, ჩემ ჯეილობასავ, ჩვენაც ციცგრ ჩავიდინეთაო-დ' წამოგვია-  
რესაო-დ' ციცგრ გაგვიკადესავ საქმეივ. რომევ სუ ჯოხებით გვა-  
შეკვისავ ძნავ. ბელადს ეთქვ: — „გან წინანდულაც თუშებრ, ცეცხენ  
ქალები“.

5

ციცმ ღამეს, ჩვენ რო ვაპირებდეთ დაცემას, ციცმ ბებრ ქისტს  
ვარები-დ' ცხენ შინ გეცრევ; ჩვენ კიდევ ცხერის პატრონთ შეხვეწით  
შევიყარენთა-დ' გათენებისად დაცეცენთ, სუ მთელ ცხვარ-ცხენი-დ'  
ძროხა-ვაროვანის სუ ერთიანად კულმოსმით გამოვრეკენთ. ზოგთ  
საქონ მუცდიოდა-დ' ზოგთ ცერებ შეცყართ ქისტებსა-დ' ცხვაკის  
გასავალაც გზა აღარ ვაძლიიდით.

10

დიდძალ მდევარ დაგვედევნ უკვენ, ცველაცზე ძაან ბელადმ გვთო-  
ფის, მაგრამ ბოლოს ციცსიც დავსცით.

15

ცერები რო ამოვედით, ციცქითა კიდევ დავსცეთა-დ' მემრ კი  
დაბრუნდნეს უკვენ. თოთხმეტ მუცკალთა-დ' თოთხმეტამდ დუც-  
ჭერთაც; ერთ კაც ჩვენაც მოგვიყვდ.

20

ჩამოვრეკეთ ჩილოს წაცას ცხვარ-ძროხაი-დ' გავყავთ, ერთ ნა-  
ცოჩარ სავაუკაციიც მომცეს ზეღმეტის, რაცგვერც ჭაროვანთან წინ-  
წინაც მე მივარდი.

25 გავიდ ხანი-დ' ჩილოს გადმოსულიყან ციცს ქისტების ბელადი,  
დაკოჭლებულიყან ციცმაშ, ვერ მოგვევლ. ციცს რო ჩილოს მოიდ,  
ციცმელად მეაც ციცქ მოვეტან.

ციცმ ქისტებ თქვა: — ერთ კაც მასრევდავ ძალიან სწორაცევ, დევ  
ვერ ვიცივ, ვინ იყოვ, ერთ მასრიაო-დ' თმა გადამპარსავ ტკიამავ,  
მეორე მასრიაო-დ' ფექში დამკრავ, ციცქავ გადავარდიცავ.

30 ჯროჩე ვანოს ეოქვ: — „მე ვიყავ, ქისტო, მე“.

ციცს ქისტ შემასხარაცებიყან: — ეჰე, ჰე, რაცისად თვალში დამკ-  
რავდევ!

35 ჩევნაც ბევრ ვინანეთავ, მემრიაც მოგვაგონდავ ჩევნ ბებერ კა-  
ცის სიტყვაივ, — ეთქვ ქისტების ნაბელადარს, — ჩევნ წინანდულაც  
თუშებ აღარ გვეგონეთავ; დალ უფრ შეტებ ყოფილხართავ.

## 21. კოტრაჯოს წაკლენის ამბავი

5 კოტრაჯოელებს საქონ ერეკ თუშებისაა, ციცმ ერთ სოფელ-  
საიაც. შეყრილიყვნეს თუშნი ციცმათ წასაჯდენად, გადასრულიყვნეს  
ჭოტრაჯოს ტბაზედა-დ' დავით კვესიაციძეს ეთხოვ თავის ბელა-  
დისად გამიშვიო-დ' ქოქვერაც რო ცხენებიავ, ციცმათ ამოვლრეკა-  
ვავ. ბელადს არ გეცშვ. დავით გაბარვიყან, ჩასრულიყრ ცხე-  
ნებსთან; ერთ ლეკ ყოფილიყან მეჯოგედ. მეჯოგეს თოფიც კელში  
შეჭრიყან, მაგრამ დავით ვერ ენახვ, მანამდ აალოს არ წასვლიყრ.  
დავითო ახლოს რო მისრულიყან, გაქცეულიყო-დ' კმლით თავრელა  
გეცრეკები, მეცყარ ჯოვ წინა-დ' თავის սალაში მეცრეკე.

10 ციცქითა წასრულიყვნეს, დასცემიყვნეს კოტრაჯოს. ლეკებ ცი-  
ხეში ყოფილიყვნეს შესრულები და ციცქითა ეთოფ თუშები.

15 კვესიაციძე ბირდაპირ შესრულიყან ციხის ბაშტიკართან; მთელ  
ტანისამოსი ტკიებისგნივ სუ დაცხავებულ ხქონიყან, ტანზე კი  
ვერ ეწი. მეცტან დავითოს ციხის ბირზედ ჩალა, ფაჩხი-დ' შეშაა,  
მიეკიდ ცეცხლი-დ' ხალხ სუ ციხეში ჩეცშვ. ვეღარავინ ვეღარ გა-  
მოსრულიყან გარეთ შეიდ სართულიან ციხეშიგითაა — სუყველაცნ  
შიგ ჩამჭვარიყვნეს.

20 ციხე რო გაკურებულიყან. ერთ ქალს განეცხედ სარქმელშიგი-  
თაა; კვესიაციძე ენახა-დ' ეთქვ: — გადმოდივ, სარქმელშიგითა გად-  
მოარდივ, მე დაგიჭერავ, თუნდ ცოლად წაგიყვანაო-დ' თუნდ  
დადავ.

ციცქ ქალს ეთქვა: — სამ ძმა მყავავ, სამწივ ციხეში იწვებიანავ, მეაც ცაცქ უნდ დავიწვეო-დ' შიგავ შესრულიყო.

## 22. მურთაზის ჯარის გაწყვეტის ამბავი

მურთაზ-ქისტს ჯარ შეცყარ თუშებსთან საომრად. თავის ჯარისად ეთქვა: — გადასავალაც ღლეთედ ყველაცმ თითო კენჭ დავდგათავ, გადმოისვე ყველაცმ გარევ თითო ავილოთაო-დ' გავიგებთავ რამდენ კაც დავიტოცებითაო-დ' რამდენ გადავრჩებითავ; ცაცგრეც ექნ.

თუშებს რო გაცგრ, მურთაზ თავის ჯარით მოდისავ. ყველაცნ ფარსმის თავ შეცრილიყვნესა-დ' ციცქავ გექმართ ომი. დაღრევიყვნეს თუშები-დ' ეშუ ქისტებს; ციცქმოენ ექოც, რომ თავმოჭრილ ქისტს მკვდრებში ყირამალა დაყუდებულიყო. მემრ ერთ უფროს თუშს ეთქვა, ნულარ დავხვდცავთავ, ცოდვა ვქენთავ ოდაც დეწნებაც თავ ქისტებისად.

ქისტებისა ოც კიდენ წასრულიყო შინა-დ' ციცქმათ კენჭებს აღარა დახკლებიყო, მთელ ციცსთაცივ თეფა დამრჩალიყო ციცმ კენჭებისაც. მიაც მინახავ თვალით ციცს თეფაც ფარსმის თავ.

## 23. თუშ დიაცცი

დავიზარდენთ მუშაცობით: სუ ქო-ძროხათ მივზღვდეთ, სუ წევ-ტყეთ მივზღვდეთ; გუთანსაც მივზღვდეთ, შემატრა გინდა, წისქ-ვილ წასვლა გინდა—ყველაც ჩვენ ვაკეთიდით. ცაცვ იყო ჩვენ ჯან-კალაცობა.

გან ახალსავით გვეცვ, სუ ტოლ გვიცვა-დ' ტყავ-კაბები; ცაცხლ ტყავ-კაბას ვინდ ჩიცუვამს? პატარაობას თეთრ ტოლის კაბა მეცვის, ცაცხლამ ციცმას ვინ იყალრებს; სუ თავწარულებ ვიყვნიდით, სუ ჩითები, ქალბნები-დ' წინდაცებ გვეცვის.

შინ კიდევ რაცგვერ ვიცხოვრიდით, დეცხ, კალტი დ' ყვაც გვქონდის, სახვრეტაცხ, ერბოო; საგაბელ ჩალისა გვქონდის, ტყავი-სახ. წინ საბან არ იყო, დეცხ, არ გვქონდის საბან, სი იყო ციცმაშ საბან, ჩალიან ლოგინი-დ' ტყავ; ცაცხლამ ტყავს ვინალ იყალრებს? ბეწვიანიავ, მე კი გარევ ტყავ მაქვის.

ცაციქ სოფლის ბოლოში ჩავიდოდით ბაღლებში, ზაფხულის ხანას, როცა ორსულად ვიყვნიდითა-დ' ციცქ ვაჩინდით ბაღლებს, ზამთრისეც სოფლის ბოლოს ჩავიდოდეთ, ყარტ-მოფარებულში ვაჩინდით. ბაღლებიც ხანდხანაც ვაბანაცილით. კერაცხე ვინ ვაგვა-ჩენიდებდ, ახლანდელნ რო სუ ბუმბულებზე წვანან! თავადაც სუ-

তাৰণীসংগ্ৰহীত গ্ৰন্থত ক্ষেত্ৰীকৃত হৈছে, যিন্দি তথ্যলিপিৰ মুজুলিৎ,  
 20 মাৰ্কো ক্ষেত্ৰী হাবুকলভূমিত আৰাল-গুহৰীনীল্লেৰ তাৰ্ফাৎাচা-ড' ত্ৰিণীসা-  
 মৰীচী চৰকৃত ধাৰ্মিক প্ৰেৰণাৰ পৰিবেশত। এই তথ্যমত ক্ষেত্ৰীকৃত তাৰণীসংগ্ৰহীত  
 ঘৰণীভূমিত।

প্ৰেৰণাৰ বালুৰ খৈল-গুহাৰ পৰিবেশত তাৰণীসংগ্ৰহীত অনুসূচা-ড' দ্বাৰা  
 প্ৰেৰণাৰ হীন পৰিবেশত। সাধাৰণ দ্বৈলোৱা এৰ নথি-ড' সাধাৰণে।

25 পাৰ্শ্বৰ মাঝোৱাৰ খৈলসাৰমৈলাপ হীনো গৈকৰণ্ডীস, হীনোস ক্ষেত্ৰী  
 অৱৰোপ এৰা গৈৱেৰোস, চৰকৃত তাৰণী ক্ষেত্ৰী হীনো নথি হৈবেন সুমতোৱা  
 ოთხას ცხვრის პატრონმ უამბბ. მაგ ოთხას ცხვრის პატრონი  
 ფშაველ იყრ დაც ეს ლექსი კი თუშის გამოთქმული. ციც  
 თუშმ ლექსის გამომთქმელად ფშაველიწ გამრცყვან ლექსში,  
 თავისთავ კი დამალ. ის თუშ დართლოელ ყოფილ.

#### 74. ალოს ალუდაცა

ქვე იჯედ, პაშაკოს აქო, ცხენს ნუ აკვერებ ნალებსავ,  
 შენ ფარსმას ვერას გადახვალ, ფარსმას ვერ ნახავ ქალებსავ,  
 ფარსმაში თეთრებ ციხეებს ვერას გაულებ კარებსავ,  
 შიგა ზის ალოს ალუდაცა, ქორი აფეთებს თვალებსავ,  
 5 ქირიმებს არას გაკადრებს, მაურებით შევიჯვერებსავ,  
 ტყვია-წამალი ბევრ აქვის — ასი ოსმალოს ტალივ,  
 ბევრს ვაშვაცს შენისთანასავ ორივ დუღუნა თვალივ.

#### 75. თუშები სალაშქროდ

ამობენ ჩალმათ ბიჭები, საველოდ დავშეჭრეთ მთანიავ.

შეიტყო უჯმაჯიზემავ, ქორ შეჯდა ქანდარაზედა:

— შუბო, ტარს მოგილამაზებ, ფრანგულო, გაგლესავ ფხაზედავ!

ლუხუმი გავა შენაქოს, ლუხუმაცს მიუვ კარზედა.

— გვალელ, ლუხუმაცვ, გავიდნეთ, თუშებს ვაუძლვნეთ ჭინავ! 5  
ვაღიან ლუხუმ, ლუხუმაც, ანგელოზ ადგა მწარზედა.

თუშებ დაგროვდეს ლაცასავ მზეშვერებისა ხანზედავ.

ზოგნი ამბობენ: — წავინეთ! ზოგნი უშლიან ჯარეზსავ.

დასხდეს და ლაპარაკობენ, ბელადად დალონდიანავ.

— აღექილ, გამარიოზევ, შენ უფრ ხარ დაელათიანივ!

ომაცი გამარიოზე — ირემი დადგა გზაზედავ.

გადმოვლენ სამერცხლეშიავ, გზა ცაცქ გვაქვ ლეკებისიავ.

შესწუხებიან ახლები, მტერ არ მოგვიდის ხანზედავ,

ლთისიამ ოსორაციზემ თვალი მოხკიდა წამზედავ:

მთას გადმოჲდ აბდალიზეივ. ყუყაც გალმოხყვა მტრისაო.

ბელადებს ეტყვის ღოისიაცქ: — ლამე გვითენდებ ცდისაო!

ჩამოვლენ ველკეთილშია, ელვას დამზგავსდეს ცისაო:

შეოება ზეიალიზება ერთ ნოტო ჩასხლიტ მტრისაო;

ხუტურმა გამარიოზემ ამიამლერა ქმალიო;

მაისაც გამარიოზემ — ქორმა ჩაშალა შეარიო.

ვაა დედას ქავთარისასა! — ვადას გადუცწყდა ქმალიო,

ვაა დედას ქავთარისასა! — ომის არ ექნა ხანიო.

სიდამე ბაკურის გიყოი — ლეკ გაზარდილი მგლისაო.

ანამ მოზასა ივანე — ქორშევარდენი შეკაანივ.

გორგისა ციდილაცეთას ჯიშ ხეონი აოწიმისაო.

ემაგის მოლექსობელი დართლოს ვარ თუშის ქალიო,

უკლო ვარი, უმამისახლო, შინ დაბრუხებული, შეციო.

ბარაქალ, ხისოელებო! ყველაცმ კარგ სცადეთ თავიო,

მოხდიხართ ნასახელარნივ, მუკლებს მოგიქრისთ ქარიო.

### 76. წოწრეს პაპაცი

თუშთა გავიდა ლაშქარი, თან გახყვა გომეწრის ჯარივ,

რარჯენივე უდგა ფიწალე, მარცნივე — კარატის ჯვარივ.

შედიან ალაზნისთავე, ლთისა ზედ ადგა თვალიო,

დასხდესა-დ' ლაპარაკობენ: — სიის გავიღოთ გზანივ?

ეტყოდა წოწრეს პაპაცი: — ჩვენ მიოხეს შევზდეთ ზარივ —

მათხუში თეთრებ ციხეებს კინის ულეშნეთ კარნივ,

შიგითებ გამორევეოთავ ქისტების ლამაზ ქალნივ.

იქითა შემოაბრუნოთ ცხვარ-ცხენი-დ' ჯაროანივ!

მოგვდიონ მიოხელებმა, მიგვტირონ ქალებურადა,

შევრიც გვასრიონ ისარი, ვერც ერთი — ჩვენებურადა.

ვინამ თქვა, ენამ გახვება, წოწრეს პაპაცი ბერიავ!

ბერია-დ' არც რა ბერიავ, ერთ ვაჟსთან გარევ მგელიავ.

15

20

25

5

10

### 77. ბალათირაცხ

- ლამეო მარაგიანო, მზევ, მოფენილო დილითავ...  
 წამოა ბალათირაცხივ დილა ადრიან შინითავ.  
 არდოტის ჭალებ ამსულავ სამციხელების მზირითავ,  
 გამუცხტნეს ბალათირაცხავ დალესულების რკინითავ.  
 5 მიბრ-მობრუნდ ბალათირაცხივ, კმალ დაიქნია პირითავ,  
 ზოგ დაშეჭრა, ზოგი დაჯოცა, ზოგ შინ გაღგზავნა გმინითა.  
 შინ მოუიღა დედასა ბალათირ გაცინებულის პირითავ.  
 — დედა მოგიკვდეს, ბალათირ, გაზღილო ცოდვა-ჭირითა!  
 დედა დაღვარცხნის ქოჩორსა, ირმის დახპოხდა ტვინითავ.

### 78. გამართს ციხე

- ხუფრის ორწყალში ჩამოდგა სამის ნაიბის ჯარიო.  
 ჩამოდგებოდეს ლაცაში, როგორც მარილზე ცხვარიო.  
 — რომელ სოფელში ჩაეინეთ, რომელს მოავლოთ თვალიო?  
 — უფრ ხისო გვეპარჯვებისა, იმედი გვაქვის ტყისაო;  
 5 ხისოში გამართს ციხეს—იმას გაუჟსნეთ კარიო,  
 შიგითა გამოიყვანოთ ჭოქის ლაძაზი ქალიო!  
 ხისოში გამართს ციხევ, გათენებამდელ გამაგრდივ;  
 საგათენებოდ მოგივა ბარმა ბახტურის სალარივ.  
 შუამთას ბარმა ბასტურმა ცენი წაძრა და წამოძრა.  
 10 საკარჯყმოდ არის მოსრული, გან ცოლის მოძებარია.

### 79. გარაციზე

- ტბათანას ქისტის შვილებთა კასრებ დაღვარეს ზიანი.  
 სოფლის-სოფლ კაცებ დაღვზავნება: ბიჭიმ გინ არის ქმიანივ!  
 გომეწარ გარაციზება ცხენს გამოუქრა ძუაივ,  
 ქვაპიდის ჭალაცს შემოჩნდავ, ნალებს გახქონდა პრიალივ.  
 5 სუ წევით გაინადგურა ქისტ მონა დროშაციანივ.

### 80. გიგლაცხ

- გაიძრა, გამოემართა დიდის ბუსურბნის ჯარიო,  
 გულწადარი ხყავ ბელადი, ალაზანს შემომდგარიო.  
 ჩეთმას დაღვზავნება ბიჭები, ჩეთმას მოავლეთ თვალიო.  
 ჩეთმაში თუშის შვილები-ღ' თორმეტი ფარა ცხვარია,  
 5 საჭმელად შირაქ არ ხყოფნის, სასმელად ალაზანია.

ორშაბათს საგათენებლოდ ჩეთიას დახურეს ცანია,  
 დაშვრეს, დაკუწეს მწყემსები, ადინეს სისხლის ლვარია.  
 ძალლებ ყმურიან თეოზე, სად წაგვივიდა ცხვარიავ.  
 ციცქის დახუცვენით, ძალლებო, საც მიდის სისხლის ლვარია,  
 გზას გიგლაც შემოგეყრებათ, გზას გიგლაცი წევს მკვდარია.

10

### 81. მურთაზი

აპირობს მურთაზ ომში წასვლასა, ყიდვასა ზარბაზნისაო:

— უნდა წავიდე თუშეთში, ფარსმას მოავლო თვალიო.

ქაჩუსა ღელეს გადმოდგებ მურთაზის დიდი ჯარიო;

ფარსმაში წვერიან ციხეს თოვეის დახვეის ალიო,

შიგა ზის ალოს ალუდაც, ქორი აფეთხებს თვალებსავ.

5

ქალმანა კახოს თინამა ბიჭებს უჭირა მეტარიო:

ქისტებს მოუკლა ბელადი — სამი ხეობის თავიო.

წევსურეთს კაცი გაღეზავნეს, ფარსმასა დებცა ცანიო.

ქვაჯიდის ჭალაცს ჩამოდის წევსურთ ჭრელ ჯეილებიო.

იმაშ თქვა გოგოთაურმა: — აბლ მოიდ წევსურთ ყმანიო!

10

ციბითა გარეთ გამოა, თან გამოხყვება ჯარიო.

თოფი დაგვიკრეს ალუდას, დასტიროდიან დანიო.

ნოვიროს ღელეს გადმოდგა დიდი ქართვლისა ჯარიო;

საბაკეზედა გადავა აბაციძისა ქმალიო.

15

• მანდით გაიქცა მურთაზი, გირევს დაყარა ქმანიო,

ქერიგოს ღელეს გადავა, ჩასტირის, როგორც ქალიო.

გზად ცოლი მოეგებება, თვალად ლამაზი ქალიო:

— მურთაზ, რად გამოქცეულარ, რადამ შიცრცხვინე გვარიო?

სიცოცხლეს სირცხვილიანსა სიკედილ უჯობ ნაძუსიანი!..

ფარსმისა ძირსა გადიოდ სისხლისა ნიალგარიო.

20

ემაგის მოლექსობელი გიჩალ გარ ბეროშვილიო.

თქვენთან დატანა მეც მეწად, საკაციო ზიდვა მკვდრისაო.

შეიტყოთ, გამომიგზავნეთ წამალი წირიმისაო.

### 82. ივანე

ამბობენ, ბორჩალაშიგა თათრის იყრება ლაშქარი;

არჩევენ კაი ბიჭებსა ან კაი ცხენებ სად არი;

გადმოვლენ ტარიმანაში ათი-თორმეტი თათარი,

კითხულობდიან ივანეს: — ივანეს ბინამ სად არივ?

5

— ნუ გეშინიანთ, თათრებო, ივანე უფრე მზად არივ.

ივანე ეტყოდ ჩობანსა: — ბალოო, ჩვენ ცხენებ სად არივ?

ივანემ ჯოგსა მოურბინ, ბინაში ეცა თათარივ.  
ივანეს კმალი დაგვიკრეს, დაგვიწვრეთის მასრანი.

- ივანეს კმალი არ შერჩა, წვერ-წალმ იქმარა ხანჯარივ.  
10 ერთსა რჯულძალლსა თათარსა დაყრევინა ჯიგარივ.

### 83. უთავზის მარაციზე

დღეიმც ნუ გაოენებულა, ორშაბათ დილა მზიანივ,  
შებერტყეს ალაზნისთავი ცხენ-ცხერიან-ჯაროვნიანი.  
საჭვდოითა იძახეს:—ვინ გყავთ, გვიშველეთ, კმლიანივ!  
უთავზის მარაციზემა ლურჯას გაუკრა ძუანი,  
5 შეჯდა და შეარბენია საჯინჭვლის გორი კდიანი,  
შევიდა დარაბთ ვაკესა, ბორტი შეგალა ცვრიანი,  
ასრია-დ' გამოაგორა ლეკის ბელადი ძალლია.

### 84. დიკლოს მოიდა დიდოი...

დიკლოს მოიდა დიდოი, დენგაცმ შეხყარა ჯარიო,  
გადმოდის ხუშეთის ლელეს, როგორც ნაგუბარ წყალიო,  
ამოდის წისქვილლანა, თვალიშ' არ გადასწვდებაო!

- შევობან შემონქველიან, ზეობან შეზდვეს ზარიო.  
5 ციხითამ ელანაციზემ შორით მოხკიდა თვალიო,  
ასრია-დ' გამოაგორა ლეკის ბელადი ძალლიო.  
ზე ადგა ხიცოს დართლოელ, შეალო ქავის კარნიო.  
ჩადიან ქვეობნისაკვე, დათოს მოავლოთ თვალიო.  
დათოსა ორაციძესა ჩაეხვევიან ცხრანია;  
10 ქვათარაც ქერხოს ბრუნევდა, ვეფუვიფით გმინვას ხყრიდაო:  
— წამისხეს ჯალაობაი, როგორც ნოტო ცხერისაო,  
ბერდედა აქავ მომიკლეს, კულ არ იყადრა მტრისაო.  
მწარ-გვერდზე იდვა ლაპარი, დღეს ხელვედ სიკვდილისაო.

### 85. სახელოან თუშები

ჭონთიოს ციქუს სულთანი, ქიჩილ-დოლაბანდიანი;  
გირევს ხოსიკურთ ივანე — აზნაურია ყჰიანი;

- ფარსმაში აოს ალუდაცი — კოშკია სიბაგრიანი;  
5 ქეშოს აბალოს დარქ-ზანი — ქემწიფე დროშაციანი;  
დანოს ქაზნიზე მეშველი — ჭკვაია ციხის კრისაო;  
კვავლოში გორგი თილიძე — შიშია შორი მტრისაო;  
დართლოში თადიაცური — თავია დართლოელთაო;  
ჩილოს ტალიურ გიტული — მოძალავ მოურავისაო.

### 86. რაფაში

საღუცეს ცხვრისა ჩობანო, რა ელდა დაგეც თავზედავ,  
 სამინი მოღიან დიდოების, რაფამ, შენ მუქარაზედავ.  
 ერთ აწაჭავ დაჭრა-დ' დაკუწია, ერთს ნაჭერ გაყყოლ ტანზედავ.  
 დაჯდა და წიგნი დასწერა, ტრედსა შააბა მეჯარზედავ;  
 — მაძაჩემ ნაღის მიართვი შინ შედომიარეს სკამზედა:  
 რაფამ მოგიკლეს დიდოებით, ნულარ გეგულებ ცხვარზედავ. 5

### 87. მარხვაცი

ქისტეთ ქისტ გადიდებულა, კოსტიად გამოღის ბანზედავ,  
 შემოქნებ ნიყაიხოზე, საკელს ჩაიყრის მეჯარზედავ,  
 ჩამოა გუდაანთის თავ, ჩატანა ღგულავ ცხვარზედავ.  
 მანდ მარხვაც დაზძინებია მაშვრალს, დალალულს გზაზედავ.  
 ქისტო, რად ხელევდე მარხვაცსა, რად არ გაცლვიად წამზეავ;  
 თუშ იყო-დ' წამოღებოდა, დაღვებოდ უანჯრის ტარზეავ. 5

### 88. ნანა

ტუტარიკ წისქვილ ატირდა ნანა თორლვაცის ქალია:  
 — შენ, ჩემო მამა თორლვაცო, ნუმც შეგიბამავ კმალია,  
 ნუმც გრეოცავის ლეკები, ნუმც მოგიტანავ კელნიავ!  
 ხუთშაბათს საგათენებლოდ თავზე დამეცნეს ცანიავ:  
 მე თუშის შეილებ მეგონა, ლეკის ყოფილა ჯარიავ.  
 სუ დამიკოცეს ძმა-შინშინი, სისხლის მიბრუნავს ტბანია.  
 კელნ დაშვრეს, კალთაცს ჩამისხეს; ძირით დავიჭერ თმანიავ.  
 მავლიერ ფექშიშველაცი თვირთვილიანი მთანიავ,  
 ქავთრის მთას გადამიყვანეს, უკულმა ბრუნავს ქარიავ.  
 ეგ ქარიც არა ყოფილა, ქალისი ცოდო-ბრალიავ! 10  
 გზის ძირ ჩავყარენ ზალტენი, მამულთ ულიშნე კვალიავ.  
 უთხარით ჩიღოელებსა, ხახონს უჭირონ მეჯარია.  
 ხახონის შვილმა ნებიერმ თოფს დაუბიროს ტალიავ;  
 ჩემმა საქმარემ ხიწვაცმა წელზე შეიბას კმალიავ;  
 თუ სოფლად ვერას ჩამოვლენ, მთაში უჭირონ ცხვარია.  
 შორს კი არასიდ გეგინოთ, დიდოს საბოსლოს ვარია.  
 რჯულიანებში კელუყადრი ცხექ ურჯულოში ვარია.  
 დასაქსნელს ნულარ ღონდებით, სათუშო აღარ ვარია.

### 89. დავლობად

- ამბობენ დაღისტანშია: — ეხლა დავლობის ხანია.  
 დაიძრა, გამოემართა ღილი ბუსურბნის ჯარია.  
 ერთ რჯულძალლმ წამოიძახა: — თუშთა დავლაქოთ მთანია!  
 პარასკევს შუალამისიას სპეროზას დასცეს ცანიავ,  
 5 დააწიოკეს მწყემსები, ვაი, რა ცოდვა ბრალიავ!  
 სპეროზას შვიდი ფარაი სუ ერთად შემოხყარაო.  
 წონებთას მაცნე გაღვზავნეს: — პარიქ, აილეს ცხვარია!  
 ჩალმა-ბირიქით აცნობეთ, ციცსენიც ჩვენი ძმანია.  
 თუშებმ ჩაზძახეს ლეკებსა: — პაბა, ცეცხლ ვსცადოთ ჭმალია!  
 10 დეცრივნიანა ერთურთში, ხმლისა გამოდის ჩქამია,  
 ისე გახქონდა ზრიალი, თითქო დაძრულა ზვავია;  
 — კელი დაგრიეთ, რჯულძალლნო, სისლით შევდებეთ მთანია!  
 კაფა და კაფა ლეომა, ცამდი ააგო ჩვედარია,  
 ორასი ლეკის მარჯვენა სუ ერთად შემოაგროვა.  
 15 ატირდა ლეკის ბელადი: — ვაი, რა ცოდვა-ბრალია!  
 — ნუ სტირი, ლეკის ბელადო, დავლობ წასრულის წესიავ:  
 თორმეტი ჩენაც მოგვართვეს წონებთას საკაცითაო,  
 ოზდათვამეტი დაჭრილი ნაქერლის ომობაშიავ;  
 ჩალმა-ბირიქით არ ვიცით, რაძღენ წაიღეს მკვდარიავ  
 20 ან რამდენ დაჭრილ წაიღეს ნაქერლის ომობაშიავ.  
 შე მაგის მომლექსობელი წონებთას ვარი ქალიო,  
 სალექსოდ გამომიგზაუნეთ თეორი შიშაქი ცხვარიო.

### 90. ქაზედ

- ფარსმის თავ ცხვარზე ამბობენ დედისერთაცხა ყმასაო,  
 ამბობენ გახელებულსა, ყველა გახკვირსა მასაო:  
 — ეხლა გადავალ ქისტეთში, გადავქეჩეჩავა ცხვარსაო,  
 გადავალ, გადავათეთრებ ტიალ ციცმ ფარსშის მთასაო.  
 5 უკვენ ნომდევენ ქისტები, თვალი უჭიოავ ჩემზეო:  
 — სადამ წაგვივა ქააზე, ქააზე ესტოს შვილიო.  
 ციცმ ფიქრებში იყო მელიტო, თოფმა გამიცელო გრიალი.  
 — წამიაწიე დ' ვერ ავდექჩ, გულ-ლვიძლი მედვა განზეო;  
 რაცსალ ავდგებოდი ბეჩავი, ცარა ნატევიარი ტანზეო.

### 91. მანგიაც უთურგაიძე

- ქვათანათ მეცხვარეებსა დღეი დაუდგა მზიანი;  
 მანგიას უთურგაიძეს ხანჯარ წელთ არტყი ფხიანი,

ძილს კი ემდუროდ მანგიაყბი: წინავ ვერ გავიგ ტიალი,  
იმედ მქონდ ქოფაკებისა, ოქრებთ არა ქნეს ურიალი.  
შირგლიაც ლექნ დაგვხვევინ, ცეცხლზე ბიჭლესა გრიალი.  
ოთხის დედა კი ვატირე თიჩურაც ქალი თმიანი.  
გვერდს კი მრანავის ყმაწვილი, შავარდენია მჯრიანი.  
ცხვარი ლექებთა გარეკეს, იქ ვწევარ ტვარ-სისხლიანი.

5

## 92. თუშებ წავინეს ბარგობა

თუშებ წავინეს ბარგობა, ჯარ დიდი მოგვინდებისა;  
ჯავრობენ წოპუთ უუროსებბი:—მოურავ გაგვიწყრებისა.  
არ უჯერან გომეშრელები:—თაებერაც გაგვიძლვებისა,  
გავაზელების ნაცვალსა ავპირად ეობნებისა.  
წოაწნ დილოზეს აქებენ:—ქორ ცხენზე შეგვიჯდებისა!  
თათარაც თაჯირიაციეს ქმალ წელზე შეგვიჯდებისა!  
ცხენსთან ჩაგალის ჟეცაი, შევარდენია ტერიანი;  
ბუჟათმა ქოთილაციებ ბაკ აიაცბრუნა ცხვრიანი,  
ცხვართ არას ხედავს ბუჟათი, ტუვ მოხყავ თექაციანი;  
საყურაციეს დავითსა ლურჯაც ხყავ ყურ-ოფლიანი;  
თაფერაცისა შავრაცმა მთა გაბერტყ არხილიანი.

5

10

## 93. სააქეირონი ლაშქარი

სააქეირონი ლაშქარი ლალისყურ იყრებიანო,  
კაცი გაგზავნეს წოპუთას, ბელადებს ლონდებიანო.  
გაუძღლ, ნაჭავრიზეო, თუშინ შენ გარჩევდნიანო;  
შერეუნ შილდისა თავა, ლეკნიც შაგაზე დიანო.  
ჯერ სადილობა არ ქნილა, ლექო რო ჯარ ჩამოწყვიანო.  
ჩუქსხდეს გზის თავა, გზის ძირა, მგელთ ცხვარი აკრიფიანო.  
თითო მუცქლავის ყველაცთა, კელთ კალთაცთ იხვევდიანო.  
გელასა ასტურაულსა აბანაგნ იკლებდნიანო.  
მარტო მოუგდი მარტოსა, ირმულად ფრინევდიანო;  
გელაცის განაურენზედა შების ტოით ზომევდიანო.  
იქვე გახყოფდეს დავლასა, ართანას ეძაბდხიანო.  
მოიდეს ნასახელარნი, ალვანში გოგევდნიანო.

5

10

## 94. თორლგაც ქუჯეილიძე

ქმა გატყდა ჭანსა დ' ტერელოს, შეშჭეინა ქარებულადა,  
თორლვაცმა ქუჯეილიძემ შეხყვირნა ქარებულადა,  
ცხენს შეჯდა, დეზი შემოხკრა, დახეარგა ქარებულადა,

- ჭანსა ჩავიდა სოფელსა, თაგს დაზღებს სტუმრებულადა.
- 5 ქარსამაცულთას წავიდა, ალალ თქვენ სტუმარ ვარია,  
წყალსა სვამს, პურს კი არა შვამს, გულსუნებურად ვარია;  
საგათენებლოდ გააღო ქარსამაცულის კარია,  
გამოის გამოიყოლა ქარსამაცული ჯარია.  
შიოხუს პირდაპირ მოისე უხანდებიან გზანია.
- 10 ქუჯი ეტყოდა ბოლოლაცს:— წინაღ შენ დალი წყალია!  
ბოლოლაცმ წყალი დალია, ქუჯიმ ამაცმლერ ქმალია.  
შეიბნეს ქუჯი-დ' ბოლოლაცს, ბიწა გახიეს პყარია.  
— ღმერთო, ნუ გეწყინებისა-დ' წინ აათ მიზეს ძალია:  
ძმობილსა სტუმრად წასრულსა ცხვრებულ მომიჭრეს თავია.

### 95. კუშკანდალი

- დიკლოს ატირდეს დედანი:— ძალი ვიწადეთ ღვთისია,  
ჯარ დაგვეც დანდობაზედა, ვალია კუშკანდლისია;  
ამოდის ჭისტეილოანა, ბინდია იიქოაეისია,  
ღვინიაც ელანაცისა— ქორი ციუში ზისავ,  
5 ქელო უჭეოავის სიათა, კონდახს უკვენით ზისავ.  
ზეუბნის თოფებ გამოდის, შვილია ქურაზისავ.  
ლექები გახკვირებიან ნაცადსა ბეჭოზისაო.  
ბიჭეხგორ შემოგვეწია, ფასი ქნა აღგილისაო.  
ქალაგო, სულითად სცალადები, ბაქი, შენ ვაჩივრისაო,
- 10 არ გადაზევი ლეკებია, კელი არ იკადო მტრისაო,  
სულიმც იალაღ გექება, საც ქრისტე პურად ზისაო.

### 96. დამწყალობება

- დიდება ღმერთსა, მაღლი ღმერთსა!  
ღმერთო, გაუმარჯვე დღესა დღევანდელსა!  
ღმერთო, გაუმარჯვე ზედაშის აატროხსა!  
მოსრულან შენს კარზე გულს კულ-დაზვეულნი,  
5 შემოგძახიან შევლასა.  
უშველე ამათით გასრულს კაცსა, საქონსა,  
მოლაშქრე მოთადიოხესა!  
უშველეთა-დ' შუაკაცად ჩამოუხვილნიდით!  
გზა უკულმა უქციდით ამათ მტერსა!
- 10 ჭირის ნამათორავევზე ლხინის წანალ დაცყარიდითა!  
ნურას ჩამაცეცდებ აათ სახლ-ყუდროში  
მტრის ჯიხასავ, სიკვდილის ჭკვასავ!

## 97. დალაობაა

(გვრინი)

დალა თქვით, დალათ, მჯენრები! ძნელია დალაობაო...

ბრალია, სულაკაურო, ულაშქროდ შენი სიკვდილი.

ლექებს ნუ შევატყობინებთ ლომის დავითის სიკვდილსა.

ლომო, შენ, სულაკაურო, დედან გრიროდენ ძეობით,

დანიც გრიროდენ ძმაობით... 5

ეგ შენი დედა ბეხავი სუროსვით ექანებოდა;

ეგ შენი ცოლი ბეხავი სანთლებურ ჩამოდნებოდა;

შენი გვარისა ქალ-ზალი სუ შავით იმოსებოდა;

შენი ნაწილი ლოგინი ია-ფრდივით ჭენებოდა;

შენი ნაცვამი სამოსი დარბაზს არ იცვითებოდა.

ჰქვიანო, სახელიანო, მიმა-პაპობით ქმიანო,

მომჭრეო, მოსამართლეო, გამრივევ თუწეთისაო,

კარზე გიდგანან სტუმრები, შინამ არ შეუძლვებია?

ლაშქარს გიკითხვენ სწორები, წინამ არ გაუალვებია?

ლაშქარს წითლისა ღრომაშით მდევარო არ უბრუნდებია? 15

ლექეთში ლექნი გიკითხვენ.—კაქეთს არს ბატანსთანავ;

გიკითხვენ ბატონიანი.—ქისტეთს არს ღიჩინსთანავ;

გიკითხვენ თავის სწორები.—წავიდა უფალსთანავ.

ნეტა შენ საიქიონა! სულეთს შეხვ მტრედისფერადა.

სულეთს კოდნ გიდგან სამსვენი, გადმომდინარნი პერალა,

სუფრა გიდგ გარიგებული, გაკეთებული თეთრითა,

ზედ გიდგას მეღვინები სუცითა, დიაკვნებითა;

ამოილებენ, დალევენ ვერცხლისა ვაშრაბებითა,

ამოილებენ, დალევენ: ღმერთმა აცხონოს სულითა!

10

10

15

20

20

## 98. ლთისოს გიცო

რაციმ ამბავი დართლოსა ამოდენასა მზისაო?

გულმჯურელად ტირილს გახქირან დართლოელთ ქალთი-დ'  
რძლისაო:

— აღარ გვყავ ლთისოს გიცო—შუქ ჩაგვიბნელდა მზისაო!

სულეთში ლთისოს გიცო ჩივილით შემოდისაო:

— უდროოდ მოვშორდ სწორებსა, მონატურ მოვკვედ მზისაო.

მალ გაუთენდებ მზიან დღე ლუხუმის ცოლსა-დ' ქალსაო,

ჩიოდეს ჩემი დედაი, გულს კელ-დახვეულ ზისაო;

გაამაგრებენ მეზობლები, გაუმქავრებენ ჭირსაო.

მწყემსობამ დამასნეული, მუღმივ ცხვის შვილობამავ, 10

5

10

სადუცეს ჩაკოანთ ცხვარმა, პირის ვერ ბრუნებამაო,  
უდროლდ კახეთობიმავ, საბალნის ზიდილმანაო,  
ძლევმან ანგარიშისამ, ჯამავირ მეტებამაო,  
ჭევიანმა ხაზეინებმა, გულ-ენის ჩვენებამაო.

- 15 ცემაგის მომლექსობელ ჭონთის თავ ვარ ცხვარზედავ;  
მომაგონდ ამხანაგობა, ცრემლ მომივიდა თვალზედავ.  
დავჯედი-დ' ლექსად გამოვთქვივ—ტირილის მაგიერიავ.  
შენდობა თისოს გიფოსავ, სადაც გარიგდეს ჯარიავ!

### 99. ქოჩადალაც

პანკისის ჭევზე შემოდის ფარაი გომეწრისაო,  
ღმერთმა დასწყევლოს ცუდ ამინდ, კვალი მაგ ქაჯებისაო!  
ამოვლენ ტბათანაშიგა, კვალ გამოხყვ ქაჯებისაო,  
გაღმოვლენ ქოჩადალაცში, ბინა იქ დადგვს ცხვრისაო.

- 5 გემოთ შეჲმდიან გაემამსავ, ტკბილს იძინებენ ძილსაო —  
სამცვდროს გადავრშით, სათათროს...  
ღმერთმან დასწყევლოს ცუდ ამინდ, კვალი მაგ ქაჯებისაო!  
ქოჩადალაცს მოსტყდ ცალ გვერდი, ზედ დააწყება მიწაო;  
ქოჩადალაცში ნალევი ბახტრიონს გამორიყაო.  
10 ცოდვით არ დაილეოდე, წყალო, შენ, ალაზნისაო.  
მაცნეიც აღირ გაუშვა სამ-სამ, ოთხ-ოთხის ძძისაო.  
ვირებიც დაუტანავა — მზიდავი ბუნაგისაო;  
ძალლებიც დაუტანავა — გამბრუნებელი მტრისაო.  
ვინც გაიგრ, ყველაცმ იწყინა ზარალ ემაგათ ცხვრისაო.  
15 გავიგე, მიაც ვიწყინე, ლაშარელისა ვუიცავო!  
სალექსოდ გამომიგზავნეთ ჭრელი თუშური ჩითაო.  
თხოვნაში არა ჩამიგდოთ, ადათრ მოლექსისაო.

### 100. უკადურთ ქალი

ქალ დედას გამოვეპარე საკეოსა დლეობასავ,  
გზათ მოყმე შემობეყარა, პირი უგვანდა სევდასავ,  
ჩამომიყარნ საცურ-ბეჭედნი, ქმა შორად გააღებიავ.  
მოყმენ, შიშველს ნუ დამაგდებ, ქალი ვარ უკადურთაო!

### 101. ხეარამზე

ყველაცსამ ეგრე მოუფა, ვინც ქალი ენდოს ქმარსაო,  
ახალსა, ამპარტავანსა, იმ უწვეროსა ყძასაო.

წუხელ ლაშქრიდან მოიდა შუალამისა ხანსაო,  
 შეწყრომით შემომიძახა:—ბოზო, გამიღე კარიო!  
 ავდექ, ავანთე სანთელი თვალის ახედვის წამსაო,  
 ოქროსა სკამი დაუდგი, იქ დაჯვე, ხეარამზესაო.  
 — ხეარამ-ხურამთა არ ვიცი, უწყალოდ მოგჭრი თავსაო...  
 ადე, ჩალბარდი ძმათაო!

ავდექ, შევეხაზმე შავრაცი, შევხკიდე წავსა მთასაო;  
 მოიხედე და მომჟვედა, მიცყარიაღებდა ქმალსაო. 10  
 დავჯვე და ჩოქი მოუგდე:—ნუ მომჭლავ ხეარამზესაო!  
 — ხეარამ-ხურამთა არ ვიცი. უწყალოდ მოგჭრი თავსაო!  
 გადაშავალო ყორანო, გალტცლენ ჩემნი ბრალნიო,  
 გადაის გადაუძახე ჩემსა ძმას ივანესაო:  
 — დასა გიქლევდეს დანითა, საბრალოდ იცემჟ გასაო. 15  
 უთხრიდით ჩემსა დედასა, დაკრიიფნეს ჩემნი თმანიო —  
 გძელია-ღ' არც რა გძელია, შეიძევცი, შეიდი მწარია.  
 დაზიდოს ბელლის ჩარდახზე, აპრიალებდეს ქარია.

### 102. თორლგაცის ქალი

„არ მინდა, დედო, არ მინდა  
 დედისდა დედამთილადა“.

დოჭუში ქალი ატირდა ცრემლი დალვარა ცხარია:  
 — ნუ გამახოებთ, დედ-მამავ, ქალსა-ღ' არ მინდა ქმარია.  
 ჩირლილ შეყრილან მაყრები, გამოდის თოფის ქმანია; 5  
 მაშინ ვითიქრე ბეხავმა:—მზეზე გამსვლია ყავლია.  
 ავდექ და თავი მოვიკალ, მიწამ გამილო პირია;  
 შიგ მიწაშიგა ჩავაწყე შვიდით ნაწნავი თმანია,  
 უფლით ნაკუროხი გვირგვინი—ვერც იმით გავიხარეა!

### 103. უშიშაციზევ

გაგნისა გორსა შეხვია შავი ლრუბელი ქარბაო,  
 თორმეტი კაცი დალია დიდის ფერდობის ზვავმაო.  
 ნეტარ იდომამ რაც ქნაა, უშიშაციზემ ქარმაო?  
 გაფრინდა-ღ' ვერ გაუწია, შორად მოუჭრა ზვავმაო.  
 ბრალი ხარ, უშიშაციზევ, გაგნის გორ გიდგა ლოგინი,  
 ქალ-ზალიშ ვერ მოვ ტირილად, მოგეწყინება ლოდინი!

### 104. იღაროზეან

თოვლი თოვს ნაყაიჩოზე, ფარსმას შუშბან დარია.  
 სამთა ძმათ იღაროზეანთ გაყოფა ღგულავ ცხვრისაი.  
 — დაო, დამშეციე-დ' მომწიე, სულეთიმ წაგინდებაო!  
 ძალა, მომკალა-დ' გამწირე ალაგსა ბუსურბნისაო,  
 5 ეგ ჩემი წილი ცხვარ-ცხენი ოჯრადაშც გაგინდებაო!

### 105. ცხენო!

ცხენო, გატყობაწ. გეშინის – ბექებს ვერ ღფრინავ ნალალსავ;  
 სასალამეოდ დაგაბამ ყემეშოს ყოჩის ბაგასავ.  
 დიკლოში ქურას გვიქებენ, გავედარნეთალ მაგასავ.  
 ხუთი მოუკლავ ქურაზეს, ნასკვაცურიზებ სად არსავ?  
 5 მმშია ნასკვაცურიზე, მაგის გამოსვლა ძნელ არსავ;  
 ლეკებს ხჯოცს, გელებს არ აჭრის, უკელოდ სახელ არ არსავ.

### 106. ხისოელები

ხისოელთაზე ჯეილებ არ იქნებ ქვეყანაზედა,  
 დარიგდებიან სუფრაზე, როგორც მარსკვლავნი ცაზედა.

### 107. მცცხვარის ჩივილი

მომწყინდა ცხვათა შვილობა, შეხედვა ალებისაო,  
 პერანგში ხვევნა მარილის, ძობა ბატქნებისაო,  
 დაჯდომა ციფსა წყაროზედ, ჭამა ჭალ-მარილისაო,  
 უსატნოდ ჭამა ჭალისა, კოჩოთ დახვრეტა წყლისაო.

### 108. დაჭრილი

დილა რო კარად გამოედი, ცას ქორებულად კიოდავ;  
 მე მეგონ მონაზირებივ, იმას თურ წყრული სტკიოდავ,  
 გულთ ეშევა თეთრი ისარი, სისხლი ყიაზე ზდიოდავ;  
 სისხლი, ყიაზე ნადენი, ჩოქის კალთაცხე ზდიოდავ,  
 5 ჩოქის კალთაცხე ნადენი ფერის ჩითებზე ზდიოდავ,  
 ფერის ჩითებზე ნადენივ ბორტეს გველებურად ძვრებოდავ,  
 ბორტეს გველებურად ნაძვრომი ჭალაცს ნაოხად დგებოდავ.

### 109. მძიმე

მძიმე ვარ, მძიმედ მოვდივარ, მძიმე ვარ ნამუსიანი;  
 ეგ ჭალილ ცხვაგან არ მიმიც, თაგასა-დ' არ მისცე ზიანი;  
 თუ ეგ ჭალ ცხვაგან მიგიცი, დაღვებ ხანჯრების პრიალი!

### 110. თურსიების წყალი

თურსიების წყალო მდინარო, ნაწურო მაღალ მთისაო,  
ჩამოქმედლო თეთრის ცხენისავ, ზედ კაი ჭაბუკისაო,  
ზეპირაც წამომღებელო ქუდისი-ღ' მათრაჯისაო.

### 111. უმაშისახლოე

ფოთოლ ვარ ბუერაცისა, საქანებელი ქარისი,  
ქალი ვარ უმაშისახლოე, სუ სალანძღვი ქმარისი.  
გამომაგდო თებერვალშია, ალთოს მოვანჩქლევ წყლისიავ,  
დალმდა-ღ' გზაში მომეწი: ნადირნ დავაძლენ ტყისიავ;  
რაც რამე ნადირთ დარშებოდ, ყორნებს ვალალებ მთისია. 5  
დედო, რა ძნელი ყოფილავ გვირგვინს გადასვლა ქმრისია.  
დასწყიე, დედო, ჩემ ქმარსავ სწორთ წინ წაქცევა მუქლისავ,  
ამოსვლა თოფის ლიშანში, მტრის მორევაი კელისავ!

### 112. \* \* \*

გათენდა და იქნა ბინდი, მოყრე ალარისიდ ჩინს ისი.  
მამამამ ცხენი არ მისცა? მამამც მოუკვდების ისი!  
ცოლმამე საგაბალ არ უცხო? ცოლიმც მოუკვდების ისი!  
დედამამ ჩითებ არ მისცა? დედამც მოუკპდების ისი!

### 113. ქელებთ ფაჯუგოე

ვეშარის თავა, შუნ-ჯინვნო, გულდიდად დაიძინეთა:  
შინ არ არს ლეგა ჩოქაი—ქელებთ ფაჯუგოს ზძინავა.

### 114. აგალმყოფი

სცირილის ავადმყოფ ვარივ, უნდა დაეხუჭო თვალები.  
ზოგსა მაცევისა ქიშმიში, ზოგთა—ლამბაქით ბალები.  
შეხედულსავე შევატყობ, რომელსაც შევებრალები.

### 115. ვინამ ჩამოხვალ გორდავორ...

ვინამ ჩამოხვალ გორდავორ, ცხენს ვინ ატარებ რეტადა?  
გყვანია ფექში გამომბალი, ვერ გევალება მეტადავ.  
დაგილიშნია საცოლე, ქალმან შეიტყო ვეჭადავ.  
არც ლხინობ, არცას სთამაშობ, გადაქცეულნარ ძილადავ.

### 116. లాగాళిస ప్రిథే!

చూరుస లాగాళిస ప్రిథే, క్వామిద న్ను గిరియైస క్వాళ్లేదా!  
మిండిండ లైపిస లాశ్కారి, ప్రిథే, శేన మ్యారాళ్లేదా.

### 117. తామార డ్రెఫింట్యాండ్

డ్రెప్పెబ్సా బ్యూన్డా ప్రుల్లింబా, సాప్ర ర్మ డిండ మోడానొం,  
ఎర్తమాన్యెత్స జ్యుభ్రెబొన్, మింస వ్యోల్లాత మొయ్యుక్లాత కుపాల్ల్యె.  
ఎం ర్మ శ్యేర్త్యుం డామ్హాడ్రెబ్యెల్మాన్, కొల్గుథొవ్వున్ నియ్యసారొంం.

- 5 ప్రథ్రిస ట్లిసా క్వాల్ మొసార్ల్యెబ్, తామార డ్రెఫింట్యాండ్ అంంిం,  
శ్యూ భ్లువాస కొల్గా సామిం, అం గారావ్యింద్రెస వ్యూల్లింం.  
షింర్లాబొ కొమొయ్యుద్గ్యెబా ల్లాలొ లాశొరిస జ్యోరింం,  
శ్యెల్లిం శ్యుసింం ల్లుర్రుఖొ, య్యెక్త శ్యుసిం ఏయ్రిస న్సాల్లిం,  
శ్యెల్లిం శ్యుసింం శాతరొంగ్, గాంధాల్లా—మ్యొండి మ్యూరింం.
- 10 శ్యుదార్యే ట్యుమ్పులిస వ్యోల్లింబ్సా:—గాంజ్యుంిత తాన్యసానొం,  
గాంశ్యోర్డ్యేస్, మొమ్యేమార్యెనొం, శ్యెల్లిం శ్యేమింర్ల్యుంిత క్షింల్లిం.

### 118. తమతిస క్షేదాచ్చ!

డ్రెఫామ్మాల శ్యోల్లిం గాథార్డాస్, తమతిస క్షేదాచ్చ, శ్యెన్ట్యుర్రీం;  
థిగ్లిస మ్యుఖ్లింల మ్యుఖ్లాడ శ్యేబాస, గ్థొ థమరిస గామ్హాన్యెబ్యెల్లిం;  
శ్యేన గ్యుల్లిం గ్యుల్లాడ కొమ్మువాస, మత్రిస థమరిం డాంథిన్యెబ్యెల్లిం.

### 119. ల్లుచ్చిస ల్లుచ్చెండ్

ఖాంతింార్మా గామొయ్యెల్లావ్, రమెల్లిం త్యుమిస క్షిరాందావ్!  
క్షిండ్లుబ్బిస ల్లుచ్చిస ల్లుచ్చుమి యామింరొంబస యానొంయితావ్.

- 5 అంం జ్యొంల శ్యుంామ్యొ దమసలొస గామ్యుల్స క్షార్యెబీవ్,  
శ్యొగిత్తెబ గామొచ్చుయ్యుసావ్ ల్లుచ్చిస ల్లుచ్చుమిస శార్యెబీవ్,  
గాలమింత్తెబ సాయ్లెచ్చెత్తొండా, ట్యొన గామొమెల్లుగార్యేబ ప్రెవార్యొవ్.  
క్షిండ్లుబ్బిస తావ్యో గామ్యాస శ్యువ్వెన్ అధ్రున్యెబ్స క్షారొ.
- 10 క్షారొ, అంప్రా క్షారొ—డ' ల్లుచ్చుమిస ప్రుండ్రు—ప్రుండ్రు!...  
ల్లుచ్చిస ల్లుచ్చుమిస క్షాల్యెబొ శ్యుర్మ్యువ్త ట్యొరొల్లింత డింంావ్,  
ల్లుచ్చిస ల్లుచ్చుమిస సాంల్-క్షారొ శ్యిల్-ప్యువ్ర్యున్ కొమంక్షిందింంవ్.

### 120. జీక్కించాశ్చుం!

గాంజ్యేబ్న, క్షింబారుంశ్చుల్ల, క్షెమిసాంచ్ సాంబార్యేబ శ్యెగ్యారొ,  
అం క్షించ్ మొగ్యెరొండా, సాంమ్యుల్లాచ్చెబొమ ట్యొగ్యారొ,  
అం శ్యెన్స మ్యెర్రొండివ్, మింస సించ్చుంల్లింబ్స థాబారొ!

## 121. წვიმა წვიმე...

წვიმა წვიმის სამცონოს წევრზე, დიდგვერდის წყალთ, ადიდლი,  
თან გახყვე, დედისერთაცო, პანკისაღ მარდად ჩახვიდივ;  
იქ გყვანან და-ღ დედაი, ერთხენაღ თვალით ნახნიდივ...  
ბახტრიონს გაგავლედებს, ალონის პირ-პირ ჩახვიდივ.  
ალონში მაშის დის შვილი ცრემლებს ჩამოხყრის ჯარადავ.

5

## 122. ჩემო მოყვარევ!

ახლოს მოდ, ჩემო მოყვარევ, გან ჩემ ქმარ გაგიჯავრდება,  
ჩემ ქმარ თრიალეთს წავიდა, ჯერ არას მოგვიშავდება.  
როცა რო მომიშავდება, მემტ გამიდგები განზედა,  
ანაღ ყანაში მომიხვიდრ ან—გასალეწავ ძნახედავ.

## 123. მეცხვარის ჩიგილი

ლაფაში ცხვარსა ვაძოებდ, შუგორა მქონდა ბინაო,  
თელ ლამეს არა დამაძინ ხისო ქალ-ზალთა ლხინმაო.  
ანამ სუ დაილიგნიან, ანამ გაწყვიტოს ჭირმაო  
ან ხისოს ძირა-ღ ალაზანმ ან კეხმორისა ზვაემაო.

## 124. შამილაცი

მოიდა შუალამის ხანი, მამალაცმ შეხერა ფრთანია;  
შამილაცს გულმა-ღ უხარა, ახლ მოტაცების ხანია,  
მოვიდა რევაზის კარზე, ცაჟქ რომე ორი ქალია:  
ერთი რო გასათხოარი, მეორე შემომსწერალია.  
შამილაცმ წიბლი მიარტყა, შიგნით შეყარა კარია.  
შიგნითა რევაზმ თოფ ასრი, გარს შემოარტყა ჯარია.  
იქითა ეპასუხება ბაცაცანთ პანტოს ცოლია:  
—ნუ გეშინიან, მიხაკო, მაგრა დავკეტე კარია!“  
მე მაგის მომლექსებელი ალონში თუშის ქალია,  
სახელ გაგებად გინდოდესთ, ობოლ პარასკო ვარია.

5

10

## 125. მახარობელი

მახარობელი მოიდა:—ქალო, მოგიკვდა ქმარივ!  
სამახარობლოდ გავიღე თორმეტი შიშაქ ცხვარივ,  
იმასაც არა დავუჯერდი, გამოუგდ ნიშაც კარივ.

### 126. ურეში-დ' ვირი

ურეშის მოუკვდა გამთლელი, ციცუ დამწვეტებულ ჩიირები,  
ლაფში ოთ გადამრუნდება, ეზიდ, იქრიჭე კმილები.  
ვირებს ენაცვლოს პატრონი, თეთრებ დაუქვისა ცხვირები;  
ავხიდებ, დარაყრაყდება, ქვევით მე შევეძირებივ.

### 127. სამყურაც საყვარობელი

ცირბევ, ცირმაშტეს შევსთესე სამყურაც საყვარობელი,  
მოღიან აღმარტო ქალები სურვილის შეწუხებულნი.

### 128. წუმახაზედ

ნაღირობ წასრულ არწიო, როდის ჩამოხვალ ბარადა,  
როდის ჩამოხვალ, მმობილო, წუმახაზეო გვარადა.  
წუხიაცის ქალ ზეირთე, ნუ დახვალ წარამარადა;  
ერთიდ შენ წამოიყვანე, ერთი მე მინდა თავადა.  
5 გამოგიჩდებოდ მაოეი, ღობეს გადახტებ ჩქარადა;  
არწივის ნამთხვენ ჟოჯობივ ღობის ძირ ჩნდებოდ შავადა.  
მე ამის მომლექსებელი შიოვნანს მივდივარ ხამადა,  
მმობილის ლექსი გამოვთქვი, ბაკურიზე ვარ გვარადა.

### 129. ქებით გამოთხოილი

ქალ, ქებით გამოთხოილო დედისი-დ' დედის დისია,  
შენაწა-დ' არა ყაფილზარ, ნაწვეთ მოგდენი წყლისია.  
ორისივ დაწუნებულო—ქმარისი-დ' ქმარის ძმისია.

### 130. ქალმან დალია ზეობანი

ქალმან დალია ზეობან, შენ თავის დიდებამაო,  
ავლამ, ჩაელამა შარებზე, კოწლების ქანებამაო,  
სახლთავზე პირის ბანამა, ზალტეთა ულერებამაო,  
უექზედა ჭრელებ ჩითებმა, კოჭებზე გოგვებამაო.

### 131. ქალების შამახ

(გვრინი)

ცენმაშ ფერი ქნავ ცირბევის მინდორავ,  
შეცდარიშ გაღმიცგდლოვ აფე-სკლატიანივ,  
ცხენიც ცეცმას ხვანდავ ბალახისცერაცივ.  
ეგეშ იქნებოდავ ქალების მამაივ.

### 132. ლაშაზი

დილა რო გარად გამოედი, შეე მაღლა წამოსრულიყოვ;  
 ავხედე ციხის კართანა, ლამაზი გადმომდგარიყოვ.  
 წელები ედებ ლილითა, ყელ-ყური ოქროს შიბითა.  
 ნეტი შენ დედას, ქალაცო, შენ უზარდიხარ ქალადავ,  
 ცხვა საქმე არა ხქონია, შენ უწერიხარ წიგნადავ!

5

### 133. ბევრსა ხკლავს ბევრის სურვილი...

მინდორში სისალის ტბა ბრუნავს, გადასალვრელიმ სად არივ?  
 შიგა წევს წითელი გველი, თავი ჩინს, ბოლომ სად არივ?  
 ბევრსა ხკლავს ბევრის სურვილი, ცოდნა, გაგებამ სად არივ?

### 134. ტიალო, დედო, ტიალო!...

ტიალო, დედო, ტიალო! დანის კაგირში ტრიალო,  
 ცხენების თარეშობაო, ქალების გულის გრიალო!

### 135. ნატერაჲ

— ქოთანას ქორი ნადირობს, ლაგოდებს გახქონდ ქუხილივ.  
 ქალო, შენ ციცქა-დ' მე ციცქავ, ვინ იცის გულის ტკივილივ!  
 — გზის ძირ გვითრიან საფლავსა, გზის თავამ დაგვმარიანა,  
 ეგ შენი ცხენის თიქალთო ქვეშამც ვინ დაგვიგიანა,  
 შენი კრავლისა ნაბადი ზედამც ვინ დაგვხურიანა!

5

### 136. დედისერთაცო!

ზე აღექ დედისერთაცო, ცრენსალ დაუყარ ღანმილივ;  
 ცოლსა რო ცხვანი გართმოდენ, სიკვდილი გინდა, გან—ძილივ.

### 137. ფარსმას

ნაშინ კარგი ხარ, ფარსმაო, მთას, თოლო, გადაზღიოდე;  
 ჭილაცს ჩაზღიოდ, ყირვნებო; გორს, მწვანილო, ამოზღიოდე;  
 ლართან, ცხვარო-დ' მეცხვარევ, უივილით ამოზღიოდეთ;  
 საფიტეს, ქალო და ზალო, სრიალით შემოზღიოდეთ;  
 ლიპურს, კარო-დ' მოჯნავო, ბიბინით შემოზღიოდეთ.

5

### 138. ნუ სტირ, ქალო!

ნუ სტირ, ქალო, რად სტირი, რად დაგითხრია თვალები,  
ადექი-ღ' ჩემთან წამოდი, გაღმოიარე ბანები.  
საწოლის კარი მღი გიდგა—მაღლა ოთახის კარია.

### 139. ღაზის ფიცხელო!

ბევრის ნდობა ბევრსა ხელავსავ, ღაზის ფიცხელო, მე—შენივ.  
ჭილაცს ტბა დგასავ სისხლისივ, გადასაღვრელიმ სად არივ?  
შიგა წევს გველი წითელი, თავ უჩინს, ბოლომ სად არივ?  
ბევრის ნდობა ბევრსა ხელავსავ, ღაზის ფიცხელო, მე—შენივ.

### 140. ცუდ-ჭური

აციმა მაღალ მთაზედა ქარბუქ არ დაილევისა.  
კაი ქალ-ვაჟის თავზედა ცუდ-ჭურ არ დაილევისა.

### 141. შაბათ ღამეს

დღეს შაბათ ღამე დაღამდა, ხვალ უნდ დამწერონ ჯვარია;  
ალარ მომიყიდ მარტილო, ვა, თუ ამყარა გულიო!  
ციცმ ფიქრებში ვარ გართული, ცხენმა-ღ' მოილო ჩქამიო.  
კოხტად მოგივლი, ლურჯაცო, გავაცს გაგისვამ წელსაო,  
ჩულებსაც კარგსა მოგიქსოვ, დაგიმშვენება წელსაო.

### 142. ჯინები

ცაჭიმალ მთაზე გახედე, ჯინები გადმომდგარანა,  
რქა რქაზე გადაუხვიავ, მდობიარეთა ლგვანანა.

### 143. ბიჭო!

ბიჭო, რას გადამეკიდე ჭირივით, ბოროტივითა;  
იგრემცა-ღ' ამოღვარდები—ბოსტანში ბოლოვივითა.

### 144. ჩიტის ბუდე

ქალმან ჭალაცს ჩამიტყუა: ჩიტის ბუდე ვიცი მეავ.  
ოუგალაცებ ამიცქნიავ, ამის მეტიც არ ვიც მეავ...

### 145. ქალო!

სამი სოფელი დალია, ქალ, შენმა სიყვარულმაო,  
დილ-დილა პირის ბანამა, წელ-პირის შვენებამაო,

თავზე ქანდაქის მანდილმა, საწვივის მტყველებამაო,  
 სკლატმა წითელმა, ყვითელმა, მაჯების მშეენებამაო,  
 შვიდკეცმა დანის საბელმა, გავაცზე გორებამაო.

5

### 146. დედისერთაცო!

დედისერთაცო, მერთაცო, მინდორს გაზდილო, ველზეა;  
 ოქრო-ვერცხლისა ქამარო, შემისარტყმელო წელზეა;  
 იაგუნდისა ბეჭედო, ჩასადებელო ჟელზეა!  
 მე მეტად ვეღარ გაგაქებ, ანამც არ იყო ჩემზედავ,  
 გამითრინდე და წამიხვიდ, გამიყვე ქარავანსაო.

5

### 147. ჩაფირაცი-დ' ცხვანი

დადიკურთაში ჩაფირაცს არავინ ხყვანი ბადალი.  
 ხატო ბაბულაცისშვილი—ეგ ყოფილ მაგის ამქარი.  
 სატო მაგათ დარშხმი, ანწუხელიანთ ბატკანივ.  
 წინ გამუჯდლვებოდ ღაზილაც, მექობარშიაც ნატარივ;  
 არცარას კიცო დუცარდებ, ჩიკის ფექად არს ნადგამი.  
 დემეტრეს სულხანიშვილსა ნაბიჯი ხქონი დაბალი,  
 ეგ გინდა მანდა არც სტანი, კაცში არ ყოფილ სათვალი.

5

### 148. სოსი-დ' ცხვანი

კოქლაცთას ციხე დაშალეს, თეთრ აღარ უჩინს კარიო.  
 პირველად სოსიმ დაშალა, მით უფრიალებს თვალიო;  
 ალექსაცმ შემოიტანა სახლში ნაბარევ ქვანიო;  
 კიმოთემან ჩაუყარა გაპოლილ სახლსა ზლვანიო.

### 149. მარჯაკალი

დავიწყე მარჯაკლობაი, ძალლივით ენა ვათრიევ,  
 სიდისაკეც კი გავედი, ყველგან სიმართლე ვათქმიევ.  
 გადამერია ბებერი-დ' ჰოლა ვეღარ ვათქმიევ,  
 წინ წაღებული საწესო გარევ უკვენავ ვათრიევ,  
 აღარც მოვხქსენი ტიკორაცს, აღარც ვის არაყ ვასმიევ.

5

### 150. მონადირის ყისმათი

ნადირი მონადირესა მთას წასვლით ებედებისა;  
 ხან თუ ვერ მოხქლავს, ხან მოხქლავს—აუგ არ დაედებისა.

### 151. ჯიშვი!

გაიძარ, ჯიშვო, გაიძარ, თვარამე-დ' გაგითენდებავ,  
თვალს მოგკრავს მონადირეი, იღლია დაგიშავდებავ!

### 152. მონადირე

ცაციმალ მთაზე გახედე, წარაფი მიზდევს ნისლისი;  
მჯრით მიზდევს მონადირეი, ქოჯო წელთ აშევი ისრისი.  
ასრია-დ' გამოაგორა, ჩქერა გამოდის ქვიშისი;  
ჯიშვი კდეს დაკიდებულა, ნაწვეთ ჩამოზდის სისხლისი.

### 153. ალავერდში

გალმა გავედი ალავერდს სალოცავალა ხატისი,  
გზას ბიჭებ შემომეყარნეს ნაამხანაგრებ ცხვარზედავ,  
მიმიპატიებს ბინაზედ, დამსვიან ლვინის სმაზედავ;  
5 მე ლვინო ვერა დავლიე, თვალი დამრჩ ლამაზ ქალზედავ.  
შვის თვალ-წრბის პატრონსა ლიმილ მოზღიოდ პირზედავ.  
ერთხენ კი გარევ წამოალ, ფექ-თეთო მიბია ქერზედავ.  
ლამაზად დავალაპვიებ მაგ თიანეთის მთებზედავ.  
6 ქელში კავეაურ მათრაჯი, ჭრელ ძვალ აგებულ ტარზეა;  
ჩერქეზულ ქამარ-ხანჯარი, სუფთად შემორტყმულ წელზეა;  
10 ყელზე აქლიმის ყაბალას, გადაფენილი წელზეა;  
თავზე ხუჭუჭის გარიბან-ლი, ქოჩორ გავარცხნილ გვერდზეა.

### 154. ნანდობო!

გორს იქით ჩდილო სოფელო, ნისლო, მზისაგან აყრილო,  
ავაიშე, ჩემო ნანდობო, გულს-უწალინოდ გაყრილო!  
ჯერ გემდურ, ცხვისა ენაო, მემრ—ჩემ გუნებავ გარყვნილო.

### 155. ჩემ ნანდობი

ცაში არწივი ტრიალებს, მოიერიშეს ღვავაო.  
მთელ ქვეყანასა მირჩიავ, მე რო ნანდობი მყავაო.

### 156. ავაჲ შენ დედას, მოყმეო!

ცაციმა მთაზე ყორანმა ღაჯღომა ქნაა-დ' გადასცდა.  
ავაჲ შენ დედას, მოყმეო, არც მე გიქენი-დ' ცხვაც აგცდა.

## 157. ცირბეგში

ცირბეგში თივასა ესთიბავ, ვაწივლებ ნარსა-დ' ეკალსა,  
 გულსა ვლგვრი პირიქითლებსა, ვატირებ ჩალმათ ბიჭებსა.

## 158. თაგვის მუქარაა

წისქილში საფქვავ წამაქვის, სამისავ აეხკიდე კატებსა.  
 გზათ თაგვებ შემომეყარნეს, დამიცეს ანტა-ბანტესავ.  
 ერთი ხო ლამ-ლამთ გავლრიე, მეორეს ფერი მოვსტეხე.  
 მესამე აგრე დამემუქრ: — არამ მოხვნავა ყანასავ!  
 ჩაგიჯდებ ყანის ნააირში, ჩაგინატურებ თავთავსავ;  
 გამოლგზავნიდი ღიაყცივ, მოგიხვეტიებ ჩალასავ!

5

## 159. კივსური

გამარჯობა, ჰელოელო, შენც მოხვედი, მეც მოედი,  
 სუ ფრენ-ფრენით გადმოირბინ სოფელთავითი წევ-შუვნი,  
 არ მომეწიოს წევსურივ, ეშმაკთ არ დარშჩეს ჩეძ სულივ.  
 ჩემსამ მტერს გამოუდგება წვერ-გამოშვებულ წევსურივ!

## 160. თუშეთი-დ' ნანდობი

კავკასიონის ქედებო, თოვლიან-ყინულიანო,  
 ტიალო, საჯირვებო, მწუხარე ცოემლებ გდიანო,  
 დალარულ გაქვის გულ-მკერდი, მჩქეფარე წევებიანო.  
 შენი ნაჯურნი ნაკადი ჩუთჩუთ ჩამოდიანო,  
 შეიყრებიან წევები, ალაზნა იქცევიანო;  
 დაბლა თვალ-უწვდენ ჭალები, შიგ გზანი ეტყობიანო;  
 მალლა მთა აყვავებულა, ზედ ცხვრები იშლებიანო.  
 მალლით დაგვჭურებ სოფლებსა, საალებო სიპებიანო.  
 შემოსულია ყანები, სოფელს რა უკავებიანო!  
 ყანაო, გმიიან ქალები, სიმღერის დაგბაზიანო;  
 სიცხეა, დასასვენებლად გრილოში დასხდებიანო;  
 ააქსენებენ რიჭებსა, ერთმანეთს დასცინიანო;  
 ამოარჩევენ ბიჭებსა, წილებსაც დააყრიანო,  
 იმ თავის გულის დარღებსა ერთურთსა ეტყოდნანო.  
 გამოხვედ სამუშაყოზე, ქალო, ლამაზო, თშიანო,  
 არც ვის უამბობ დარღებსა, ლამაზო თვალ-ცრემლიანო.  
 შენის სიტურფის სახითა მზე, მთვარე ჩაბნელდნიანო,

5

10

15

მარტო ნათობენ მარსკვლავნი, სხივები შორსა ჩნდიანო.  
ორნი ამოვლენ მარსკვლავნი, ცას ორუბელს არღვევდიანო.

20 დამწვავდა შენი სიტურფე, ვახ, გულო ბოროტიანო!

### 161. მწყემსი

მწემსი ვარ გარემარესა, ღლემუდამ მარტოდ მავალი,  
ღამ-ღამ მთვარე მყავს მეგობრად, ჩემსავით მარტოდ მავალი;  
ხან ქარი მიწერს ნაბადსა, ხან წეიმის ღვარი მასველებს,  
ხან მგელი მიფრთხობს ფარასა, წყეული არც ის მასვენებს.

5 ვწევარ უთალოდ ცის ქვეშა, ზედ ნამი დამედინების  
სიცივისა და მტრის შიშით ტკბილად არ დამეძინების.  
რა არის ჩენი სიცოცხლე? — გაუტარები ვაება —  
მუდამეამს ფექზე ყუდილი, მუდამეამს ბარგის ტარება.  
მაინც კი გვიყვარს მწყემსობა თუშებს — ლალ მთისა შვილებსა,  
10 მა რა ვენათ, კერის პირაზე ხომ არ ავკინძავთ მძივებსა?

### 162. ბათირი

იძახეს ტერელოელთა: — თუშთა წაიღეს ცხვარია!  
უკან გამოუდგ ბათირი, ლურჯას გახქონდა ჩქამია.  
ეწია, ვერ დაეწია, დაბრუნდა ცარიელიო,  
გზად ცოლი შემოყყარა, თვალიდ ლამაზი ქალიო.

5 — ოჯრადამც გყოლი ლურჯაცი, ვერა გყოლია ჩქარიო,  
ცხვარიც ხო შენი გარეკეს, მთაში გედგ სამად ფარადა,  
ქალიც ხო შენ გაგიყოლეს, ჯერ არ შეერთო ქმარიო!

### 163. წყევლად

— ქალმა ყელშიბი დავეარგე ჭრელ წინდებისა ქსოვასა,  
გონივ მუცელავ მემცხვარეს თეთრი შიშაქის დევნასა.  
მემცხვარევ, ნულ დამიტალავ, შენი ცხვრის გამრავლებასა!  
მემცხვარემ უარი უთხრა...

5 მემცხვარეს ქალმა დასწყია თავის ალალი გულითა:  
— მემცხვარევ, ნულარ ჩახვალი შირაქში გათეთრებულის ბინითა!  
ახლა მემცხვარემ დასწყია თავის ალალი გულითა:  
— ქალო, ლეკებიმ წაგიყვანენ ლხინითა, დაფა-ზურმითა,  
გზასამ მე შემოგეყრები, ფული მომქონდეს ჯიბითა;  
10 გამოგიქსნიდე, ქალაცო, წამოგიყვანდი სახლშია  
სტეირითა-ღ' სალამურითა.

### 164. კახოს თინაძე

ფარსმის ციხეო მაღალო, შიშით გაქანებს ქარია.  
 შიგ სხედან თუშის შვილები, თოფის პირს აჩდის ალია.  
 თინაი ღმერთმა აცხონოს. იმის სულ ლალად არია!  
 თავს შემოიხვი მანდილი, წელს შემოირტყა კმალია,  
 გამოერია ქისტებში, ჩალად დახყარა მკვდარია. 5  
 გახევირებიყო ქისტებსა თინასი ნაომარია:  
 ან მკლავი როგორ უჭრიდა ან სამღარიან კმალია!  
 იქით გაიქცა მურთაზი, გადაიარა მთანია,  
 ქაჩუს ღელესა დასტირის, როგორც თმიანი ქალია.  
 წინ ცოლი შემოეყარა — თურაშაულის ქალია: 10  
 — მურთაზ, რად გამოქცეულხარ, რად შეგვირცხვინე გვარია!  
 — ქალმ გამიშუვიტა ლაშქარი, მოვედ პირსირცხვილიანი...  
 სირცხვილიანის მოსვლას კი სიკვდილ უჯობ სახელიანი.

### 165. ოსურაული

ომობდა ოსურაული, ვაჟი არ ზოგავს თავსაო,  
 ჯერ ხო თოფითაც ეომა, მემრე კელ გახერა კმალსაო;  
 კმალდაკმალ გამოუვარდა, უწყალოდ შჭრიდა თავსაო,  
 ერთ ლეკსა კელი დასტაცა „მოდი, ძმობილქ, შენ აქაო!“  
 შინისკე მიარბენინებს, როგორც რო ლომი ცხვარსაო. 5  
 შინ შეიყვანა ციხეში, მოუსეა სათოფურსაო.  
 — ლეკო, ესროლე ლეკებსა, თორემ მოგაჭრი თავსაო!  
 ლეკი ესროდა ლეკებსა, თვალებზე ცრემლი ზდისაო.  
 — ოლონდ ნუ მომელავ, ხეთისოო, კიდევაც ვესვრი ბევრსაო!  
 ხეთისომა კმალი შემოხკრა, თავი მოშორდა ტანსაო. 10  
 — შენ ცოცხალს ვინდა გაგიშვებს ურჯულისა და ძალლსაო!

### 166. ცოლ-შვილიმც ამოუწყდება!

სახნის-საკვეთი, ჯამბარა ვაჩიქვაურმა დამპარა;  
 ცოლ-შვილიმც ამოუწყდება, უკნავ-უთესი დაგვყარა!

### 167. მიხეილ უშარაული

ცამან შეპყარა ღრუბლები, ელვა დაეცა ძირსაო;  
 მიხეილ უშურაულსა დღეიშ ხეონდ სიკვდილისაო.  
 მიხეილ წყალმან დალია, ვად დედას მიძეილისავ!  
 მამა ტიროდა მშობელი, წყალსავით ცრემლსა ლვრიდავ.

- 5 — რაღასა მტირი, მამაო, ან რაღას მეძებ ბევრსავ,  
თუ შვილი გენანებოდა, რად მანებებდი თავსავ,  
მე ხო ყმაწვილი ვიყავი, გამოუცდელი წყალსავ;  
რაზე გამზარდე სასწავლში, თუ მწყემსი გიჭირს ცხვრისავ!  
მიხევლის დედამ შეიტყო, წყალივით ცრემლსა ლვრიდავ;  
10 — წყალო, სათავემ დაგიშრებ, ცოდვა გაქვს მიხევლისავ!  
წყალი სწყუროდეს, ვერ დალლევს—ღვარი ჰვინავის სისხლისავ.

### 168. თუშურაც სოფლები

- გირევ-ჭონთიო ვარდია, სუ ქისტურაცი ხალხია;  
ფარსმანელები ვარდია, სუ გარმუნჩიკაც ხალხია;  
შემშელები ვარდია, სუ ქალაჩუნაც ხალხია;  
დანუელები ვარდია, სუ ქაწამძვრალი ხალხია;  
5 დართლოელები ვარდია, სუ ყანწომჩხუბარაც ხალხია;  
ჩილოელები ვარდია, სუ ყანწურაცი ხალხია;  
დიკლო-შენაქ ვარდია, სუ დიდურაცი ხალხია;  
ომალ-ჭანჭახო ვარდია, სუ ბოზ-ოჯერი ხალხია.

### 169. სულეთი

- სულეთის ამბავს ვინ მეტყვის, სულეთ რა სამართალია?  
— სულეთში სამ ხენი დგანან, წვერი ცას მიბჯენილია.  
იმ ხის ძირს წყარო გაძოდის, სასმელად სანატრელია;  
ბევრი მოდგება ცხენ-ჯორი, ძუა ფაფარი კრულია,  
5 იმაზე მჯდომი მეტყველი, ბირს ლაატი დადებულია;  
იმას მიპყვება ქალ-ზალი, ჩონები მოჭუჭულია;  
იმას მიპყვება ყმაწვილი, დედ-ძამჩს მოიებარია.  
სულეთში მატყლი, მარილი—თეთრი ქარისა ფასია;  
თამაქო და ბიჭონი—ერისა მრიგებელია.

### 170 მეცხვარევ

- ხანში შესულო მეცხვარევ. ისევ გიმღერის გულია?  
მაშ დავიჯერო, არა ხარ დარღისგან დაჩაგრულია,  
მაშ დავიჯერო, არ იცი დარღი და სიყვარულია,  
ხაშ დავიჯერო, არა გაქვს ბავშვობა დაკარგულია?  
5 ლამეც ტანთსახურავად გაქვ ნაბაღი თყირთვილიანი,  
დილით აირ საბანელიდ გაქვ წყარონი ყინულიანი.  
— მეამ ვის მოვეწონები, დღე არ მინახავს მხიანი!

### 171. არ იფიქრო!

შენაღ ისიღ არ იფიქრო, მაგას უყვარდი, მე-არა.  
შენაც გიყვარდი, მეაცა, ყისმათს დაუღეს თვალია,  
ყისმათსაც არას ვემდური, მტერი მოგიკვდეს მალეა!

### 172. ობოლ ბიჭის სიშლერად

— შავ ჩოქავ, წითელ პერანგავ, ცხენსამ ვინ უცვლი ალაგსა,  
აქისელ თავი წამტყბრუნ, ცრემლით ნუ მამკევ ყანასა!  
— ეგ რად არ იცოდ, ქალაცო, ობოლ მალ გაიზრდებოდა,  
გზის ძირა გადავარდნილი გზის თავ მალ ამოქდებოდა.  
ქალო, გაგარდევ სურვილსა, ნემს კუდად აეგებოდე,  
პატარა ჩიტისა ქერასა თვალშიაც ჩაემსვებოდე!

5

### 173. მწყემსო!

— ახლ მოგიდ შემოდგომის ზან, დაითვირთვილა შთებიო.  
ან არ მოგწყინდა მთას ყოფნა, ან არ მოგინდა ბარიო,  
ან ლამაზ ქალთან ძილ-წოლა, ან მასთან საუბარიო?  
— არცა მომწყინდა მთას ყოფნა, არცა მომინდა ბარიო,  
არც ლამაზ ქალთან ძილ-წოლა, არც მასთან საუბარიო.

5

### 174. ასმათი

ალვნიდან ბელუქში წაველ, ვერაფრით გავიხარეა.  
ამხანაგებმა დამჭორეს, მე ის ვერ ავიტანეა,  
მომიპარია ლაგანა, ფიქრი შემომაწვ მწარეა.  
თითქოს მაყრები მოდიან, გაისმა თოფის წმანია,  
ავდექ და თავში დავიკარ, თან დავიძახე „ვაია“. 5  
უცებ ასტეხეს ყვირილი: „—ასმათი ალარ არია!“  
ჩემ ცოდო გქონდეს, დედაო, თუ ცრემლებ ჩამოჰყარია,  
მე არ მყავს არც იმა, არც მამა, დამალევინოს წყალია.  
მე მარტო ერთი დედა მყავ და ისიც შემომწყრალია.  
მარტო ერთ მწყალობელ მყავის — წმინდა ლაშარის ჯვარია.  
მე ამის მომლექსებელი სოფლად ლეჩერელი ვარია,  
სახელ გაგება გინდოდესთ — ასმათის დობილ ვარია,  
სახელი ჩემი ეთერი, ჩეკურიშვილი გვარია.

10

### 175. ბაქ

- დიკლოში მოიდ დიდო, ალდამშ შეხყარა ჯარიო,  
 ხუშეთის ლელეს გადმოდის, როგორც მარილზე ცხვარიო.  
 წისქვილებთანა ჩიმოდგა, როგორც ნაგუბარ წყალიო,  
 ღვინიამ ელანაიძემ ციხით მოხკიდა თვალიო,  
 5 ესროლა, გამააგორა:— ჩემის ცოლისდამ ხარიო!  
 შუუბან თოფებ გამოდის— „ქურაზიშვილი ვარიო!“  
 — ქალ, ბაქი ზაჩივრისაო, ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო!  
 ლექებს არ გააყოლიდი შენი ლერწამი ტანიო,  
 გადალვარდ, გადაიყოლე, ორ-სამნივ ნარჩევ ყმანიო.

### 176. ხარება და გოვიად

- ლამეა, მთვარე ქათქათებს, ვარსკვლავნი კრთიან ცაზედა,  
 ალაზნის პირას მოღიან გოგიაი და ხარება.  
 ერთმანეთს ეუბნებიან:— საითკე უფრო უჯობია?  
 — მარტანის ტყეში წავიდეთ, სოფლადაც იქა უჯობია,  
 5 კაცის შემნახავ ხალხია, პურ-მარილ იქა უჯობია.  
 მეორე დილა გათენდა, რას ხედავს ამცლეო-ჩამვლელი:  
 ვინც კი შეხვდება, ყველასა ასმევენა და აჭმევენ.  
 ბიჭია მძლავრი გოგია, სიტყვა წარმოთქვა ესაო:  
 — სად არის ჩვენი ალექსი, ალექსი თავნიშვილიო?..  
 10 ცოტა ხანს შემდეგ ხარებას შემოარტყამენ ცეფსაო,  
 ქურდულად წაშოებარნენ, ვით მონალირე შველსაო.  
 გადმოუწოდეს თოფები, ტყვიას ესვრიან ბეფრსაო.  
 წამოფრინდება გოგია და ეფარება ცეცხლსაო;  
 წამოფრინდება ხარება, მჟრებითა დასუსტებული,  
 15 შეხედავს მაღალსა ლერთსა ძალ-ლონე გამოლეული.  
 — არ გაიხაროს ალექსიმ, ალექსი თავნიშვილმაო,  
 არ ნახოს კარგი დოები, ნურც ნახოს კარგი მზეები,  
 ნუ გაიაროს სწორებში, სუ იყოს განზე მღვიმიო!  
 ემაგის მომლექსებელი გახლავარ თუშის შვილიო.

### 177. ქალო!

ქალო, შენ კართან შეშა დგას, შენ ზურგით ნაღებ, საწყალო,  
 შიგ სტანავ ფიჩის კონაი, ცეცხლიმც შოგედოს, აყარო!

## 178. მეოთხ

ალფანს დაღუის ყორანი, დაბლა არ ჯდება ბანზედა,  
 შირაქს ემხადებ მეითი, იარალს ისაამს ტანზედა.  
 მაგას დუჭმლიდა შეუღლე: „—მარტო ნუ მიხვალ გზაზედა,  
 წუხელა ვნახე სიზმარი, შავი ჩატეცა ტანზედა!“  
 არ დაიშალა მეითმა, კოხტად შეჯდება ცხენზედა, 5.  
 შინა მშვიდობას ეტყოდა.—ცხენო, იარე გზაზედა,  
 დაუყვნეთ წინა მშაოის გზებს, შირაქს ჩავავლო თვალია!  
 ჩავიდ ალმალოს ჸიღზედა, ორუჯს ეწვია კარზედა,  
 — მარტო რას დახვალ, მეითო, თავი რას მოგწონს ჯანზედა! 10  
 ადგა, იარა მეითმა, ნარინჯის გუმანზედა.  
 ცხრანი იყენიან ურჯულონ ცაში აზუნდარის მთაზეა,  
 შეითმა ზედ მიიწია. სალამს ეწვევა ჭკვაზეა.  
 სალამის დათავებაზე, ბოლ მიახვიეს თავზეა.  
 — მეაც აქ მოძალ, ჯულძალლო, აუგს იტყვიან ჩემზეა...  
 მიდგებოდეს, მოდგებოდეს, შასხდნეს მეითის ცხენზეა, 15  
 ცხენი უკანავ იწევდა, ვერ აყენებენ გზაზეა:  
 — საღა მყავს ჩემი პატონი, რო არა ჩემიმობს ჩემზეა?  
 — პატონი მტერმა მოვიკლა, ყორან დაღუის თავზეა.  
 — აქ რას დაღუები, ყორანო, დახყევ წინა მშრის გზებზეა,  
 წინა მშრის გზებზე დახყევი, ალფანს დაჯელი ბანზეა, 20  
 მითქვიდი ჩემსა მეუღლეს:—მეით მოვიკლეს ცხვარზეა!

## 179. ბერიყახ

შატილს მოვიდა ქოქობი, შატილს რო დაჯდა ჯარზეა,  
 შვიდნი დაზარდა წიწილებ არწივის ნაბუღარზეა.  
 შვიდსავ უყიდა თოლები, შვიდსავ დახეიდა მშარზეა,  
 უყიდა ჯაჭვის პერანგივ, შვიდსავ ჩააცვა ტანზეა.  
 გაბედეს საარხილოდა გოდერძის მუქარაზეა; 5  
 ციხით ქალ გამაიყვანეს, მაატირებენ თვალზეა.  
 წინ შემოეყარ ბერიკა, მშვიდობას ეტყოდ ჭკვაზეა.  
 — საიდან მოგყავთ ეს ქალი, რო მაატირებთ გზაზეა?  
 ქალს უთხრა სიტყვა მაგარი, ცრემლი შააშრო თვალზეა.  
 შვიდთ ციცმათ, მარტო ბერიკამ წელი დაიდვეს ქმალზედა. 10  
 იქით ქალ გამააბრუნა, გოდერძის მიღვარ ბანზედა,  
 გოდერძიმ დიდად მიიღო, დისტაცია თავისა სკამზეა.

### 180. თალიძე

- ლაშარს ჩავიდა თილიძე, გულდიდად დაჯდა სკამზედა,  
შემოხვივნეს ფშავლები, როგორც ბატონსა ყმებიო.  
— შენ აქ არ მოგესულებოდა, დიდი ხერნ ცოდვა-ბრალიო,  
გაწყვილე დიაც-ყმაწვილი, ცამდინ აუშვი ალიო!
- 5 — აცალ, მაცადეთ, ფშავლები, მალოცეთ ოქვენი ხატიო,  
საწირვად მომიყვანავის თეორი ქორაი ჯარიო,  
ჯარისად მომიყოლებავ ქაჯანგიანი ყოჩიო;  
მაგისა მაშინ ვიამბოთ, როცა გამოვლენ გზანიო,  
უბისთავ დანათდებიან თილიძის ლურჯის ნალნიო,
- 10 ან ვისა სჭორდეს ფრანგული ან ვისა სჭექდეს თოფიო.

### 181. მიხოდა

- შირაქს ემჩადებ მიხოი, იარაღს ისხამს ტანზედა,  
ცოლი უშლიდა მიხოსა: „— ნუ გაუღები გზაზედა.  
წუხელა ვნახე სიშარი, შავი ჩამეცა ტანზედა,  
შენ ცხენიც შავად შევმოსე, სატირილ მეგო კარზედა!“
- 5 არ დაიშალა მიხომა: „ფიქრიც არ არის მტერზედა,  
იარე, ცხენო, წავიდეთ, გადვიდეთ ბელექანზედა,  
კვირაცეს ჭარში ჩავიდეთ, ლაზბორ გვექნება ლექზედა,  
ორშაბათს გამოებრუნდებით, გაეალთ შირაქის ქედზედა.  
ერთმა-ორ ჯულძალლმ თათარმა მწარი ამიკრა გვერდზედა:
- 10 — სიტყვადაც ამას გეობნებ, თუშო, გაფრთხილდი გზებზედა!  
ცოტას წინ გაგცდენ ყაჩალნი, სროლას ამბობდეს შენზედა,  
თან უკან იხედებოდეს—მიხო არ მოჩანს გზებზედა...“

### 182. გულო!

- დაფიქრებისა წყარო ხარ, გულო, შე ოქერ-ტიალო,  
მალ-მალე მომაგონდები, ჩემო სამშობლოვ მთიანო.

### 183. იარე, ცხენო!

- ლექის მოვიდა მოხრობელი გუშინას, თენებისასა,  
შეუკრავ გადასაყალნი შვილებსა ლეკებისასა,  
გაუმართავის საყუჩე, სისხლსა იღებენ ძმისასა,  
ბელს კევზე ჩახყეტს ყორანი, ნასისხლარს ჩაზდევს მტრისასა,  
5 თან მონაღირე ჩახყება, ბრძამს ეჭიდება კლდისასა,

შურთხი სტენს, ვატყობ თენდება, ცრემლით გულ-მკერდს ღბანს  
კლდისასა.

იარე, ცხენო, ტიალო, გავლას წუ ზარობ გზისასა!

სანამ გათენდეს, გავსცილდეთ საზღვარსა-ლეკის ჰიჯნასა,

ბნელში ხო ლეკის შვილები ვერც დაატყობენ ნიშანსა; 10

თუნდაც გასრიონ, დაგვცდების, ვერ გასტეხს გულის ფიცარსა,

მწიერ დარჩება ტყვიაი, ძვალს ვერ შჭამს კარგის ყრისასა.

ვად თუ შენ დაგრან, ოქრო, ერთგულსა პატრონისასა.

პირობას გაძლევ, ვანანებ, სისხლით შევლებავ ქვიშასა!

ან რეც შენ გვერდით მოკვდები, შუქს დავიბნელებ მზისასა 15

და თუ მე დამკრან, ტიალო, კელს არ ჩაღვარდე მტრისასა,

გზა გაიკაუე, მოსცილდი საზღვარსა დაღისტნისასა,

გადაუტანე ამბავი შვილებსა თუშებისასა;

პატრონის სიკვდილს წუ ეტყვი, ვინც რო ჩემ ამბავს გკითხავსა.

#### 184. ანთაიძის შეილი

ხანია შემოღვომისა, დღე აღარ არის მთისაო,

დაჩუმებული ველები, არც უივილ ისმის ცხვრისაო,

და არც ლილინი გორებზე, თეოზე ჩობნებისაო.

მზე-მთვარე დაბნელებულა, ნისლია შავი ზღვისაო.

ალონში სისხა გაჩინდა, შიგდაშიგ ხეოცავს ხალხსაო,

ძაან მწუხარეს ამბობენ მაგ ანთაიძის შეილსაო,

სახლში წეს ხაზეინისი, სუ ევლებიან თავსაო,

ექიმიც მალ-მალ მოხყვანდის, არ უზოგევდის ფულსაო!

სახლში არავინ არა ხყავს, როგორ სწყალობდეს ერთსაო!

5

#### 185. ცხვარო!

ცხვარო, მაშინ ხარ ლამაზი, როცა რო იწველებოდე,

დაეყრებ ნაწილარზედა, რა ლამაზ იცონებოდე!

შეგრეკონ გალავანშია, შიშაქო-დ' იწველებოდე;

კასრო, შე ვერხვის ხისაო, რო ძაან იქაფებოდე,

ჯეილო-დ' ახალგაზრდაო, რო ძაან იოფლებოდე!

5

#### 186. ყვავილი

დაიძრა, გამაიმართა, ცხვრებია თუშებისაო,

ფიდონი ნაჭაურისძე შავარდენია მთისაო;

ფიდონი შინის გამგზავრდა, მუქლებს ქარ გაუვლისაო,

- გზათ დედა შეეგებება: „—ფილონ, ნუ მოხვალ შინაო,  
 5 დართლოს გაჩინდა ყვავილი, შიგ რჩევით ხვოცდა ხალხსაო,  
 არ სწყალობს დელისერთაცებს, არც კაი ვაჟკაცებსაო!“  
 ფილონი უკვენ დაბრუნდა, დედას ვერ უტეხს ხათრსაო,  
 ვერც შამაძ დაინახა და ვერც და-ძძა-ნათესავმათ!  
 უკვენ გახუვება სიკვდილი, ფილონის მიზდევს კვალსაო;  
 10 ჩავიდნეს ზირაქის ქედში, სიკვდილი უვლის გარსაო,  
 ვეღარც იქჩერებს ფილონსა, აღარც ანებებს თავსაო,  
 გააქჩეო უქჩერებელი — ფილონს შეზღებდა ჯელსაო;  
 სიკვდილი გაღმა გავიდა, ორ ქალს დაავლებს თვალსაო,  
 გაღმიდან გამობრუნდება, გემით გამოვა წყალსაო,  
 15 მიუკავებოდა ანდროსა — ნაჭაურისძეს ვაესაო.  
 — შე ოკრად დამრჩალ სიკვდილო, მე ოალას მიწევ ჯაბრსაო,  
 დედ-მამას ვინ შემინახავს ან ვინ მომივლის ცხვაოსაო!  
 — ადექი, ანდრო, იარე, ერთად გავლევდეთ გზასაო!  
 ემაგის მოლექსობელი ზირაქის გულში არსაო,  
 20 ალექსი აფშინაშვილი გულისმტკივანი ძეგბზეო.

### 187. სიმღერაა

- მაღლა მთის წვერზე დავდიგარ, დავყურებ არემარესა,  
 გავისედ-გამოვიხედავ, ვერავის ვხედავ თვალითა,  
 დაბლა ჩაგხედავ ვევებში, ვევებ აბსვილა ზვავითა,  
 ზვავების ქვეშ კი მდინარე მოედინება ჩქეფითა;  
 5 გაღმიდათ გავხედავ დეკებში, ანგარა წყარო წერიალებს;  
 გაღმა-გამოლმით შურთხები ლამაზ ზაზედა კმიანობს.

### 188. ერთ-ერთიღ მითხარ, ლამაზო!

- ერთ-ერთიღ მითხარ, ლამაზო, ფიქრებს ნუ მისცემ თავსავ,  
 თვარ მემრე ველარას გნახავ, ზირაქს გავუყვები ცხვარსავ,  
 თოვლ ჩახკეტს გადმოსასვლელით ამ სათუბეთო გზებსავ,  
 ხეებს ჩამოსცვივ ფოთოლი, ბალახს გამოსცვლის ფერსა;  
 5 მითხარ, აძოოქვი ტკბილ ენით, კა შენი გაძაგონია,  
 მითხარ ოდ ჩემი-დ' იქნები, იძედიც მექნებ შენია;  
 არ გამცვალ ცხვაზე ლამაზზე, არ გამილალო მტერია,  
 არ დამაჭლექ დარდისგან, სისხლიც არ დალივ ჩემია,  
 მითხარი, შენი ჭირიმე, შენი ჭირიმე, შენია!

### 189. ნინო ღულელაური

ქისტო, კაცობა შეგირტვეს, ქალსთან იქმარე წმალია!  
 დიაფუ-ყმარტვილზე ნავარდი—ეგ საღაური ძალია?!  
 ჩადი პანკისში კვეხნითა—თუშის მოვხეალი ქალია!  
 თითონ ცოცხალი გადარტჩი, მახმადს შესწირე მაღლია.  
 ქისტო, რჯულითა საგმობო, რათა თარ სვინდის-მქრალია!  
 — შემწყვიტა გიშრის ნაწნავი ურიდად ნასროლ ტყვიამა,  
 ბეჭებ მრიდა, გულსა მიწია, სიცოცხლე დამიზიანა,  
 ჩემთან მოკლული დედისი ხვედრი მეც გამიზიარა;  
 კივილმა სასიკვდილომა წევ-ჰალაც გააქმიანა,  
 ჩემი კივილი, ტირილი კევით წაიღო ნიავმა. 5  
 ყორანმა მწარ მწარს შემოხკრა, ზედ ყეფით გადაუარა  
 მაღლისა მთისა ჭიუხში სისხლის გუბეში გდებულსა,  
 ნინოსა ღულელაურსა უდროოდ დამიწებულსა.  
 — შენდობა შემომითგალეთ შავის ლოდის ქვეშ გდებულსა,  
 თვრამეტის წლისა ქალწულ ქალს, ბედის თავმინებებულსა! 15

### 190. თიბად წასრულის ცოლი

სარქმელს შევხედ, ჯარანს სძახდა თვალუუნაც ლამაზ ქალი.  
 — აქ წამოდი,—თვალი მიქნა,— მინ არ არის ჩემი ქმარი,  
 ჭალაც ჩავიდ თვის თიბად, კელთ უჭირავ ნამგლის ტარი,  
 სასადილოდ წულებიე უმარილო, შავი ქალი,  
 თუ არ ჭამოს, ჭირ მოჭამოს, იძას დაღლევს შავი წყალი! 5

### 191. იცი?

— ბაშტით ქარი გამოხყვირის,  
 იცი, ბიჭო, რა არის ციცს?  
 შუით ფური გამოზრინავს,  
